

მუზეუმი

და კულტურული მემკვიდრეობა



MUSEUM and Cultural Heritage



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული აგენცია



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PROTECTION OF GEORGIA



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული აგენცია
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული აგენცია
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული აგენცია



საპარტოვოს კარბაჯი
მონუმენტების დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA



საქართველოს კულტურისა
და ძეგლების დაცვის
სააგენტო
MINISTRY OF CULTURE AND
MONUMENT PROTECTION
OF GEORGIA

პროექტი – სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და
კულტურული მემკვიდრეობა“
Project – Saeientific conference „Museum and Cultural Heritage“

პროექტის იდეის ავტორი და განხორციელება:

ირმა დოლიძე, ეკა კაჭარავა
Project Design and implementation

Irma Dolidze, Eka Kacharava

გამოცემის რედაქტორი: **ნიკოლოზ ანთიძე**

Editor of the volume: **Nikoloz Antidze**

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა:

ირმა დოლიძე, ეკა კაჭარავა

The collection compiled and prepared for publishing by

Irma Dolidze, Eka Kacharava

თარგმანი: **თამარ ქვლივიძე, ნანი ბაკაშვილი**

Translated by: **Tamar Kvlividze, Nani Bakashvili**

დიზაინი: **მაკა ცომაია**

Design by: **Maka Tsomaia**

ფოტოები: **შალვა ლეჟავა, ზურაბ ცერცვაძე**

Photos by: **Shalva Lejava, Zurab Tsertsvadze,**

© საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, 2014

© National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, 2014

ISSN 1512-0872

www.heritagesites.ge

მუზეუმი

და კულტურული მემკვიდრეობა

|

MUSEUM

and Cultural Heritage

2014

A photograph of an ancient stone structure, likely a museum or cultural heritage site. The image shows a large, weathered stone column on the left, supporting a structure with a large, arched opening. The interior of the archway is visible, showing more stone walls and a floor. The overall scene is dimly lit, emphasizing the texture and color of the stone.

მუზეუმი და
ხელახრული
მემკვიდრეობა

MUSEUM AND
CULTURAL
HERITAGE

მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო
კონფერენცია

მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა

2014 წლის 13-15 მაისი

პ რ ო გ რ ა მ ა

I დღე. 13 მაისი

კონფერენციის გახსნა – ნიკოლოზ ანთიძე – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი

დავით ლომიძე – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე.

I სესია – კულტურული მემკვიდრეობა და მართვა

მოდერატორი – **ირმა დოლიძე** – მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი



მომხსენებლები:

პაატა დოლიძე – სახელმწიფოს როლი კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში;

რუსუდან მირზიკაშვილი – მუზეუმ-ნაკრძალების როლი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მართვაში;

მარინა თაქთაქიშვილი – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რევიტალიზაციის საკითხები მუზეუმში;

ლეილა თუმანიშვილი – კულტურული მემკვიდრეობის მართვა და გეოსაინფორმაციო სისტემები;

კონსტანტინე ნაცვლიშვილი – კულტურული ფასეულობებით არალეგალური ვაჭრობა საქართველოში;

ირმა დოლიძე – მუზეუმ-ნაკრძალები – მართვის ძირითადი საკითხები და თანამედროვე გამოწვევები.

შემაჯამებელი დისკუსია – თემა: **კულტურული მემკვიდრეობა და მართვა**

II სესია – ძირითადი თემა –

სამუზეუმო საქმიანობა – დაცვა – პოპულარიზაცია

მომხსენებლები:

ნანა კუპრაშვილი – კვლევა და კონსერვაცია/რესტავრაცია;

იულონ გაგოშიძე – არქეოლოგიური საცავები;

ნინო კალანდაძე – სამუზეუმო კოლექციების გადაადგილების და კონსერვაციის პროგრამა;

ქეთევან ასათიანი – ხელნაწერთა და საარქივო მასალის აღწერის პრინციპები;

მანანა შეყილაძე – კულტურული მემკვიდრეობა მომავალ თაობას;

აკაკი რეხვიაშვილი – X-XI სს. რელიეფების, ლაპიდარული და ფრესკული ფრაგმენტების მდგომარეობა რაჭაში და მათი გადარჩენის ამოცანები;

დავით ჯავახიშვილი – კახეთის რეგიონის მუზეუმების განვითარების ისტორია და პერსპექტივები;

ნინო ვაჩეიშვილი – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის უცნობი ესკიზები.

შემაჯამებელი დისკუსია – თემა: **სამუზეუმო საქმანობა – დაცვა – პოპულარიზაცია**

II დღე. 14 მაისი

I სესია – ძირითადი თემა – **კვლევა და მუზეუმი**

მოდერატორი – **ეკა კაჭარავა** – მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

მომხსენებლები:

გიორგი გაგოშიძე – ხომლი ალევის მონასტრიდან (ახალი სამუზეუმო ექსპონატი);

ქეთევან დიღმელაშვილი – საკრძალავი რიტუალის ერთი დეტალი მცხეთის მუზეუმიდან;

დიმიტრი ნარიშკინაშვილი – ბეთაშენის არქეოლოგიური ექსპედიციის 2012-2014 წლების სამუშაოს შედეგები;

ვიოლეტა ბალახაშვილი – ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული რომანოვებისეული ჭურჭლის კოლექცია;

ნინო ჯანაშვილი – გრავირებული დეკორით შემკული ბრინჯაოს სარტყლები და ცულები (შედარებითი ანალიზი);

ლამარა ქოზაშვილი – ბორის კუფტინის ხელნაწერი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში;

თამარ კუკულდავა – დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალური მუზეუმი;

ეკა კაჭარავა – ბორჯომის მინერალური წყლის ანტიკურ ხანაში გამოყენების დამადასტურებელი არტეფაქტები.

შემაჯამებელი დისკუსია – თემა – **კვლევა და მუზეუმი**

II სესია – ძირითადი თემა – კვლევა და მუზეუმი

მომხსენებლები:

ნიკოლოზ ჩადუნელი – შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის სუფრის ქურჭელი (ტიპოლოგია-ქრონოლოგია);

როლანდ ისაკაძე – ქუთაისი ძვ. წ. I ათასწლეულში (არქეოლოგიური კვლევის შედეგები და პერსპექტივები);

კობა კობერიძე – ზოგიერთი კერამიკული ფორმა დიდი მცხეთიდან (I-IV სს.);

ნათია მზარელუა – ციხე-გოჯი, ნოქალაქევი, არქეოპოლისი;

ნატო ბეშკენაძე – ბორჯომის რაიონის სოფელ საკრის ტოპონიმიკა;

გიორგი ლალიაშვილი – არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქედში;

გვანცა გეგეჭკორი – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ოდა-სახლი – ფუნქციონირებისა და ექსპოზიციის საკითხები;

ლელა მახარაძე, შალვა ბუაძე – უცნობი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ერთი მეთოდის შესახებ.

III დღე. 15 მაისი

ადგილი – უფლისციხე

ირაკლი მირუაშვილი – მუზეუმ-ნაკრძალები და საგანმანათლებლო პოლიტიკა.

შემაჯამებელი დისკუსია

კონფერენციის დახურვა

Scientific Conference

Dedicated to the International Museum Day

Museum and Cultural Heritage

May 13-15, 2014

A g e n d a

I DAY – MAY 13

Opening – Nikoloz Antidze – General Director of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

David Lomitashvili – Deputy General Director of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

I Session – Cultural Heritage and Management

Moderator – **Irma Dolidze** – Head of Museums and Museum-Reserves Unit

Speakers:

Paata Dolidze – State’s Role in Cultural Heritage Management Sphere;

Rusudan Mirzikashvili – The Role of Museum-Reserves in the World Cultural Heritage Management;

Marina Taktakishvili – The Issues of Intangible Cultural Heritage Preservation and Revitalization in the Museum;

Leila Tumanishvili – Cultural Heritage Management and Geo-Informational Systems;

Constantine Natsvlishvili – Illegal Trade with Cultural Values in Georgia;

Irma Dolidze – Museum-Reserves – Basic Management Issues and Present Challenges;

Summary Discussion – Topic: **Cultural Heritage and Management**

Lamara Kozashvili – Boris Kuffin’s Manuscript, Preserved in Borjomi Museum of Local History;

Tamar Kukuldava – Dimitri Nazarashvili’s Memorial Museum;

Eka Kacharava – Artefacts, Proving Use of Borjomi Water in Antique Period;

Summary Discussion – Topic: Research and Museum

II Session

Speakers:

Nikoloz Chaduneli – Bronze Age Dishware of Shida Kartli (Typology – Chronology);

Roland Isakadze – Kutaisi in I Millennium BC (The Results and Prospects of Archaeological Research);

Koba Koberidze – Some Ceramic Forms from Great Mtskheta (I-IV cc);

Natia Mzarelua – Tsikhe-Goji, Nokalakevi, Archaeopolis;

Nato Beshkenadze – Toponymy of the Village Sakire of Borjomi Region;

Giorgi Lagiashvili – Archaeological Excavations in Kvemo Kedi;

Gvantsa Gegechkori – Oda-House of Ekvtime Takaishvili Archaeological Museum Reserve of Guria – the Issues of Functioning and Exposition;

Lela Makharadze, Shalva Buadze – About One Method of Popularization of Unknown Cultural Heritage;

Discussion – Research and Museum

III DAY – MAY 15

Location – Uplistsikhe

Irakli Miruashvili – Museum reserves and Educational Policy;

Closing of Conference

Summary Discussion

WINATQMA

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის ინიციატივით, საფუძველი ჩაუყარა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის – „**მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა**“ – ჩატარების ტრადიციას.

სამეცნიერო კონფერენცია კულტურული მემკვიდრეობისა და მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების – „**მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა**“ ფარგლებში ჩატარდა.

ღონისძიება მიმდინარეობდა 2014 წლის 13-15 მაისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში (თაბუკაშვილის ქ. №5). 15 მაისს მოენცო გასვლითი სესია. კონფერენცია დაიხურა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში.

სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, სააგენტოში შემავალი მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებმა, ასევე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, სამხატვრო აკადემიასა და საქართველოს ეროვნული არქივის სამუზეუმო სფეროში მოღვაწე სპეციალისტებმა.

კონფერენციაზე განიხილებოდა სამუზეუმო საქმიანობასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემატიკა, მიმდინარე სამუშაოები და სამომავლო გეგმები. გადაწყდა სააგენტოში გაერთიანებულ მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში გეგმიური კვლევის პოლიტიკის დანერგვა.

წარმატებული სამუზეუმო ექსპოზიცია, რეექსპოზიცია თუ დროებითი გამოფენა წინასწარული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგია.

სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის გააქტიურება განსაკუთრებით აქტუალურია სააგენტოს შემადგენლობაში გაერთიანებული მუ-

ზეუმებისათვის. ამის დასტურია სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში მიმდინარე ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის პროცესი, რომელიც ნათლად ასახავს, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობი ან დაუზუსტებელია ამა თუ იმ ექსპონატის თარიღი, რაობა თუ ფუნქციური დატვირთვა.

კვლევა კონკრეტულ შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. შესაძლებელია სააგენტოს შემადგენლობაში არსებულ მუზეუმთა შორის კოორდინაცია და მსგავსი პრობლემების, კოლექციებისა თუ საარქივო მასალის საფუძველზე საერთო საკვლევი თემატიკის დაგეგმვა და ამ კვლევის საფუძველზე ერთობლივი გამოფენების ორგანიზება (თემატური, ტიპოლოგიური, ქრონოლოგიური), რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც საკუთრივ კვლევას, ისე მუზეუმთა თუ მუზეუმ-ნაკრძალთა კომუნიკაციას, წახალისებს ახალ ინიციატივებსა და შემოქმედებით საქმიანობას.

ცხადია, ამ მიმართულებით კვლევა გააქტიურებას ითხოვს. აუცილებელია ფონდების არა მხოლოდ აღწერა, არამედ ფონდებში დაცული მასალის სათანადო ცოდნა. ეს ეხება როგორც კოლექციებს, ისე საარქივო მასალას. სასურველია ამ მიმართულებით სააგენტოს მიერ პრიორიტეტების განსაზღვრა და სამოქმედო პოლიტიკის დაგეგმვა, მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების შესაბამისი პერსონალის მუშაობისა და სააგენტოსთან კოორდინაციის გაძლიერება.

ამ თვალსაზრისით ეფექტური საქმიანობისათვის აუცილებელია კვლევის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს მუზეუმის ვალდებულებას აწარმოოს კვლევითი საქმიანობა. თანამშრომლთა მიერ უნდა მომზადდეს კვლევის ინდივიდუალური წლიური გეგმა, სადაც დაკონკრეტებული იქნება კვლევის ამოცანები, იქნება ეს სამეცნიერო-აკადემიური მიმართულება, კოლექციები თუ გამოფენები. ასევე, კვლევა შეიძლება მოიცავდეს მართვის, დაცვის, მარკეტინგის განვითარების, დამთვლიერებელთან კომუნიკაციის თუ სხვა პრობლემატიკას.

ინდივიდუალური გეგმები შეთანხმებული უნდა იყოს სააგენტოსთან, რათა გახდეს ერთიანი გეგმიური კვლევის შემადგენელი ნაწილი.

კვლევის შედეგები წარმოდგენილი იქნება ყოველწლიურ კონფერენციაზე, განიხილება და დაიბეჭდება კრებულში, რომელიც თავის მხრივ ფუნქციური და ყოველდღიური პრაქტიკული სამუზეუმო საქმიანობისათვის იქნება გათვალისწინებული.

კონფერენციაზე განიხილება საგანმანათლებლო პოლიტიკის შემდგომი განვითარება, მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში კომუნიკაციის გაუმჯობესების გზები და საშუალებები, ერთობლივი პროექტების განხორციელება, სამომავლო კონფერენციაში რეგიონალური უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა და მონაწილეობა, კონფერენციაზე განხილულ პრობლემათვის შესაბამისობაში და საჭიროებებიდან გამომდინარე მომავალი კონფერენციის გაფართოება.

სამუშაო რეჟიმში ჩატარებულმა ღონისძიებამ ცხადყო მისი მრავალმხრივი აქტუალობა და საჭიროება.

საკონფერენციოდ წარმოდგენილი მოხსენებებიდან გამომდინარე, კონფერენციის თემატიკა რამდენიმე ძირითად მიმართულებად გამოიკვეთა: კულტურული მემკვიდრეობა და მართვა, სამუზეუმო საქმიანობა – დაცვა-პოპულარიზაცია, კვლევა და მუზეუმი, არქეოლოგია.

კონფერენციის ფარგლებში სააგენტოს შემადგენლობაში არსებულ მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ სხვა ინსტიტუციებში (საქართველოს ეროვნულ მუზეუმი, სამხატვრო აკადემია, საქართველოს ეროვნული არქივი) ამავე სფეროში მოღვაწე სპეციალისტების გამოცდილებას.

სააგენტოს ფარგლებში, ჩვენი სამსახურის მიერ ინიცირებული კონფერენცია წელს პირველად ჩატარდა და ითვალისწინებს სამომავლო საქმიანობის განვითარებასა და წახალისებას.

კრებული **„მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“** კონფერენციის შედეგებს ასახავს.

თანამედროვე მაღალგანვითარებული ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების ეპოქაში, ჩვენი საქმიანობა გვავალდებულებს არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების გათვალისწინებით (რაც თავის მხრივ გულისხმობს დამთვალიერებლის ბაზ-

რის შესწავლას, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების და-
ნერგვას, დამთავალიერებელთან კომუნიკაციის ეფექტურობის
ზრდას, ინტერიერისა და ლანდშაფტის დიზაინის საკითხებს,
მუზეუმის ეფექტურ ინტერპრეტირებას) ვიფიქროთ სამუზეუ-
მო საქმიანობის სამომავლო ეფექტურ განვითარებაზე. აღნიშ-
ნული მიმართულებით დაწყებული პროცესის საილუსტრაციოდ
კრებულში გამოქვეყნებულ საკონფერენციო მასალებს ვურთავთ
სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის
სამუზეუმო მიმართულებით განხორცილებული საქმიანობის ამ-
სახველ მასალას.

ეკა კაჭარავა

სააგენტოს მუზეუმებისა და
მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური



Introduction

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, on the initiative of the Museums and Museum-Reserves Service, laid foundation for the tradition of conducting an annual scientific conference “Museum and Cultural Heritage”.

The scientific conference for held in the framework of the event, dedicated to the international day of cultural heritage and museum – “Museum and Cultural Heritage”.

The event was held on May 13-15, 2014 in the Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (5, Tabukashvili Str.). Field session was arranged on May 15. The Conference was closed in Uplistsikhe Historical- Architectural Museum-Reserve.

The personnel of the Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Museums and Museum-Reserves within the Agency, as well as the specialists, working in the National Museum of Georgia, Academy of Art and museum sphere of the National Archive of Georgia participated in the Conference.

Actual issues, related to the museum activities, current works and future plans were discussed on the Conference. It was decided to introduce the policy of the planned research in Museums and Museum-Reserves under the Agency.

Successful museum exposition, re-exposition and temporary exhibition is the result of preliminary scientific research activities.

Activation of scientific research policy is particularly important for the museums unified under the Agency. It is proven by the process of inventory and passportization, taking place in the Museums and Museum-Reserves of the Agency, which clearly reflects that often the date, essence and functional sense of this or that exhibit is unknown or not exactly specified to us.

Research shall be specific result-oriented. Coordination among the museums under the Agency and planning of common research topics on the basis of similar problems, collections and archive materials and organization of joint exhibitions (thematic, typological, chronological) on the basis of such research is possible. It will contribute to the research

itself, as well as communication among Museums and Museum-Reserves, and will encourage new initiatives and creative activities.

Obviously, research in this direction needs activation. Not only description of funds, but the relevant knowledge of the materials, preserved in funds, is necessary. It relates to the collections as well as archive materials. The Agency shall desirably define the priorities and plan the action policy, strengthen activities of the relevant personnel of museums and museum-reserves and coordination with the Agency.

From this viewpoint, efficient activities requires development of research policy, which, in its turn, provides for the museum's obligation to conduct research activities. The employees shall develop individual annual research plan, where the research objectives will be specified – be it scientific-academic direction, collections or exhibitions. The research may also cover management, preservation, marketing development, visitor communication and other issues.

Individual plans shall be agreed with the Agency and make constituent element of uniform planned research.

The research results will be presented on the annual conference, discussed and printed in the collection, which will be intended for functional and every-day practical museum activities. Further development of educational policy, the ways and means of improvement of communication in Museums and Museum-Reserves, implementation of joint projects, involvement and participation of regional higher educational institutions in the future conference, enlargement of the future conference in conformity with the discussed problems and following the needs were also discussed on the Conference.

The event, conducted in working regime proved its multi-sided urgency and need.

Following the reports, presented on the Conference, the topics of the Conference were divided in several main directions: cultural heritage and management, museum activities – preservation and popularization, research and museum, archaeology.

In the framework of the Conference the employees of the Museums and Museum-Reserves under the Agency were given opportunity to share the experience of the specialists, working in the same sphere in other institutions (National Museum of Georgia, Academy of Art, National Archive of Georgia).

პაატა დოლიძე

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორის მრჩეველი, დოქტორანტი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

SAXELMWIFOS RQI KULTURULI MEMKVIDREØIS MARTVIS SFROSI

სახელმწიფოს როლი კულტურული მემკვიდრეობის სფეროს კოორდინაციასა და რეგულირებაში უმნიშვნელოვანესია. იგი პირდაპირ კავშირშია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირების, მისი ხელმისაწვდომობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის, ხელოვნებისა და შემოქმედების მხარდაჭერის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ კულტურის გატანისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობასა და, ზოგადად, მართვის მექანიზმების შექმნაში.

კულტურის სფეროს მართვას სახელმწიფო ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესაბამისი სტრუქტურებით ახორციელებს. ამჟამად მოქმედი კონსტიტუციით, საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირი არის საქართველოს პრეზიდენტი, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საქართველოს პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო კი საქართველოს მთავრობა. კულტურის სფეროს პრობლემატიკზე კი მუშაობენ: პრეზიდენტის ადმინისტრაციაში – კულტურული ღონისძიებების სამსახური; საქართველოს პარლამენტში – განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი; საქართველოს მთავრობაში – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. ამასთან, კულტურის სფეროს მხარდაჭერისა და განვითარების საკითხები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ეხება ყველა დონის სხვა სახელმწიფო ორგანოებსაც.

„კულტურის პოლიტიკა ხორციელდება მმართველი ინსტიტუტების მიერ და მოიცავს სფეროს მართვის პრინციპებს. პოლიტიკა არის საბოლოო შედეგების, პრაქტიკული მიზნებისა და ხერხების სისტემა, რომელსაც მიემართება ჯგუფი და ახორციელებს მმარ-

თველი ძალა. პოლიტიკა მოიცავს საბოლოო (გრძელვადიან) შედეგებს, საშუალოვადიან და გაზომვადი მიზნების, საშუალებებისა და ხერხების ერთობლიობას, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია ექსპლიციტურად მთლიან სისტემაში“ (აუგუსტინ ჟირარდი).

კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. სახელმწიფოს როლი კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში რამდენიმე ბერკეტის გამოყენებას ითვალისწინებს. ესენია:

კანონმდებლობა – კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართლებრივი პირობების, ნორმების, გარანტიების შექმნა და მოქმედი კანონების აღსრულებაზე კონტროლი.

დაფინანსება – სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული სახელმწიფო ორგანიზაციების შესანახად და სახელმწიფო პროგრამების/პროექტების განხორციელების მიზნით.

საკუთრება – კულტურული მემკვიდრეობის სფეროში არსებული ორგანიზაციების ქსელის შექმნა და საქმიანობა.

კონტროლი და ადმინისტრირება – მართვის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა და კონტროლი დამფუძნებლებისა და ზემდგომი ინსტანციების მხრიდან.

სტიმულირება – შეღავათიანი დაბეგვრა და სხვა ქმედებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და პოპულარიზაციას.

ინფორმაცია – გადანყვეტილების მიღების, საქმიანობის, მისი შედეგების ანალიზის პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა.

ორგანიზაციების, პროგრამებისა და პროექტების საორგანიზაციო მხარდაჭერა – სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უმალეს, საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე) კულტურული მემკვიდრეობის სფეროს სპეციალისტებისა და მომუშავეების მომზადება/გადამზადება, საგანმანათლებლო ორგანიზაციებში სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვაზე კონტროლი (ლიცენზირება, აკრედიტაცია).

Paata Dolidze

*Advisor to Director General of the National Agency
for Cultural Heritage Preservation of Georgia,*

State's Role in the Sphere of Cultural Heritage Management

Participation of a cultural state is expressed in coordination and regulation of the sphere, which is directly linked to maintenance and functioning of historical and cultural heritage, its availability, preservation of cultural diversity, support of art and creative activities, introduction and popularization of culture beyond the borders of the country.

The state implements management of cultural sphere through the structures, corresponding to the system of government. According to the current Constitution, the highest official person in the Georgia is the President of Georgia, the highest legislative body – the Parliament of Georgia, and the highest executive body – the Government of Georgia. The following departments work on the problems of cultural sphere: in President's Administration – Service of Cultural Events; in the Parliament of Georgia – Committee of Education, Science and Culture; In the Government of Georgia – the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia. Besides, the issues of support and development of the sphere of culture apply to other governmental authorities of all levels, within their competence.

„Policy of culture is implemented by governing institutions and includes the management principles of the sphere. Policy is the system of final results, practical objectives and methods, developed by a group and implemented by governing power. Policy covers ultimate (long-term) outcomes, the unity of medium- term and measurable objectives, means and methods, explicitly inter-related in uniform system” (Augustin Gerard).

One of the important segments of the cultural policy is preservation of cultural heritage. The state's role in the sphere of cultural heritage management provides for the use of several levers. These are:

Legislation – creation of legal terms, norms, guarantees in the sphere of cultural heritage and control over enforcement of the existing laws.

მარინა თაქთაძიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-დოკუმენტირების
სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ARAMATERIALURI KULTURULI MEMKVIDREOBIS DACVISA DA REVITALIZACIIS SAKITXBI MUZEUMSI

კულტურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის მრავალპლანიან, მათ შორის შემოქმედებით მოღვაწეობას. სწორედ ამას ეფუძნება კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნებაც. მისი შეგროვება, დაცვა და განვითარება ხშირად უკავშირდება მუზეუმის, როგორც ინსტიტუციის განვითარებას, პროფილს, როლსა და ადგილს კულტურულ სივრცეში (სოციუმში).

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (აკმ) სამუზეუმო საქმიანობის ქრილში განხილვისას, ყურადღებას იმსახურებს სამუზეუმო ექსპონატის განმარტება, რომელიც მას კომუნიკაციის ძირითად საშუალებად აქცევს. მკვლევარების აზრით, სამუზეუმო ექსპონიციის მატერიალური ფორმა თავის თავში გულისხმობს ერთი მხრივ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს, როგორც დამზადების ტექნოლოგიას და, მეორე მხრივ, თავად აკმ-ს არტიფაქტს (მ. შერერი, რ. ბეიერ-დე ჰანანი, ნ. მალცევი).

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის და სამუზეუმო საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, მათი ურთიერთკავშირის და ურთიერთგადაკვეთის ასპექტების ძიების პროცესში ვეფუძნებით სამ ძირითად პოსტულატს: 1. კულტურასთან მიმართებაში მემკვიდრეობას ენიჭება ფუნდამენტის ფუნქცია, ის გვევლინება აკმ-ს ელემენტის გაცოცხლებისა და განვითარების აუცილებელ პირობად, ანუ მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია; 2. კულტურული მემკვიდრეობის გააზრებისა და გამოყენების მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ ლოგიკურად მიგვიყვანა სოციოკულტურული ინსტიტუტების წარმოშობამდე (მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი). მათი მთავარი ფუნქციაა ამ მემკვიდრეობის დაცვა, შესწავლა, პრეზენტირება და პოპულარიზაცია; 3. ინ-

დივიდისა და სოციუმის მიზანმიმართული მოღვაწეობის გარეშე კულტურული ფასეულობები ვერ იქნება აღმოჩენილი, შესწავლილი, მით უფრო, რომ კულტურული მემკვიდრეობა სენსიტიური ბუნების გამო ხშირ შემთხვევაში არ ექვემდებარება აღდგენას.

თანამედროვე სოციოკულტურული რეალობა მუზეუმს უბიძგებს კიდევ უფრო მეტად გამოკვეთოს თავისი საჭიროება და როლი ახალი ინფორმაციის და სულიერი ფასეულობების გენერირებისათვის. თუ, არც ისე დიდი ხნის წინ, სამუზეუმო ექსპოზიციის ხარისხის განმსაზღვრელ სამეცნიერო სქემებთან შესაბამისობა და ნივთებსა და კოლექციებზე ფოკუსირება გახლდათ, თანამედროვე მიდგომები მუზეუმის ახალი, ორიგინალური, საგანმანათლებლო პროექტების, ექსპოზიციების განსხვავებულ ინტერპრეტირებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-შემეცნებით ნოვაციებს გულისხმობს, რომლებიც სამეცნიერო კვლევებს, ინდივიდუალურ-შემოქმედებით ძიებებსა თუ მიგნებებს ეფუძნება. სამუზეუმო საქმიანობა დეკლარაციისა და მონოლოგის რეჟიმიდან გადადის დიალოგისა და პოლილოგის რეჟიმში. ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის ჩართულობა და წარმოჩენა, როგორც სამუზეუმო საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი.



Marina Taktakishvili

*Senior Specialist of Monuments Inventory and Documentation Unit
of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia*

The Issues of Preservation and Revitalization of Intangible Cultural Heritage in Museum

Cultural Heritage represents multidimensional – including creative – sphere of human activities; and the diversity of cultural heritage is based on these activities. Its collecting, preservation and development is often related to development, profile of the museum, as an institution, and its role and place in cultural space (socium).

When considering intangible cultural heritage (ICH) from the viewpoint of museum activities, attention should be paid to the explanation of a museum exhibit, which makes it the main tool of communication. In researchers' opinion, material form of museum exposition implies, on the one hand, the element of intangible cultural heritage, as production technology, and, on the other hand, ICH artefact itself (M. Sherer, R. Beier-de Haan, N. Maltsev).

With consideration of specificity of intangible cultural heritage and museum activities, in the process of their inter-relation and cross-section aspects, we rely on three basic postulates: 1. In regard to culture, heritage is attached the function of a fundament, it appears to be key condition of revival and development of ICH element, i.e. it's the basis of viability of heritage; 2. Centuries-old tradition of understanding and use of cultural heritage led us to creation of social- cultural institutions (museum, library, archive). Their key function is preservation, study, presentation and popularization of this heritage; 3. Cultural values can't be discovered, studied without targeted activities of an individual and a socium, the more so that cultural heritage, due to its sensitive nature, often can't be restored.

Present-day social- cultural reality prompts museum to outline its needs and role for generation of new information and spiritual values more clearly. If, not long ago, compliance with scientific schemes and focusing on items and collections was determining the quality of museum exhibition, modern approaches imply new, original, educational projects, original interpretation of exhibitions, cultural-educational and cultural-cognitive innovations, which are based on scientific studies, individual-creative researches and findings. From the regime of declaration and monologue, museum activities shift to the regime of dialogue and polylogue. Involvement and promotion of cultural heritage element, as one of the components of museum activities, gain special importance in this process.

ლეილა თუშანიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
საინფორმაციო სისტემებისა და საგანმამათლებლო სამსახურის უფროსი
არქიტექტურის დოქტორი

KULTURULI MEMKVIDREᄒIS MARTVA DA GEOSAINFORMACIO SISTEMEBI

ინფორმაციის თავმოყრა, მისი ერთიან ფორმატში სისტემატიზაცია და მუდმივი განახლება არის კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვისა და დაგეგმვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მართვაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა 2005 წლიდან მოყოლებული დღემდე სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტის მეშვეობით ხორციელდებოდა – თბილისის ისტორიულ - კულტურული საყრდენი გეგმა 2005-2007; ბათუმის ისტორიულ - კულტურული საყრდენი გეგმა 2006-2007; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის ინოვაციური რეორგანიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის რესურსების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა 2006-2008; მოძრავი ძეგლების ზოგადი მონაცემთა ბაზა 2008; კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტთა საცავის (არქივის) დიგიტალიზაცია (2005 -დღემდე) და არქივის მონაცემთა ბაზის პროგრამული ვებ ინტერფეისის შექმნა (2012 წ.); კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ინფორმაციის გის-ში განთავსება – www.myherita.ge 2012 და სხვა.

საინფორმაციო სისტემების სამსახურში მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის არქივის დიგიტალიზაციის და მონაცემთა ბაზის შევსების პროცესი. პროექტი დაიწყო 2005 წელს და დღეისათვის არქივის მონაცემთა ბაზაში გათავსებულია დიგიტალიზებული ინფორმაცია (პროექტები, ანაზომები, ფოტოები, პასპორტები და სხვა) **9121 ძეგლზე/ობიექტზე**.

არქივის დიგიტალიზაციის პროცესი 2009 წლიდან ხორციელდება ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და სა-

ქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

არქივის მონაცემთა ბაზის საფუძველზე ფუნქციონირებს ვებ-პორტალი www.dataherita.ge, რომლის მეშვეობით ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაცია არქივში განთავსებული ძეგლების დოკუმენტაციაზე. დოკუმენტაციის სრულ ვერსიასთან მუშაობა შესაძლებელია სააგენტოში ელექტრონულ ფორმატში.

გის-ის (GIS) მიმართულებით ფუნქციონირებს საიტი www.myherita.ge, რომელზეც განთავსებულია ზოგადი ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ.

საიტის ძირითადი მიზანია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის.

საიტზე უკვე განთავსებულია პირველადი ინფორმაცია 2299 ძეგლზე/ობიექტზე.

ამავე საიტის მეშვეობით სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომლები რეგიონებიდან მუშაობენ ინტერაქტიულ რეჟიმში და განათავსებენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ, მათი ზუსტი ადგილმდებარეობის (GPS კოორდინატები) ჩვენებით.

ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში (2012-2016 წწ.) საინფორმაციო სისტემების მიმართულებით ხორციელდება პროექტი:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის და გის (GIS) პორტალის შექმნა და განვითარება (2013-2016 წწ.)

პროექტის ფარგლებში იქმნება კულტურული მემკვიდრეობის მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომლის დანიშნულებაა ცენტრალურ და რეგიონულ მართვის სტრუქტურებსა და მასთან დაკავშირებულ უწყებებთან ინფორმაციის გაცვლის სისტემის შექმნა და ფართო საზოგადოებისთვის ამ მონაცემებთან წვდომის გაუმჯობესება.

პროექტის მეშვეობით იქმნება ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე საქართველოს ნების-

მიერი კუთხიდან ინტერაქტიულ რეჟიმში ინფორმაციის შევსების და განახლების საშუალებას.

კომპლექსური მონაცემთა ბაზა მოიცავს ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ობიექტებზე/ძეგლებზე, მასთან დაკავშირებულ დამცავ ზონებზე, კედლის მხატვრობაზე და ქვაზე კვეთილობაზე და ამასთანავე მოძრავ კულტურულ ფასეულობებზე, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა მუზეუმებში და მუზეუმ-ნაკრძალებში.

დაგვეგმილია კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის კავშირის (ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა) უზრუნველყოფა სხვა სახელმწიფო ინსტიტუციებთან: სამინისტროები, მუნიციპალური სამსახურები, საჯარო რეესტრი, ავტონომიური რესპუბლიკების კულტურული მემკვიდრეობის ინსტიტუციები, საერთაშორისო პარტნიორები, საპატრიარქო, ეროვნული მუზეუმი, უმაღლესი სასწავლებლები.

სისტემის მეშვეობით მოსახლეობა შეძლებს მიიღოს ინფორმაცია:

- ძეგლების ადგილმდებარეობაზე საქართველოს ერთიანი ელექტრონული რუკის საფუძველზე (ერთიანი ელექტრონული რუკის მომზადებას უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო).
- ძეგლის სტატუსსა და კატეგორიაზე.





სივრცითი ფორმაციის ბუნებას რუკა

- 1 - ფიჭი
- 2 - ჯანდაცობა
- 3 - ნიშნობის ქ. 23
- 4 - 6 მაისის პარკი და ნაჩიბოვის ტაძარი
- 5 - მაკაბეძეძის ქ. 8
- 6 - ბაიბურაშვილის ქ. 8
- 7 - ქ. ბაიბურაშვილის ქ. 11
- 8 - ბოლშევიკის ქ. 10
- 9 - შიშხაბაშვილის ქ. 8
- 10 - ძველი რაინდობის სახლი
- 11 - აბაშის მუზეუმი
- 12 - სააბაშოვო ტყე

დანიშნული სივრცითი ფორმაცია და კულტურული მემკვიდრეობის სივრცე



- ძეგლის არქიტექტურულ-მხატვრული სახის, პერიოდის და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ.
- ძეგლის ტერიტორიაზე და მის დამცავ ზონებზე.
- ძეგლზე მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე.
- ძეგლზე გაცემულ ნებართვებზე.
- ინფორმაციას ძეგლზე შესრულებული პროექტების შესახებ (კულტურული მემკვიდრეობის საცავის/არქივის ელექტრონული მასალის მონაცემთა ბაზის მეშვეობით).
- ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და დასაშვები სამუშაოების შესახებ.

საინფორმაციო სისტემების განვითარება კულტურულ მემკვიდრეობაში ხელს შეუწყობს კულტურული მემკვიდრეობის მართვის ეფექტური ხელსაწყოების შექმნას, რაც დაეხმარება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების სწორედ დაგეგმვას და განხორციელებას.

Leila Tumanishvili

*Head of Information Systems, Education and Marketing Department of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctor of Architecture*

Cultural Heritage Management and Geo- Informational Systems

One of the most important instruments of management and planning of cultural heritage resources is collecting information, its systemization in uniform format and permanent updating.

Introduction of modern technologies in management of cultural heritage sphere, since 2005 up to date, have been implemented through various large-scale projects – Tbilisi Historical- Cultural Basic Plan 2005 – 2007; Batumi Historical- Cultural Basic Plan 2006 – 2007; Innovative Reorganization of Uniform Informational System of Cultural Heritage of Georgia and Introduction of Modern Technologies of Cultural Heritage Management 2006 – 2008; General Database of Movable Monuments 2008; Digitalization of Documents’ Depository (Archive) of Cultural Heritage (2005- to date) and creation of program web-interface of Archive Database (2012); Uploading of information on cultural heritage objects in GIS - www.myherita.ge (2012), etc.

Informational Systems Unit is in the process of digitalization of archive of cultural heritage and entering data in database. The Project started in 2005 and by now digitalized information (projects, measurements, photos, Passports, etc.) for **9121 monuments/ objects** is placed in the archive database.

Archive digitalization process has been implemented since 2009 in the framework of the agreement, concluded between Norwegian Directorate for Cultural Heritage and National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

Web-portal www.dataherita.ge operates on the basis of the archive database, through which any interested person can obtain information

on documentation of the monuments, included in the archive. Working with full version of documentation is possible in electronic format in the Agency.

Site www.myherita.ge operates in GIS direction, where general information about cultural heritage monuments is placed. The goal of the site is to ensure availability of general information on cultural heritage to society.

Primary information on 2299 monuments/ objects is already placed on the site.

Through this site, the employees of museum- reserves under the Agency work in interactive regime from regions and upload information on cultural heritage monuments/ objects, indicating their exact location (GPS coordinates).

In the framework of the agreement, concluded between Norwegian Directorate for Cultural Heritage and National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (2012- 2016) the following project is under implementation in the aspect of informational systems:

- **Creation and Development of Database Management System and GIS Portal for Cultural Heritage of Georgia (2013 - 2016).**

In the framework of the project, integrated system of cultural heritage management is being created, which is intended for creation of information exchange system between central and regional management structures and the related departments and improvement of access to these data.

The project creates the tool, which provides opportunity of filling in and updating of information on cultural heritage objects in interactive regime from any region of Georgia.

Complex database includes information on immovable objects/ monuments of cultural heritage, existing in the country, the related protection zones, wall- paintings and stone engravings, and, besides, on movable cultural values located in different museums and museum-reserves.

It is planned to ensure connection (possibility of data exchange) of the database of cultural heritage with other governmental



ირმა ღოლიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

MUZEUM-NAKRZALEBI – MARTVIS ZIRITADI SAKITXBI DA TANAMEDROVE GAMOWXEBI

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის გამტარებელი ორგანოა. იგი ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას და სფეროზე პასუხისმგებლობის გარდა, თავად წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების ერთობლიობას (შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 ნოემბრის №533 ბრძანებულების საფუძველზე და მის სტრუქტურაში გაერთიანებულია ქვეყანაში დღეს არსებული მუზეუმ-ნაკრძალების უმრავლესობა), მათ შორისაა ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც.

მუზეუმ-ნაკრძალები მოიცავენ რა დიდ ტერიტორიებს (ზოგჯერ ჰექტრებს, ერთანეთისაგან ტერიტორიულად დაცილებულ კომპლექსებს და ა.შ.) და ფლობენ ათასობით და ათეულ ათასობით ექსპონატს, აერთიანებენ კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვან სპექტრს.

მუზეუმ-ნაკრძალის ფუნქცია მის დაქვემდებარებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის საიტების დაცვა, შესწავლა, პრე-

ზენტირება, სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა, პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდა თაობის დაინტერესებაა. მისი პასუხისმგებლობა, ასევე, ვრცელდება მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალში არსებული ძეგლების მონიტორინგზე, მდგომარეობის შეფასებასა და დოკუმენტირებაზე. მუზეუმ-ნაკრძალები, მათი სამოქმედო არეალებით, ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს მოიცავენ. შესაბამისად, ამ კომპლექსური საიტების მართვა დაცვის ღონისძიებათა თანამიმდევრულ, უწყვეტ პროცესს უნდა მოიცავდეს, როგორცაა ტიპოლოგიურად განსხვავებული ძეგლების (უძრავი, მოძრავი) დაცვა-კონსერვაცია, მათი ექსპონირება-პრეზენტაცია, მონიტორინგი, ატრიბუცია-დოკუმენტირება, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, ინფრასტრუქტურის შექმნა, პოპულარიზაცია. ამიტომ მუზეუმ-ნაკრძალების მართვის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, მისი გამართული ფუნქციონირების გრძელვადიანი პერსპექტივით, აქტუალური საკითხია.

ყველა მუზეუმ-ნაკრძალი თავისი სტრუქტურითა და საშტატო შინაარსით სააგენტოში გაერთიანების დროისთვის (2008-2011 წ.) რადიკალურად განსხვავდებოდა და არ შეესაბამებოდა თანამედროვე გამოწვევებს. ამჟამად არსებული სტრუქტურა ამოქედდა 2012 წელს (შემუშავებულია 2011 წელს, როდესაც შეიქმნა მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახური) და ეფუძნება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების უმთავრეს მიმართულებებს: მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების *ყოველდღიური მოვლა-პატრონობა* (საიტ-მენეჯერი); მუზეუმ-ნაკრძალის სამოქმედო არეალში არსებული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ობიექტების *ინვენტარიზაცია* და *მონიტორინგი* შესაბამისი დოკუმენტირებით (მონიტორინგის სპეციალისტი); სამუზეუმო *კოლექციების* დაცვა და შესწავლა-დოკუმენტირება (ფონდების მცველი და კოლექციათა ატრიბუციის სპეციალისტი); კულტურული მემკვიდრეობის *პოპულარიზაცია* და *საგანმანათლებლო მიმართულება* (საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტი); კულტურული მემკვიდრეობის *ინტერპრეტაცია* და *ვიზიტორთა მომსახურება* (კურატორი და ექსკურსიამძღოლი); მუზეუმ-ნაკრძალის საქმიანობის *კოორდინაცია* და *მართვა* (მმართველი).

მუზეუმ-ნაკრძალი, მისი ტიპოლოგიური და სახეობრივი მრავალ-

ფეროვნების გათვალისწინებით, კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარი მინიმოდელია, რომელიც აერთიანებს უძრავ ძეგლებსა და ობიექტებს – არქიტექტურული, არქეოლოგიური, მონუმენტური მხატვრობის ნიმუშებს, კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტებსა და მოძრავ ძეგლებს (სამუზეუმო ექსპონატები). ამიტომ ზემოაღნიშნული მიმართულებების გარდა, მნიშვნელოვანია მუზეუმ-ნაკრძალში ყველა იმ დარგის სპეციალისტისა და შესაბამისი პოზიციის შემოღება როგორცაა: ქვის კონსერვატორი – მუზეუმ-ნაკრძალები, რომლებიც არქიტექტურულ მემკვიდრეობას აერთიანებენ (ვარძია, უფლისციხე, ნოქალაქევი, მცხეთა, გრემი, ქუთაისი და ა.შ) – მუდმივი მოვლა-პატრონობის რეჟიმში ადგილზე საჭიროებენ კვალიფიციურ სპეციალისტებს, რაც პრევენციისა და, ზოგადად, დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა; სამუზეუმო ექსპონატების რესტავრატორი – მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში, სადაც ათეულ ათასობით ექსპონატია დაცული – ასეთია მცხეთის, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალები; ბორჯომის, სტეფანწმინდის, მირზაანის მუზეუმები; სარესტავრაციო ლაბორატორიის შექმნა – სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში დაცული არტეფაქტების დაცვისა და კვლევისთვის; შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მცხეთის ახალი მუზეუმის ბაზაზე, რომლის საპროექტო წინადადებაშიც იგი უკვე ასახულია; არსებითია სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სტიმულირება და პროფესიული კადრების მომზადების ხელშეწყობა.

ეს მიმართულებები მნიშვნელოვანია როგორც მუზეუმ-ნაკრძალების სრულფასოვანი ფუნქციონირება-განვითარებისთვის, ასევე, მუზეუმ-ნაკრძალების გაერთიანებული სისტემისთვის – სააგენტოსთვის. ამგვარად საქმე გვაქვს ქვეყნის მასშტაბით, არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის რეგიონალურ ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციაზეც დამოკიდებულია არამარტო მუზეუმ-ნაკრძალში, არამედ მის სამოქმედო არეალში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-შენარჩუნება.

მუზეუმი/მუზეუმ-ნაკრძალი დღეისათვის აღარ არის მხოლოდ სიძველეთა საცავი, მას გაზრდილი სოციალური ფუნქცია და აქტიური საგანმანათლებლო-შემეცნებითი დატვირთვა აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რას ველით ამა თუ იმ მუზეუმ-ნაკრძალიდან? როგორია მისი პოტენციალი? რას სთავაზობს და რა შეიძლება შესთავაზოს დამთვალიერებელს? რა მისია აქვს და

როგორია მიზნისკენ მიმავალი კონკრეტული ნაბიჯები? ყველა ამ კითხვაზე პასუხი თავს იყრის მართვის გეგმაში – მუზეუმ-ნაკრძალის/მუზეუმის განვითარების ძირითად სამოქმედო დოკუმენტში, რომლიც სახელმძღვანელოა და, ამავდროულად, განახლებადი. მართვის გეგმის შემუშავების ორი უმთავრესი პირობაა: ინტელექტუალური რესურსი – კვალიფიკაციური კადრები და ფინანსური რესურსი – გეგმის განხორციელების შესაძლებლობა.

დეცენტრალიზაცია, როგორც მუზეუმ-ნაკრძალების განვითარების ეტაპი, უნდა გახდეს პროცესის ლოგიკური შედეგი. მისი პირველი საფეხური მართვის ცენტრალიზებული ვერტიკალის შესუსტებაა: მუზეუმ-ნაკრძალებისა და მუზეუმების კადრების გაძლიერების საფუძველზე – კვალიფიკაციის ამალებისა და სწავლების პერმანენტული სისტემით; მუზეუმ-ნაკრძალების მიერ მომზადებული პროექტებისა და ინიციატივების წახალისება; ფინანსური დამოუკიდებლობის შესაძლებლობათა საკანონმდებლო საფუძვლის მომზადება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, მისი შესაბამისი გამოყენების პირობებში, რეალურად ფლობს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის რესურსს. მხოლოდ პროფესიული კადრების, სწორად განსაზღვრული მექანიზმების, მოთხოვნათა მაღალი სტანდარტებისა და საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების საფუძველზე.



Irma Dolidze

*Head of Museums and Museum-Reserves Unit of the National Agency
for Cultural Heritage Preservation of Georgia
Doctor of Art History*

Museum-Reserves — Basic Management Issues and Present-day Challenges

The National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia is the authority, implementing state strategy in the sphere of cultural heritage. It implements State Program for Cultural Heritage Preservation and, in addition to the responsibility for the sphere, the Agency itself presents the unity of cultural heritage monuments and objects (it is established on the basis of the Decree #533 dated November 3, 2008 of the President of Georgia and unifies majority of the museum-reserves, existing in the country, in its structure), including national and world cultural heritage monuments.

Museum-reserves, covering big territories (sometimes hectares, complexes, territorially remote from each other, etc.) and owning thousands and tens of thousands of exhibits, unify diverse spectrum of cultural heritage.

The function of the museum-reserve is preservation, study, presentation of the cultural heritage sites under its management, recording of museum exhibits, their popularization, development of educational programs and interesting of young generation. Its responsibility also includes monitoring of the monuments, existing within the action area of the museum-reserve, assessment and documenting of their condition. Museum-reserves, with their action areas, cover big part of the territory of the country. Consequently, management of these complex sites shall include consistent, continuous process of management and preservation measures, like preservation-conservation of typologically different monuments (movable, immovable), their exhibition-presentation, monitoring, attribution-documenting, development of educational programs, creation of infrastructure, popularization. So, formation of modern system of management of museum-reserves with long-term proper operation perspective is an important issue.

By the time of unification under the Agency (2008-1011), all museum-reserves were essentially different by their structure and staff content

and didn't comply with the present-day challenges. The existing structure was enacted in 2012 (it was developed in 2011, when Museum- Reserves and Museum Collections Management Service was established) and is based on the main directions of preservation and development of cultural heritage: *routine maintenance* of the cultural heritage monuments and objects existing on the territory of the museum- reserve (Site Manager); *inventarization and monitoring* of cultural heritage monuments and objects existing on the action area of the museum- reserve with the relevant documenting (Monitoring Specialist); *preservation and study-documenting* of museum *collections* (Custodian of Funds and Specialist of Collections Attribution); *popularization of cultural heritage and educational direction* (Specialist of Educational Programs); *interpretation of cultural heritage and visitor service* (Curator and Guide); *coordination and management* of activities of the museum-reserve (Manager).

Museum-reserve, with consideration of its typological and special diversity, is a kind of mini-model of cultural heritage, which unifies a lot of monuments and objects – architectural, archaeological, monumental paintings, movable objects and movable monuments of cultural heritage (museum exhibits). For this reason, in addition to the above mentioned directions, it's important to introduce the following specialists of the spheres and the relevant positions in the museum-reserve: *stone conservation specialist* – in museum-reserves, unifying architectural heritage (Vardzia, Uplistsikhe, Nokalakevi, Mtskheta, Gremi, Kutaisi, etc.), which continuously require highly qualified specialists, which is one of the basic methods of prevention, and, in general, preservation; *restorer of museum exhibits* – in museums and museum-reserves, where tens of thousands of exhibits are preserved - like Mtskheta, Nokalakevi museum-reserves; Borjomi, Stepantsminda, Mirzaani museums; *creation of restoration laboratory* – for preservation and study of artefacts, preserved in museum-reserves and museums of the Agency; one can be created on the basis of new museum in Mtskheta, it is reflected in its project proposal; *stimulation of scientific research direction and facilitation of training of professional staff* is very important.

These directions are important both for full-value operation and development of museum- reserves and unified system of museum-reserves – the Agency. In their person, we deal with regional organizations for preservation of cultural heritage throughout the country, on the competence of which depends preservation and maintenance of cultural heritage monuments not only in museum- reserve, but in its action area.

Museum/ museum- reserve presently is not just a depository of antiquities;

it has increased social function and active educational- cognitive function. So it's important to determine what we expect from this or that museum-reserve; what its potential is; what it offers or can offer to the visitor; what its mission is and what specific steps are defined for achieving the goal. The answers to all of these questions are accumulated in the Management Plan – basic action document of development of a museum/ museum- reserve, which is guidance, and, besides, shall be updated continuously. There are two basic conditions of development of Management Plan: intellectual resource – qualified personnel and financial resource – feasibility of the Plan.

Decentralization, as a stage of development of museum- reserves, shall be logical outcome of the process. Its first stage is weakening of centralized management vertical: on the basis of strengthening of personnel of museum- reserves and museums – through permanent system of raising of the level of skills and training; encouraging of project and initiatives developed by museum- reserves; preparation of legal basis for the opportunities of financial independence.

Georgian cultural heritage has the resource, proper usage of which will become real facilitation factor for economic progress of the country, but only on the basis of professional staff, properly defined mechanisms, high requirement standards, use of international experience and strengthening of the existing achievements.



ARQUEOLOGIURI SACAVEBI

არქეოლოგიური მემკვიდრეობა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ის ნაწილია, რომელიც რაიმე მიზეზით მიწის ან წყლის ქვეშ აღმოჩნდა. არქეოლოგიური მემკვიდრეობის გამომზეურება ხდება შემთხვევითაც (მიწის სამუშაოების დროს) ძირითადად კი, გეგმაზომიერი არქეოლოგიური საძიებო-კვლევითი გათხრების განხორციელების შედეგად. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა მანამ, სანამ მუდმივ საცავში დაიმკვიდრებს ადგილს, საჭიროებს რესტავრაციას, კონსერვაციასა და მრავალმხრივ შესწავლას. საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციით, მთელი ეს პროცესი მუზეუმებში ხორციელდება და მასალაც იქვე რჩება, მაგრამ არქეოლოგიური ექსპედიციების მონაპოვრის მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება ექსპოზიციაში. ძირითად მასას კი, ე.წ. მასობრივ მასალას არ გააჩნია საგამოფენო ღირებულება და ის წინასწარული კვლევის შემდეგ უძრავად აწყვია სამუზეუმო საცავების თაროებზე. ამ მასალით მხოლოდ სპეციალისტი არქეოლოგები თუ დაინტერესდებიან ხოლმე.

წლიდან წლამდე რთულდება არქეოლოგიური მონაპოვრის პირველადი ლაბორატორიული დამუშავება-შესწავლის პროცესი და სულ უფრო და უფრო მეტ ხარჯებს მოითხოვს, რისი შესაძლებლობაც ქვეყნის მუზეუმების უმეტესობას არ გააჩნია. ამჟამად ერთადერთი მუზეუმი საქართველოში ეროვნული მუზეუმი, რომელსაც ამ სამუშაოების მეტ-ნაკლები სისრულით განხორციელება შეუძლია. მაგრამ უფრო პრობლემატურია ლაბორატორიულად დამუშავებული ინვენტარისთვის მუდმივი საცავის მიჩენა. ეროვნულ მუზეუმსაც კი, აღარ აქვს რესურსი საამისოდ, რომ დაიტიოს წლიდან წლამდე მზარდი არქეოლოგიური მასალა, ფონდები გადავსებულია მუზეუმის არსებობის 150 წლის განმავლობაში საქართველოსა და კავკასიაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრით.

მუზეუმი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომ-

ლის ძირითადი ფუნქციაა ფართო საზოგადოებას გააცნოს მის ფონდებში დაცული ნივთიერი მასალა, რასაც ახორციელებს მუდმივი და დროებითი გამოფენების საშუალებით. მაგრამ, როგორც აღინიშნა ფონდებში დაცული არქეოლოგიური არტეფაქტების უმრავლესობა საექსპოზიციოდ უვარგისია, ამდენად გარკვეულწილად ზედმეტი ტვირთია მუზეუმისთვის. ამ კოლიზიიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს, რომელიც დიდი ხანია აპრობირებულია მსოფლიო მონინავე ქვეყნებში. ეს არის საგანგებო არქეოლოგიური საცავების სისტემის შექმნა. არქეოლოგიური საცავების მართვა ევალება იმ ორგანიზაციას, რომლის პრეროგატივა არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვაა. საქართველოში ამჟამად ასეთი დაწესებულება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გახლავთ.

არქეოლოგიური საცავის ძირითადი ნაწილი, ბუნებრივია, საკუთრივ საცავია, სადაც განთავსდება არტეფაქტები. საცავში უნდა იყოს განსაზღვრული კლიმატ-რეჟიმი, რომელიც უზრუნველყოფს არქეოლოგიური მემკვიდრეობის უსაფრთხოებას. მაგრამ, რადგანაც არქეოლოგიური ნივთი შესაძლებელია დამზადებული იყოს სხვადასხვა – როგორც არაორგანული ისე, ორგანული ნივთიერებებისგან, რომელთაც დაცვის სხვადასხვაგვარი რეჟიმი სჭირდება, ამიტომ საჭიროა მათი ცალ-ცალკე შენახვა. როგორც აღვნიშნე, საცავში განთავსებამდე, არქეოლოგიური ნივთი ლაბორატორიულად უნდა დამუშავდეს. ამდენად, საცავში აუცილებელია ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიის გამართვა.

არქეოლოგიური საცავის დანიშნულება მხოლოდ ნივთის დაცვა არ არის. იქ მეცნიერს უნდა შეეძლოს მასალის შესწავლა, რისთვისაც საჭიროა თანამედროვე ტექნიკითა და ელექტრონული ბიბლიოთეკით აღჭურვილი სამუშაო დარბაზების მოწყობა.

ყველა არქეოლოგიური ექსპედიცია სავსე სამუშაოების დამთავრებისთანავე ვალდებულია გათხრებით მოპოვებული მასალა და სავსე დოკუმენტაცია ჩააბაროს სახელმწიფო საცავს. მასალის რესტავრაცია-კონსერვაციისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებული უნდა იყოს არქეოლოგიური ექსპედიციის ხარჯთაღრიცხვაში. განსაკუთრებული მნიშვნელობის არტეფაქტები, რომელთაც საგამოფენო ღირებულება აქვს, შეიძლება მუდმივად, ან დროებით გადაეცეს სახელმწიფო მუზეუმს.

სახელმწიფო არქეოლოგიური საცავების აშენება და მათი აღჭურვა მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული, ამიტომ შესაძლებელია აშენდეს ერთი ძირითადი სრულად აღჭურვილი და რამდენიმე რეგიონალური საცავი.

Iulon Gagoshidze

Doctor of Historical Sciences, Professor

Archaeological Depositories

Archaeological heritage is the part of cultural heritage of the country, which, for some reason, happened to be under ground or water. Archeological heritage might be discovered by chance (during earth works), but basically, as a result of planned archaeological survey-research excavations. Before finding its place in permanent depository, materials, obtained through Archaeological excavations need restoration, conservation and multi-disciplinary study. According to the tradition, established in Georgia, the whole process is implemented in museums and materials remain there too, and only small part of discoveries of archaeological expeditions go the exhibition; and the main part, the so-called mass material, doesn't have exhibitional value and, as a result of preliminary research, is stored, motionless, on the shelves of museum depositories. Only specialist Archaeologists take interest in these materials.

Year by year the process of primary laboratory processing- study of archaeological finds becomes more and more complicated and requires more expenses, which most of the museums of the country can't afford. Presently the only museum in Georgia, which is able to perform these activities more or less completely, is the National Museum. But more problematic is allocation of permanent depository for lab- processed implements. Even the National Museum has no resource to accommodation of growing archaeological materials, the funds are overfilled with archaeological finds, discovered in Georgia and Caucasus during the 150 years of existence of the Museum.

Museum is a scientific- educational institution, main function of which is familiarization of society with items, preserved in its funds, by means of permanent and temporary exhibitions. But, as it was already mentioned

above, most of artefacts, preserved in the funds are not suitable for exhibition, and thus, is an excessive burden for the Museum at certain extent. There is only one way out of this collision, which is approved in the advanced countries of the world. This is creation of system of special archaeological depositories. Management of archaeological depositories is the responsibility of organization, who is in charge of preservation of archaeological heritage. Presently, such organization in Georgia is the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

The main part of archaeological depository is, naturally, the depository itself, where the artefacts are placed. Certain climatic regime shall be maintained in the depository, ensuring security of archaeological heritage. But as archaeological item can be made of different – inorganic as well as organic materials, requiring different regimed of preservation, they shall be stored separately. As I have already mentioned, the item shall undergo laboratory treatment before placement in the depository. Thus, it's necessary to arrange chemical- restoration laboratory in the depository.

The purpose of archaeological depository is not only preservation of an item. Scientists shall be able to study materials there, so working area, equipped with modern equipment and electronic library, shall be arranged there.

All archaeological expeditions are obliged to deliver the materials, obtained as a result of excavations and field documentation to the state depository upon completion of field works. Amounts, required for restoration and conservation of materials shall be envisaged in the cost estimate of Archaeological expedition. Artefacts of particular importance, having exhibitional value, shall be handed over to the State Museum either permanently or temporarily.

Construction of state archaeological depositories and their equipment involves significant costs, so it is possible to build one completely equipped and several regional depositories.



ნინო კალანდაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციების მართვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის დეპარტამენტის უფროსი ისტორიის დოქტორი

SAMUZEUMO KOLEQCIEBIS GADAADGILEBIS DA KONSERVACIIS PROGRAMA

XXI საუკუნეში ქვეყნის სამუზეუმო სივრცეში მიმდინარეობს სამუზეუმო რეფორმის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მუზეუმების გადასვლას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებზე, რაც, უპირველეს ყოვლისა, სათანადოდ აღჭურვილ მუზეუმის შენობებს გულისხმობს. სწორედ ამიტომ ქვეყნის მასშტაბით დღის წესრიგში დადგა ახალი მუზეუმების მშენებლობა ან ძველი შენობების განახლება, რაც თავისთავად საკმაოდ რთული და ამავდროულად საპასუხიმგებლო საქმეა, რომელსაც თან სდევს კონცეფციის ჩამოყალიბების სირთულე, შესაძლო რისკები, პრევენციული კონსერვაციის მოთხოვნები და სხვ. შესაძლო რისკების უმნიშვნელოვანეს ასპექტს მუზეუმის კოლექციების მართვა წამოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს ნივთის გადაადგილებისა და კონსერვაციის აღიარებული სტანდარტების განსაზღვრას და მათ განხორციელებას. კოლექციების გადაადგილებისა და კონსერვაციის პროგრამა წარმოადგენს სტანდარტული დაცვითი საკონსერვაციო პროცედურების თანმიმდევრობას, რაც მთლიანობაში ქმნის მოვლის ერთიან პროცესს. ეს პროცესი იწყება კოლექციების იდენტიფიკაციითა და მუზეუმებიდან გამოტანით და სრულდება მათი განთავსებით საგამოფენო დარბაზებსა თუ საცავებში. კოლექციების გადაადგილებისა და კონსერვაციის პროგრამის შემუშავებისას თითოეული მუზეუმი და შესაბამისად ფონდი პირველ რიგში ადგენს ანალიტიკურ სქემას, რომელიც გვეხმარება საცავებში გამოიყოს მაქსიმალური რისკის ქვეშ მყოფი კოლექციები. საბოლოო ჯამში, კოლექციების გადაადგილებისა და კონსერვაციის პროგრამაში ზუსტად უნდა განისაზღვროს პრიორიტეტები. ეს მეთოდისა გვეხმარება შევავსოთ

დაგეგმვის ძირითადი კომპონენტები: რისკის ხარისხი, რომელიც კოლექციებს ემუქრება სხვადასხვა არახელსაყრელი ფაქტორებისას; კოლექციების ძვირფასი ნაწილი; არსებული რესურსები; ტექნიკური ექსპერტიზა, ფინანსური რესურსები და კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრა.

ექსპონატების გადაადგილების სრული პროცესი წამოდგენილია ერთი კონკრეტული კოლექციის – შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლეთის კოლექციების მაგალითზე, რომელიც განახორციელა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2010-2012 წლებში.

Nino Kalandadze

*Head of Department of management and Restoration-Conservation of Collection
of the National Museum of Georgia
Doctor of History*

Museum Collections Movement and Conservation Program

In X c., museum reform process is being implemented in museum area of the country, aiming at adjustment of Georgian museums to modern international standards. It, primarily, implies properly equipped museum buildings. For this purpose, construction of new museums or renovations of old buildings was put on agenda. It's quite complicated and involves a lot of responsibility; besides, there are difficulties of formation of a concept, possible risks, requirements of preventive conservation, etc. The most important aspect of the possible risks is museum collection management, aiming at determination of recognized standards of item movement and conservation and their implementation. Collection movement and conservation program represents the sequence of standard protective conservation procedures, which, altogether, makes uniform process of maintenance. This process begins with identification of collections and their removal from museums and placement in

exhibition halls or depositories. When developing movement and conservation program, each museum and, consequently, fund, primarily develops analytical scheme, which helps to identify the collection, facing maximum risk in depositories. Finally, priorities shall be accurately identified in collection movement and conservation program. This methodology assists in assessment of basic components of planning: level of risk, which various unfavorable factors pose collections to; valuable part of collections; existing resources; technical expertise, financial resources and determination of specific measures.

Full process of movement of exhibits is represented on the example of Eastern collections of Sh. Amiranashvili Museum of Art, which was implemented by the National Museum of Georgia in 2010- 2012.



საკაპი რეზერვუარი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული
მუზეუმ-ნაკრძალის მონიტორინგის სპეციალისტი
ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი

X-XI SS. RELIEFEBIS, LAPIDARULI WARWEREBIS DA FRESKULI FRAGMENTEBIS DREVADELI MDGOMAREOBA RAWASI DA MATI GADARCENIS AMOCANEBI

2013 წელს რაჭაში განხორციელებული მონიტორინგის პროცესში დავაფიქსირეთ დანგრეული თუ აღდგენილ-რესტავრირებული ეკლესიების ცალკეული არქიტექტურული ფრაგმენტების არასათანადო შენახვის პირობები და მოსალოდნელი დაზიანების საფრთხე.

ჯოისუბნის დანგრეული ეკლესიის ჩრდილოეთისა და სამხრეთის შემორჩენილ ფასადებზე ჩასმულია X ს. ორი რელიეფი, რომელთაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი კედლების ნგრევის შემთხვევაში განადგურება ემუქრება.

გასათვალისწინებელია, რომ ეკლესიის აღმოსავლეთ სარკმლის ასევე X ს. რელიეფები 1991 წლის მიწისძვრის შედეგად ძირს ჩამოცვივდა. ჩამოვარდნისას თავსართი შუა ნაწილში დაიმსხვრა, ხოლო დაზიანებული და გადარჩენილი ფრაგმენტები იმავე წელს გადატანილი იქნა ონის მუზეუმში.

ამავე მუზეუმშია დაცული X ს. I ნახევრის სხიერის ეკლესიის კანკელის ფილა, სვეტი და სვეტის კაპიტელი, რომლის დანარჩენი სამი სვეტი, ნაწილობრივ დაზიანებული, განთავსებულია სოფ. სხიერში, ეკლესიის ნანგრევის მიმდებარედ არასათანადო შენახვის პირობებში.

ანალოგიურია სოფ. სომინოს, ნანგრევებად ქცეული ეკლესიის სიახლოვეს მდებარე XI ს. წარწერიან-ორნამენტიანი ქვიშაქვის კვადრის მდგომარეობა.

სომინოს ეკლესიის აღნიშნულ ქვასთან ერთად სამეცნიერო ლი-

ტერატურაში დაფიქსირებულია “ლუდუმის” წარწერით ცნობილი ქვა, რომელიც დაკარგულად იყო მიჩნეული.

2013 წლის 16 ნოემბერს ონის მუზეუმის თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა ძალისხმევით ზემოდასახელებულ ქვას მივაკვლიეთ სოფ. ონჭევში. იგი ჩაშენებული იყო კერძო სახლის კედელში.

სახლის მეპატრონეებთან შეთანხმებით წარწერიანი ქვა იმავე დღეს მოხსნილი და გადატანილი იქნა ონის მუზეუმში.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ზემო კრიხის ეკლესიის რესტავრაციის პროცესში გამოუყენებელი X-XI სს. ორნამენტულ-წარწერიანი და ფრესკებით შემკული ათეულობით ქვის მდგომარეობაზე, რომელიც თავმოყრილია ეკლესიის ეზოში, ხის მასალით აგებულ დამხმარე სათავსოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოთვლილი ექსპონატების ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადატანა უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია, ხოლო სარესტავრაციო და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების გაგრძელება შემდგომი ეტაპია და მკვლევართა პრეროგატივაა.

Akaki Rekhviashvili

*Monitoring Specialist of Kutaisi Historical- Architectural Museum- Reserve of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Master of Art History*

Present Condition of X-XI Reliefs, Lapidary Inscriptions and Wall Painting Fragments in Racha and the Objectives of their Rescue

In the process of monitoring, implemented in Racha in 2013 we recorded the conditions of improper maintenance of individual architectural fragments of ruined or restore churches and the anticipated risk of damage.

On the survived north and south facades of Joisubani ruined church tow reliefs of X c. are preserved, which, in the case of failure of the walls, which are in disastrous state, are facing the risk of destroyal.

It shall be taken into account that as a result of earthquake of 1991, the

X c. reliefs of the east window of the church fell down. When falling, the upper decoration structure crushed in the middle, and the damaged and survived fragments were taken to Oni Museum the same year.

Skhieri church iconostasis slab, column and column capital of the 1st half of the X c. are also preserved in the museum; the remaining three columns, partly damaged, are placed in Skhieri village, adjacent to the church ruins, in improper storage conditions.

The state of sandstone quadra with inscription and ornament of the XI c., located near the ruined church in Somitso village, is similar.

Together with the mentioned quadra of Somitso church, scientific literature mentions a stone with „ghudumi“ inscription, which was considered lost.

On November 16, 2013, with the efforts of the personnel of Oni Museum and other stakeholders, we detected the above mentioned stone in village Onchevri. It was built-in in the wall of a private house.

In agreement with the owner of the house, the stone with inscription was removed and taken to Oni Museum the same day.

It's important to pay attention to the tens of stones with ornaments and inscriptions, decorated with frescos, which weren't use in the process of restoration of Zemo Krikhi church are stored in an auxiliary structure, build of wood, in the church yard.

Considering the above mentioned, in our opinion, transfer of the mentioned exhibits to Oni Museum of Local History is a primary task, and continuation of restoration and scientific research works is the next step, and is a prerogative of researchers.



დავით ჯავახიშვილი

*საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს გრემის მუზეუმის
საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტი,
ისტორიის დოქტორი*

KAXEIS REGIONIS MUZEUMEBIS GANVITARBEIS ISTORIA DA PERSPEQTIVBI

ქართველი ერის ისტორიაში XX საუკუნე მრავალი, უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენით აღინიშნა. დაიწყო საქართველოს მდიდარი ისტორიული წარსულის წარმოჩენა, რაშიც დიდი როლი ახლადდაარსებულმა სხვადასხვა ტიპის (მხარეთმცოდნეობითი, საისტორიო-საეთნოგრაფიო, მემორიალური, არქეოლოგიური და სხვა) მუზეუმებმა შეასრულეს. ისინი დაარსდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

კახეთში მუზეუმების შექმნის ისტორია XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება (თელავის ისტორიული მუზეუმი – 1927 წ.)

დღეისათვის მუზეუმების ერთი ჯგუფი ისტორიული პროფილისაა და კახეთის მხარის განვითარების ისტორიულ სურათს წარმოაჩენს. აღნიშნული ტიპის მუზეუმებში დაცული არტეფაქტები დაკავშირებულია საზოგადოების ყოფის, კულტურული, ესთეტიკური, რელიგიური ცხოვრების ეტაპებთან. ეს არის ადამიანის შრომით შექმნილი ან მისი სულიერი შემოქმედების ნაყოფი – ნივთიერი და სულიერი კულტურის ძეგლები. მუზეუმების ამ ჯგუფში შედის კახეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული, ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუზეუმების მეორე ჯგუფი მემორიალურია, კერძო პირთა შესახებ თავმოყრილი მრავალფეროვანი მასალით მათ მიერ განვლილი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი გზის შესახებ.

მუზეუმების უმეტესობას (ძირითადად ეს ეხება ისტორიული პროფილის მუზეუმებს) ფუნქცია აქვს დაკარგული და ისინი ფონდების საცავებადაა გადაქცეული. ძალზედ მძიმეა მუზეუმებში სამუზეუმო კოლექციების მდგომარეობა, მოუწესრიგებელია სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა და თანამედროვე სტანდარტის პასპორტიზაცია, არ არსებობს ელექტრონული ბაზები. დაბალია ექსპონატთა ექსპონირების დონე, რადგან სამუზეუმო ექსპონიციები ძირითადად რამდენიმე ათეული წლის წინაა შექმნილი და დღემდე უცვლელია. მუზეუმების უმეტესობაში არ ეწყობა პერიოდული გამოფენები, ხოლო მოძრავი გამოფენების ორგანიზება ფაქტიურად ამოღებულია საგამოფენო საქმიანობიდან.

კახეთის რეგიონის ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, მუზეუმებმა სისტემატურად უნდა მოაწყონ მოძრავი გამოფენები როგორც რეგიონში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ. ეს ხელს შეუწყობს მუზეუმებისადმი ინტერესის გაღვივებას და საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებას.

David Javakhishvili

*Educational Programs Specialist of Gremi Museum
of National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctor of History*

Development History and Prospects of Museums of Kakheti Region

The XX century in the history of Georgian nation was marked with a lot of extremely important social- economic and cultural- educational events. The process of promotion of rich historical past of Georgia began, where newly established museums of various types (local lore, historical-ethnographic, memorial, archaeological, etc.) played great role. They were established almost in all regions of Georgia.

History of creation of museums in Kakheti begins since 30-ies of the XX c. (Telavi Museum was established in 1927).

Presently, one group of museums has historical profile and presents historical picture of development of Kakheti area. The artefacts, preserved in the museums of the mentioned type are related to the stages of every-day, cultural, esthetic, religious life of society. This is the product created by human labor, or the result of its spiritual creative work – the monuments of material and spiritual culture. This group includes all historical, ethnographic and local history museums, existing on the territory of Kakheti.

The other group of the museums is memorial, with diverse materials related to individual persons and their every-day and creative lives.

Most of Museums have lost their function and are turned into fund depositories (it mainly concerns the museums of historical profile). The state of museum collections in museums is quite grave, recording of museum funds and passportization according to modern standards is not regulated, electronic databases don't exist. The level of exhibition of the exhibits is low, as the museum exhibitions were created several decades ago and still remain unchanged. Periodic exhibitions are not arranged in most of the museums, and organization of movable exhibitions is actually removed from exhibition activities. For the purpose of popularization of history and culture of Kakheti region, the museums shall arrange movable exhibitions in the region, as well as throughout the country and abroad. It will facilitate stimulation of interest towards museums and activation of social life.



ნინო ჰანიშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების
სამსახურის მთავარი სპეციალისტი

TBILISIS OPE RISA DA BALETIS TEATRIS UCNOBI ESKIZE BI

ოპერის თეატრში 1972 წელს გაჩენილმა ხანძარმა უნიკალური მხატვრობის უამრავი ნიმუში იმსხვერპლა. ხანძრის ჩაქრობის დროს დასველებული, დაზიანებული, კიდებმომწვარი ესკიზები დაფანტული ფურცლების სახით გადაეცა არქივს.

თბილისის ეროვნულ არქივში დაცული მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს სცენოგრაფიის განვითარების საუკუნოვან გზას და მისთვის დამახასიათებელ სივრცით-მოცულობითი თუ აბსტრაგირებული ფორმების არსებობას, ექსპრესიონიზმის მძაფრ ფერადოვნებას, ემოციას, მღელვარებას, დრამატიზმს.

XX საუკუნის 20-30-იანი წლები საქართველოში მოდერნისტული მხატვრობის უმნიშვნელოვანესი პერიოდი. ამ დროს გამოდიან ასპარეზზე მხატვრები: ირაკლი გამრეკელი, სოლიკო ვირსალაძე, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ლადო გუდიაშვილი. ქართულ სცენოგრაფიას სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი (ფოტო №1).

სცენოგრაფიის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის რეჟისორს, ნოვატორს კოტე მარჯანიშვილს. მას თეატრში მიჰყავს და სპექტაკლებს აფორმებინებს ახალგაზრდა, ნიჭიერ თუმცა ჯერ კიდევ გამოუცდელ მხატვრებს: ელენე ახვლედიანს, სოლიკო ვირსალაძეს, დავით კაკაბაძეს. ეს მხატვრები თავის შემოქმედებას პარალელურად აგრძელებენ ოპერისა და ბალეტის თეატრში (ფოტო №2).

საქართველოს გეო-პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რუსეთთან შეერთებამ და ევროპისკენ სწრაფვამ, მკაფიოდ განსაზღვრა ქართული სცენოგრაფიის ხასიათი. ერთის მხრივ, რუსი მხატვრების ინტერესი საქართველოს მიმართ, მეორეს მხრივ, ქართველი რეჟისორების მოღვაწეობა რუსეთში, რეჟისორებისა (კოტე მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი), რომელთაც შექმნეს უდიდესი ეპოქა არა მარტო ქართული, არამედ რუსული თეატრის ისტორიაში.

სინესტისგან დაზიანებულ და ხანძრისგან დამწვარ რამდენიმე ნიმუშზე მხატვრის გვარი, სპექტაკლი, წლები საერთოდ არ იკითხება; ქართველი და რუსი მხატვრების გარდა, რამდენიმე უცნობი მხატვარიცაა.

საქართველოში მოღვაწეობის მათი შემოქმედების ისტორია სადღეისოდ ჯერ კიდევ შეუსწავლელია და შემდგომი კვლევის საგანს წარმოადგენს. ჩამონათვალი მხატვრებისა, რომელთა ნამუშევრებმაც ჩვენამდე მოაღწიეს და ხანძარს გადაურჩნენ: ე.ახვლედიანი, ს.ვირსალაძე, დ.კაკაბაძე, ვ.სიდამონ-ერისთავი, ი.სუმბათაშვილი, კ.სანაძე, ი.ასკურავა, რ.თარხან-მოურავი, კ.კუკულაძე, მ.ჩიქოვანი, ფ.ლაპიაშვილ, მ.მალაზონია, ვ.ჭაბუკიანი, შარლემანი, ვ.შუხაევი, პ.შვარცი, შრედერი, ი.კარელიანი, ა.კობე, კ. არმაშევსკი, პ.ზლოჩევსკი.

შესაძლოა ეს სია უფრო დიდი ყოფილიყო. გაურკვეველია საქართველოში მოღვაწე უცხოელი მხატვრების წარმომავლობა. როგორც ჩანს, ისინი მონვეულები იყვნენ კონკრეტული სპექტაკლების გაფორმებისთვის. აქ არის როგორც მოდერნისტული მხატვრობის ნიმუშები, აგრეთვე საბჭოურ თემატიკაზე შექმნილი და საბჭოთა სიმბოლოებით დატვირთული დეკორაციის ესკიზები.

ოპერის მხატვრობის და შენობის ხანძრის გაფიქრებაზე ემოციურად და გულისტკივილით იხსენებ ოპერის ფარდას, რომლის



ფოტო №1

ანალოგი ქართულ თეატრალურ მხატვრობაში არ მოგვეპოვება. ხანძრის დროს მთლიანად განადგურდა და დაინვა მოხატულობა. სამწუხაროდ არც ფარდა, არც ესკიზები სერგო ქობულაძის შემოქმედებიდან, ოპერის და ბალეტის თეატრის მუზეუმში და ეროვნულ არქივში აღარ შემორჩა.

კვლევის დროს სრულიად შემთხვევით ცნობილი ქართველი მოცეკვავის, ბალეტმეისტერის, ქართული ბალეტის ფუძემდებლის ვახტანგ ჭაბუკიანის გაფორმებული საბალეტო დადგმის ესკიზები ვნახეთ, რომელიც პირველად შეუქდება ფართო საზოგადოების წინაშე. მის შემთხვევით აღმოჩენილ ესკიზებშიც კარგად იგრძნობა ამერიკული და ევროპული ხელოვნების გავლენა (ფოტო №3).

დეკორაცია უნდა ქმნიდეს იმ მოქმედების შესაბამის ატმოსფეროს, ეპოქას საუკუნეს, დროს, ხასიათს, რომელიც მიმდინარეობს ოპერის ან საბალეტო დადგმის დროს. თეატრის მხატვარი ასევე ქმნის მოქმედ გმირთა კოსტიუმებს. თითოეული გმირის ტანისამოსი პერსონაჟის ხასიათის გამომხატველი უნდა იყოს. საბალეტო დადგმის დროს კოსტიუმი პრაქტიკული, მოხერხებული უნდა იყოს და მორგებული ჰქონდეს ბალეტის მოცეკვავეს.

მხატვრობის და ქორეოგრაფიის სინთეზი ქმნის პერსონაჟის ხასიათს. თეატრის მხატვრობა სპექტაკლისთვის აუცილებელი კომპონენტია და მას დრამატული ფუნქცია გააჩნია. სამოსელი უნ-

და იყოს გათავისებული. ეპოქის და ხასიათის შექმნის გარდა არ უნდა იყოს ხელისშემშლელი ცეკვის, თუნდაც სიმღერის დროს. შესაბამისად ყველა ეს დეტალი ყოველთვის გათვალისწინებულია მხატვრის მიერ კოსტიუმის ესკიზების შექმნისას (ფოტო №4).

ამგვარად, ეროვნულ არქივში დაცული უცნობი მასალა ნათლად გვიჩვენებს თავისი განვითარების საუკუნოვან გზას, ქართული თეატრალური მხატვრობის მრავალწლიან ისტორიას.



ფოტო №2



ფოტო №3



ფოტო №4

Nino Vacheishvili

*Chief Specialist of Museums and Museum- Reserves Unit
of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia*

Unknown Sketches of Tbilisi Opera and Ballet Theatre

The fire of 1972 destroyed many pieces of unique paintings in Opera Theatre. As a result of fire extinguishing, wet, damaged sketches with burnt edges were given to archive as scattered papers.

Materials, preserved in Tbilisi National Archive clearly shows century-old way of development of scenography, and existence of spatial-dimensional and abstracted forms, characteristic for it, sharp colorfulness of expressionism, passion, dramatism.

20-ies and 30-ies of the XX c. is the most important period of modernist painting in Georgia. Artists: Irakli Gamrekeli, Soliko Virsaladze, David Kakabadze, Elene Akhvlediani, Lado Gudiashvili appear on the arena. The fundament of Georgian scenography is laid in this period (Photo #1).

Stage director, innovator Kote Marjanishvili contributed greatly to the formation of scenography. He was taking young, talented, yet inexperienced artists: Elene Akhvlediani, Soliko Virsaladze, David

Kakabadze to the theatre and ordering them to stage the performance. These artists, in parallel, continued their creative work in Opera and Ballet theatre (Photo #2).

Geo-political location of Georgia, unification with Russia and striving towards Europe clearly defined the nature of Georgian scenography: interest of Russian artists towards Georgia, on the one hand, and, on the other hand, Georgian stage directors' work in Russia – stage directors (Kote Marjanishvili, Sandro Akhmeteli), who created greatest epoch not only in Georgian, but in Russian Theatre's history.

Painter's name could be read on several samples, damaged by moisture and burnt by the fire, but it's impossible to read the year; in addition to Georgian and Russian painters, there are several unknown painters.

The history of their creative work in Georgia is not studied yet and is still subject to the further research. Here is the list of painters, works of which survived the fire and reached us: E. Akhvlediani, S. Virsaladze, D. Kakabadze, V. Sidamon-Eristavi, I. Sumbatashvili, K. Sanadze, I. Askurava, R. Tarkhan-Mouravi, K. Kukuladze, M. Chikovani, F. Lapiashvili, M. Malazonia, V. Chabukiani, Charlemagne, V. Shukhaev, P. Schwartz, Shreder, I. Karelyan, A. Kolbe, K. Armashevsky, P. Zlochevsky.

This list could be bigger. The origin of foreign artists, working in Georgia, is unknown. Obviously, there were invited to design scenography for specific performances. There are samples of modernist paintings, as well as sketches of decoration, created on Soviet topics and overloaded with Soviet symbols.

When thinking about the fire, burning Opera paintings and the building, one emotionally and with a sore heart recalls the curtain of the Opera, which has no analogue in Georgian scenic painting. Paintings were completely destroyed and burnt during the fire. Unfortunately neither the curtain, nor sketched from Sergo Kobuladze's creative work are preserved either in the Museum of Opera and Ballet Theatre or in the National Archive.

In the process of research, entirely by accident, we came across the sketches of ballet performance, designed by the famous Georgian dancer, ballet master, founder of Georgian ballet Vakhtang Chabukiani, which are presented to the wide society for the first time. In the accidentally

discovered sketches one can well feel the influence of American and European art (Photo #3).

Scene decoration shall create the atmosphere, epoch, century, time, nature, corresponding to the action which develops in the course of opera or ballet performance. Stage painter shall also create the costumes of personages. Clothes of each actor shall express the character of the personage. In the case of ballet performance the costume shall be practical, convenient and shall fit the ballet dancer.

The synthesis of painting and choreography created the character of the personage. Stage painting is a necessary component for a performance and it has dramatic function. Clothes shall be comfortable for actors. In addition to creation of the epoch and character, they shall not cause discomfort to the actor while dancing or singing. Consequently, all these details are always taken into account by the painter when creating costume sketches (Photo #4).

Thus, unknown materials, preserved in the National Archive, clearly shown century-old way of its development, many-years history of Georgian scenic painting.



გიორგი გაგოშიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-დოკუმენტირების
სამსახურის უფროსი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

XOMLI ALEVIS MONASTRIDAN

(ახალი სამუზეუმო ექსპონატი)

2014 წლის გაზაფხულს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის არქეოლოგიური მუზეუმისთვის შეიძინა ვერცხლის საეკლესიო ჭალი—ხომლი (XVIII ს.), რომელიც ოკუპირებულ ახალგორში ინახებოდა.



1



2

1. ჭალი – ჯომლი ალევის მონასტრიდან (ფოტო შ. ლეჟავა)
Chandelier – khomli from Alevi Monastery (Photo by Sh. Lezhava)
2. ჭალი – ჯომლი ალევის მონასტრიდან. დეტალი. მხედრული წარწერა. (ფოტო შ. ლეჟავა)
Chandelier – khomli from Alevi Monastery, Detail. Mkhedruli inscription (Photo by Sh. Lezhava)

ჭალი შედგება ერთ ლერძზე ასხმული სხვადასხვა ზომის ცხრა სფეროსებრი დეტალისგან (ზომები: სიგრძე – 44 სმ, უდიდესი დიამეტრი – 9 სმ); ხომლის ზედა წაგრძელებული ფორმის ბურთულაზე საკიდია მიჩნეული, ქვედა ნახევარსფერულ, დაწახნაგებულ დეტალში სასანთლეების ჩასამაგრებელი 12 ნახვრეტია. ამჟამად სასანთლეები დაკარგულია. ზემოდან მესამე

ბურთულის ზედაპირზე მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით ამოტვიფრულია შვიდსტრიქონიანი ქართული – მხედრული წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ ეს ჭალი ალევის სამების ეკლესიისათვის (VIII-IX სს., დუშეთის მუნიციპალიტეტი) 1787 წლის 26 ივლისს შეუწირავს მეფე ერეკლე II შვილს – უფლისწულ ვახტანგს (1761-1814 წწ.), რომელიც ამ დროს არაგვის საერისთავოს განაგებდა.

ჭალი მაღალი ოსტატობით შექმნილი ნივთია და მას, როგორც მხატვრული ასევე მნიშვნელოვანი მემორიალური ღირებულებაც გააჩნია.

Giorgi Gagoshidze

*Head of Monument Inventory and Documentation Unit of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Doctor of History of Art*

Khomli (Church Chandelier) from Alevi Monastery

(New Museum Exhibit)

In autumn 2014 the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia procured silver church chandelier – Khomli (XVIII c.), which was stored in occupied Akhgori) for Mtskheta Archaeological Museum of Great Mtskheta State Archaeological Museum- Reserve.

The chandelier consists of nine spherical details of various sizes, beaded on one axle (sizes: length – 44 cm, greatest diameter – 9 cm); hook is welded to the upper prolonged bead of the khomli; there are 12 holes in lower hemi-spherical, faceted details for attaching candlesticks. Presently the candlesticks are lost. On the surface of the third bead from the top the seven-line Georgian Mkhedruli inscription is imprinted with high artistic skill, which informs us that this chandelier was donated to Alevi Sameba (Trinity) Church on July 26, 1787 by Prince Vakhtang (1761-1814) – the son of King Erekle II – who ruled Aragvi Saeristavo (princedom) at that time.


The chandelier is made with high artistic skill and it has both artistic and significant memorial value.

ქეთევან დიღმელაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი,
მონიტორინგის სპეციალისტი
ისტორიის დოქტორი

SAKRZALAVI RITUALIS ERTI DETALI MCXETIS MUZEUMIDAN

დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია მცხეთის სამაროვნებზე აღმოჩენილი ქოირის 150 ფურცელი. ქოირები დამზადებულია ოქროს თხელი ფურცლისაგან. მათი უმეტესობა ფოთლის მსგავსი მოყვანილობისაა – სამკუთხედისებურად იშლება და იკბილება.



სამგლოვიარო გვირგვინის – ქოირის დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირება პირველად ეგეოსურ სამყაროში შეინიშნება. ქოირი განსაკუთრებით კლასიკური ხანის საბერძნეთში და ელინისტურ და რომაულ ხანაში ვრცელდება. ქოირები მზადდებოდა ოქროს, ვერცხლი-

სა და ბრინჯაოსაგან. გვხვდება როგორც ერთგვაროვანი მასალით (საყრდენი ნაწილი და ფოთლები ერთი და იმავე ლითონისაა), ასევე სხვადასხვა მასალით დამზადებული გვირგვინები. ამ შემთხვევაში, სარჩულად გამოიყენებოდა ან ნაზი ქსოვილი ან ტყავი, რომელზეც ლითონის ფურცლები სამაგრებით ან წებოთი მაგრდებოდა.

საქართველოში ქოირის გამოყენება II-IV სს. სამარხებში დასტურდება. ისინი სამი ფორმითაა წარმოდგენილი: წრიული ფირფიტები, მუხისა და ნიახურის ფოთლები. პირველი და მეორე ფორმის ფურცლები მცხეთის სამარხებში ცალკე არ აღმოჩენილა, ისინი ყოველთვის ნიახურის ფურცლებს ახლავს თან, მაშინ, როცა ეს უკანასკნელნი დამოუკიდებლადაა სამარხებში დადასტურებული. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქოირის ძირითად ნაწილს ნიახურის ფურცლები წარმოადგენს, დანარჩენი ორი კი მისი დანამატია. ფოთოლთა რაოდენობა საკრძალავ გვირგვინებზე განსხვავებულია (1-დან 20-მდე). თუ თვალს გადავავლებთ ქოირის ფურცლების რაოდენობასა და იმავე სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის რაოდენობასა და ფასეულობას, დავინახავთ, რომ პირველი მეორის პროპორციულია. იმ შემთხვევაში, თუ ინვენტარი მდიდრულია, ქოირის ფურცლებიც შედარებით მეტია. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ქოირის ფურცლების რაოდენობა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მიცვალებულის შეძლებულობაზე. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ მეცნიერთა ნაწილის მოსაზრება, თითქოს ასეთი გვირგვინებით მიცვალებულთა შემკობის ტრადიცია ქართლის სამეფოს მაღალი წრეებისთვის იყო დამახასიათებელი არ უნდა იყოს მართებული.

ქოირის ფურცლებში ნიახურის ფოთლების გამოსახულებათა სიჭარბე ამ მცენარის სიმბოლურ დატვირთვაზე უნდა მიუთითებდეს. ნიახური, როგორც ცნობილია, ანტიკურ სამყაროში მიცვალებულის კულტთან იყო დაკავშირებული. ის მოიაზრებოდა სიკვდილისა და მწუხარების სიმბოლოდ, რომლისგანაც დაწნულ გვირგვინებს იყენებდნენ მიცვალებულთა ან საფლავების შესამკობად.

ქართულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში ნიახურის სიმბოლო არსად ფიგურირებს. ნიახურის გამოსახულებების გაჩენა ქართლის მოსახლეობაში, ანტიკური რელიგიის გავლენისა და ქართლის რომთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს.

საქართველოში საკრძალავი გვირგვინები ამ სახით მხოლოდ გვიანანტიკურ პერიოდში გამოიყენება და ამასთანავე მათი გამოყენება იბერიის სამეფოთი შემოიფარგლება. დიდი მცხეთის სამაროვანთა

გარდა, ის აღმოჩენილია მხოლოდ ბორში და ურბნისში და დღემდე არაა დადასტურებული იბერიის იმ სამაროვნებზე, რომლებიც მკვიდრი მოსახლეობის განსასვენებლად მოიხზრება. მეცნიერთა აზრით, ეს დედაქალაქის გარესამყაროსთან ინტენსიური კონტაქტების დასტურია. ქოირების გავრცელებაში თავისი როლი უნდა ეთამაშა მცხეთის ეთნიკურ სიჭრელესაც.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ საკრძალავი გვირგვინის (მათ შორის ქოირის ფურცლებისაც) მონაწილეობა რიტუალში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც გრძელდება არა მხოლოდ წარმართულ, არამედ ქრისტიანულ მოსახლეობაშიც. თუმცა, მომდევნო საუკუნეებში ქრისტიანობის განმტკიცების და ქრისტიანული საკრძალავი წესის გაბატონების პარალელურად ეს ტრადიცია დავიწყებულ იქნა.

Ketevan Digmelashvili

Monitoring Specialist of Great Mtskheta Archaeological State Museum- Reserve of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Doctor of History

One Detail of Burial Ritual from Mtskheta Museum

150 leaves of burial wreath, found in Mtskheta burials, are preserved in Great Mtskheta Archaeological State Museum-Reserve. The wreaths are made of thin gold sheets. Most of them have the shape of a leaf-open like a triangle, notched.

Relation of a burial wreath – khoiri – with burial ritual is first noticed in Aegean world. Khoiri was particularly widely spread in classic period Greece and Hellenistic and Roman periods. The wreaths were made of gold, silver and bronze. There are wreaths, made of homogenous material (support part and leaves are made of one metal), as well as those made of various materials. In this case, gentle fabrics or leather was used as lining, on which the metal leaves were attached by means of either clips or glue.

Use of burial wreath is Georgia in evidences in the burials of II-IV cc

There are represented in three forms: circular plates, oak and celery leaves. The leaves of the first and the second form weren't discovered in Mtskheta graves separately, they always accompany celery leaves, while the latter are evidences independently in burials. This circumstance should indicate that celery leaves represent the main part of burial wreath, and the remainder two are just addition. The number of leaves on burial wreath is different (from 1 to 20). If we look at the number of wreath leaves and the number and value of grave goods found in the same grave, we'll see that the first is proportional to the second. If the goods are expensive, there are relatively more wreath leaves. It makes us think that the number of wreath leaves depended on the wealth of the dead person. In its turn, it indicates that the opinion of some scientists, that allegedly the tradition of decoration of the death with such wreaths was characteristic for high royal circles, should not be correct.

The prevalence of images of celery leaves in wreath leaves should indicate to the symbolic meaning of this plant. Celery, as it is well known, was relates to the cult of the dead in antique world. It was perceived as the symbol of death and sorrow, and wreaths, wattles of this plant were used for decoration of the dead and graves.

In Georgian pagan believes and imaginations the symbol celery doesn't feature anywhere. Appearance of celery image in Kartli population should be the result of influence of antique religion and close relations of Kartli with Rome.

Burial wreaths of this form in Georgia were used only in late-antique period and, besides, their use was limited by the Kingdom of Iberia. In addition of Great Mtskheta burials, it was discovered only in Bori and Urbnisi and up to date, is not evidenced in Iberian burials, perceived as the graves of local population. In the scientists' opinion, it proves extensive contacts of the capital city with outer world. Probably, ethnic diversity of Mtskheta have also played its role in spreading of burial wreaths.

Archaeological materials prove that involvement of burial wreath (including wreath leaves) in the ritual continues after spreading of Christianity not only among pagan, but in Christian population as well. But this tradition was forgotten in parallel with strengthening of Christianity and prevalence of Christian burial procedures in subsequent centuries.

დოკუმენტი ნარიმანიშვილი


საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

BESTASENIS ARQEOLGIURI EOSPE DICIIIS 2012-2014 WLEBIS SAMUSAOS SEDEGEBI

სოფ. ბეშთაშენი მდებარეობს თბილისი-წალკის საავტომობილო მაგისტრალის ჩრდილოეთით 2 კმ-ის მოშორებით, წალკის წყალსაცავის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაპირზე. 1936-1948 წლებში, წალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით, სოფლის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ გათხრებს ბორის კუფტინი აწარმოებდა.

1936 წელს, მდ. გერიაკ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, ბეშთაშენიდან საფარ-ხარაბასაკენ მიმავალი გზის პირას, ბ. კუფტინმა ვრცელ სამაროვანს მიაკვლია, 1939 წელს კი 49 სამარხი შეისწავლა. სამაროვანი ორ იარუსს შეიცავს. ქვედა ფენის სამარხები გვიან ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, ხოლო ზედა ფენის სამარხები ადრერკინის ხანისაა. აღნიშნულ ძეგლზე 1990-1999 წლებში, სამუშაოებს აწარმოებდა წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სამუშაოების შედეგად გაინმინდა 11 სამარხი.

2010 წელს, კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მონიტორინგის სამსახურის ჯგუფმა დააფიქსირა, რომ დიდი წვიმების დროს, მიწის ეროზიის შედეგად, სოფ. ბეშთაშენიდან სოფ. საფარ-ხარაბისკენ მიმავალ გზაზე არსებულ, გვიანბრინჯაოს-ადრერკინის სამაროვანზე ხდებოდა სამარხების დაზიანება. 2011 წელს კი, მუზეუმ-ნაკრძალის მიერ, დაიგეგმა არქეოლოგიური გადარჩენითი სამუშაოების ჩატარება ზემოხსენებულ სამაროვანზე. ექსპედიციის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სოფ. ბეშთაშენიდან სოფ. საფარ-ხარაბისაკენ მიმავალ სამანქანო გზასთან არსებული, გამოჩენილი და დაზიანების საფრთხის ქვეშ მყოფი სამარხების შესწავლა. სამუშაოები დაიწყო 2012 წელს და 2013 წელსაც გაგრძელდა. ბეშთაშენის ექსპედიცია, ასევე სისტემატიურად აწარმოებდა არქეოლოგიურ დაზვერვებსაც. საველე და ლაბორატორ-



რიულ სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს კლდეკარის მუზეუმ-ნაკრძალისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა. ასევე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტებმა და მაგისტრანტებმა, კრაკოვის, ვროცლავის და ვარშავის უნივერსიტეტების არქეოლოგიის მიმართულების ბაკალავრებმა, მაგისტრანტებმა და მაგისტრებმა, სკოლა-ლიცეუმ „მნიგნობართუხუცესის“ მოსწავლეებმა.

2012 წელს, ბეშთაშენის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, სამაროვნის დაზიანებულ ნაწილზე, გავლებულ იქნა 16 მ. სიგრძისა და 4 მ. სიგანის თხრილი, სადაც გაითხარა სამი სამარხი (№№12-14), რომელთა ნუმერაცია მიება წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამარხების ნომრებს.

2013 წელს ბეშთაშენის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანზე განახლა სამუშაოები. დაიგეგმა და მომზადდა სამაროვნის გასათხრელად შერჩეული ადგილები. გაიწინადა 2012 წელს გათხრილი ნაწილიც, სადაც ერთი გაუთხრელი ქვაყრილიანი სამარხი (№15) იყო დარჩენილი. ახალ მონაკვეთში გაიწინადა შვიდი სამარხი (№№16-22). აქედან ოთხი სამარხი ყრილის გარეშე, სამი სამარხი კი დაფარული იყო მოზრდილი ბრტყელი ქვებით.

არქეოლოგიური გათხრების გარდა ბეშთაშენის არქეოლოგიური ექსპედიცია, სადაზვერვო სამუშაოებსაც აწარმოებდა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წყალსაცავის ტერიტორიას, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების ალბათობა უფრო დიდია. ასეთი დაზიანების ნათელ მაგალითს წარმოადგენს ნასოფლარი გარყლუპი, რომლის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი განსაკუთრებით ზიანდება. ექსპედიციის მიერ გაგზავნილმა სადაზვერვო ჯგუფმა მოინახულა ნასოფლარის ტერიტორია.

წყლის მოქმედება არაერთი არქეოლოგიური ნაშთის გამოვლენას იწვევს. წალკის წყალსაცავის აღმოსავლეთ ნაპირზე, სოფ. ბეშთაშენიდან სამხრეთ-დასავლეთი 3 კმ-ში, აღმოჩნდა მინიდან გამოჩენილი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ადამიანის ძვალი. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გადანყდა სამარხის სასწრაფო განმენდა.

2012 წელს მდ. ჭოჭიანის ხეობაში, ნასოფლარ უზნარიანის დასავ-

ლეთით, კლდეკარის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლების მიერ, აეროფოტოებზე დაფიქსირდა მასიური ნაგებობის კონტურები. ბეშთაშენის ექსპედიციის მიერ გაგზავნილმა ჯგუფმა აღმოაჩინა დღემდე უცნობი „ციკლოპური“ სიმაგრე, რომელიც აგებულია მდ. ჭოჭიანის და მცირე, თითქმის დამშრალი, ხევის ხერთვისზე. დამშრალი ხევის მარცხენა ნაპირი კი დასახლებას უკავია. „ციკლოპური“ სიმაგრის კედლები დიდი ზომის ბაზალტის დაუმუშავებელი ქვებითაა ნაგები. „ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსი“ სავარაუდოდ გვიანი ბრინჯაოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ხეობის დასაწყისში, სოფ. ფარავანთან, ასევე დაფიქსირდა „ციკლოპური“ კომპლექსი. სიმაგრე მშრალი ნყოფის, მკვეთრად გამოხატულ კუთხეებიან ნაგებობას წარმოადგენს. ციხეს შემოუყვება მშრალი თავდაცვითი თხრილი. სიმაგრის გარშემო განლაგებულია დასახლება, რომლის ნაწილიც ექცევა თავდაცვითი თხრილის ფარგლებში. ჭოჭიანის ხეობაში განლაგებული „ჭოჭიანის მეგალითური კომპლექსი“ და ფარავანის „ციკლოპური“ სიმაგრე-დასახლება, როგორც ჩანს ერთმანეთის თანადროული უნდა იყოს, ისინი ხეობაზე მიმავალ, სავარაუდოდ სავაჭრო გზას, იცავდნენ.

Dimitri Narimanashvili

Manager of Kldekari Historical- Architectural Museum- Reserve of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Doctoral student of Archaeology Direction of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Results of Beshtasheni Archaeological Expedition of 2012- 2014

Village Beshtasheni is located in 2 km north from Tbilisi- Tsalka highway, on extreme east shore of Tsalka water reservoir. In 1936-1948, Boris Kuftin conducted archaeological excavations on the territory of the village in connection with the construction of Tsalka water reservoir.

In 1936, on the right bank of Geryak-Chai river, on the side of the road going from Beshtasheni to Sapar-Kharaba, B. Kuftin detected vast burial

area, and in 1939 he studies 49 burials. The burial includes two tiers. The graves of the lower tier date back to late bronze age, and the graves of upper tier are of early iron age. Tsalka-Trialeti archaeological expedition conducted works on the mentioned monument in 1990-1999, 11 graves were cleaned as a result of the works.

In 2010, the group of Monitoring Service of Kldekari Historical-Archaeological Museum- Reserve recorded that during extensive rains, as a result of soil erosion, the graves on the burial of late bronze-early iron age, on the way from the village Beshtasheni to the village Sapar-Kharaba, were damaged. And in 2011 the Museum-Reserve planned conducting of archaeological-rescue works on the above mentioned burial. The main objective of the expedition was to study the endangered graves, existing and exposed near the motor road from the village Beshtasheni to the village Sapar-Kharaba. The works started in 2012 and went on in 2013. Beshtasheni expedition regularly provided archaeological surveys as well. The employees of Kldekari Museum-Reserve and the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia participated in laboratory and field works, as well as doctoral and post-graduate students of Archaeology direction of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, bachelors, post-graduate students and masters of archaeological direction of Krakow, Wroclaw and Warsaw Universities, students of School-Lyceum „Mtsignobartukhutsesi“.

In 2012 Beshtasheni archaeological expedition made 16 m long and 4 m wide channel on the damaged part of the burial, where three graves were excavated (## 12- 14), numbering of which was tied to the numbers of graves, studied by Tsalka- Trialeti archaeological expedition.

In 2013 Beshtasheni archaeological expedition resumed works on late bronze- early iron age burials. The areas, selected for excavation of the burial, were planned and prepared. The section, excavated in 2012, where one unexcavated stone-piled grave (#15) was remaining, was also cleaned. Seven graves (## 16- 22) were cleared in the new section, whereof four graves were without embankment, and three graves were covered with large flat.

In addition to archaeological excavations, Beshtasheni archaeological expedition also conducted survey activities. Special attention was paid to the territory of the water reservoir, where the probability of damage

ვიოლეტა ბალახაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მმართველი

BORJOMIS MŲARETMCODNEOBIS MUZEUMSI DACULI ROMANOVEBISEULI WURWLIS KOLEQCIA

რომანოვების ოჯახის მჭიდრო კავშირი ბორჯომის ხეობასთან XIX საუკუნის დამლევსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში საყოველთაოდაა ცნობილი. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რომანოვებთან დაკავშირებული უაღრესად საინტერესო მასალაა დაცული. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომანოვებისეული ჭურჭლის კოლექცია.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, დიდი მთავრის მიხეილ რომანოვის ოჯახის კუთვნილი, ფაიფურის ჭურჭლის იშვიათი კოლექციაა ექსპონირებული. ექსპონატების რაოდენობა 212 ერთეულს აღწევს.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული რომანოვებისეული ჭურჭლის კოლექცია განათლების სამეცნიერო და მთავარი საკურორტო სამმართველოების დავალებით 1934 წელს აღუნუსხავს და აღუნერია ექსპერტ ა. გაბუნიას. მანვე შეადგინა ამ ექსპონატების კატალოგი.

ექსპერტის ცნობით, მის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა ჩატარებული სამუშაოს კონსპექტის ფორმით მომზადება, სადაც აისახებოდა ბორჯომის მუზეუმის ფაიფურ-ფაიანსისა და სხვა კერამიკული ნივთების დამზადების დრო, ადგილი, ექსპონატის სტილისტური მახასიათებლები, მხატვრული და მატერიალური ღირებულება, იდენტიფიცირებული იქნებოდა ავტორი. ა. გაბუნიამ, როგორც ანტიკვარიატის საუკეთესო მცოდნემ ამოცანას პროფესიონალურად გაართვა თავი და მისი ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომი ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა შემოგვინახა. გაბუნიასეულ კატალოგში თითოეულ ექსპონატზე მოცემულია მოკლე და ამომწურავი დახასიათება.

კატალოგისათვის დართულ წერილში, რომლის ადრესატიც საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი აკ. ქავთარაძეა, ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ ა. გაბუნიას ბორჯომის



ფაიფურისა და სხვა ფონდიდან გადაურჩევია მხოლოდ სამუზეუმო მნიშვნელობის ნივთები. გაბუნია აღნიშნავს, რომ ამ ნივთებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საიმპერატორო ფაიფურისა და შუშის ქარხნების მიერ დამზადებულ ექსპონატებს. ამავე წერილში გაბუნია აღნიშნავს, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია მის მიერ კატალოგში აღწერილი ნივთების ნაწილი, როგორც მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატები, გადაეცეს ბორჯომის მუზეუმს, ხოლო ნაწილი საქართველოს მეტეხის მუზეუმს.

ამავე კატალოგში დაცულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ გაბუნიას რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო. თბილისის მეტეხის ხელოვნების მუზეუმს გადაეცა ის ექსპონატები, რომლებიც გაბუნიას კატალოგში გატარებულია №№ 1, 4, 6, 9, 10, 13, 19, 20, 21 და 22; №15-ში აღნიშნული 9 ექსპონატიდან ოთხი და №18 აღნიშნული 20 ექსპონატიდან ათი. დანარჩენი ექსპონატები გადაეცა ბორჯომის მუზეუმს. დოკუმენტს ხელს აწერენ რ. ერისთავი და ა. გაბუნია, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მესამე ხელმოწერა ეკუთვნის იმჟამად მეტეხის მუზეუმის დირექტორს დიმიტრი შევარდნაძეს.

1934 წლის 21 ნოემბრით დათარიღებულ მოხსენებით ბარათში ექსპერტი ა. გაბუნია საქართველოს მთავარ საკურორტო სამმარ-

თველოს უფროსს, პისკუნოვს მოახსენებს, რომ მისი დავალების თანახმად, მის მიერ აღწერილი, დადგენილი და შეფასებულია ბორჯომში დაცული ფაიფურის, ფაიანსის, ბროლის, ბრინჯაოსა და სხვა მხატვრული ექსპონატები, რომელთა ოდენობა 221 ერთეულია. ის ასევე აღნიშნავს, რომ ექსპონატები მის მიერ დაყოფილია რვა განყოფილებად, კერძოდ:

- I ფაიფურის ნაწარმი – 85 ერთეული;
- II ბროლის ნაწარმი – 37 ერთეული;
- III ფაიანსის ნაწარმი – 8 ერთეული;
- IV ტერაკოტა, გიფსი, თიხა – 16 ერთეული;
- V ხის მხატვრული ნაწარმი – 13 ერთეული;
- VI ვერცხლი, ბრინჯაო, თითბერი და სხვა ლითონი – 27 ერთეული;
- VII მხატვრული ნაწარმი – ალებასტრის, ციმბირის ფერადი ქვების, გიშერის, სადაფის, სპილოს ძვლის, მარმარილოს და ბარლის მადნის – 15 ერთეული;
- VIII ჩინური და იაპონური ლაქის, ირმის რქის და ტყავის მხატვრული ნაწარმი – 20 ერთეული.

სულ: 221 ერთეული

ამავე მოხსენებით ბარათში ექსპერტი ა. გაბუნია პისკუნოვს მოახსენებს, რომ შედგენილია ყველა ექსპონატის პასპორტი, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მასალა, დაცულობის ხარისხი, მხატვრული ნივთის მწარმოებელი ქარხანა მოკლე ისტორიით, დადგენილია ავტორი, სტილისტური მახასიათებლები და თავისებურებანი. შესაძლებლობის ფარგლებში მითითებულია ყველა წყარო, სადაც დაცული იყო ცნობა ამა თუ იმ ექსპონატზე.

ა. გაბუნიას ცნობით, ბორჯომში დაცული მხატვრული ექსპონატების 80% სამუზეუმო მნიშვნელობისაა. მუზეუმში დაცული ექსპონატების განხილვისას, ექსპერტი იხსენიებს საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და პეტერბურგის ფაიფურისა და შუშის საუკეთესო ქარხნებს, გვაცნობს იმ პერიოდის უცხოელ და რუს მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს, მოქანდაკეებს.

მუზეუმში დაცული რომანოვებისეული ჭურჭელი შესაძლოა სამ ძირითად კატეგორიად დაიყოს:

1. ჭურჭელი – დაფიქსირებული მხატვრულ-ისტორიული ნივთების კატალოგში და სადღეისოდ მუზეუმში დაცული; ასეთია 106 დასახელების 175 ერთეული.

2. ჭურჭელი, დაფიქსირებული მხატვრულ-ისტორიული ნივთების კატალოგში და სადღეისოდ მუზეუმში არ არსებული; ასეთია 73 დასახელების 134 ერთეული.
3. ჭურჭელი, დაუფიქსირებული მხატვრულ-ისტორიული ნივთების კატალოგში და სადღეისოდ მუზეუმში არსებული; ასეთია 27 დასახელების 37 ერთეული.

მუზეუმში 133 დასახელების რომანოვებისეული ჭურჭელია დაცული, 212 ერთეული გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიციაშია წარმოდგენილი, ნაწილი კი ფართობის უქონლობის გამო – ფონდსაცავშია განთავსებული. აქედან 106 დასახელების – 175 ექსპონატი 1935 წელს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მუზეუმს მხატვრულ-ისტორიული ნივთების კატალოგთან ერთად გადასცა. 27 დასახელების – 37 ექსპონატი კი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზით კერძო კოლექციონერებისგან, მოსახლეობისა და სხვადასხვა დანესებულებებიდანაა მუზეუმში თავმოყრილი.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რომანოვებისეული ჭურჭლის კოლექციის შევსება დღემდე გრძელდება.



Violeta Balakhashvili

*Manager of Borjomi Museum of Local History
of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia*

Collection of Romanovs' Dishware Preserved in Borjomi Museum of Local History

Close contact of Romanovs' family with Borjomi gorge in the end of the XIX c. and first quarter of the XX c. is widely known. Extremely interesting materials, related to Romanovs, including Romanovs' collection of dishware, are preserved in Borjomi Museum of Local History.

Rare collection of porcelain dishware, owned by the family of great ruler Mikheil Romanov, is exhibited in Borjomi Museum of Local History. The number of exhibits is up to 212 units.

The collection of Romanovs' dishware, preserved in Borjomi Museum of Local History was registered and described in 1934 by expert A. Gabunia by order of Educational Scientific and Main Resort Departments. He compiled the catalogue of these exhibits as well.

According to the expert's information, his main task was development of the summary of the performed work, where the time, place of manufacturing of porcelain and ceramic items of Borjomi Museum, stylistic characteristics with identification of artist-craftsman, artistic and material value would be reflected. A. Gabunia, and the best expert of antiquities, professionally completed the task, and Borjomi Museum preserved this very important piece of his work. Brief and exhaustive characteristic of each exhibit is provided in Gabunia's catalogue.

From the letter, attached to the catalogue, the addressee of which is the record- keeper of the Council of People's Commissars Ak. Kavtaradze, it becomes clear, that from the porcelain and other fund of Borjomi. A. Gabunia have selected only the items of museum importance. Gabunia mentions that special place among these items is occupied by the exhibits, manufactures by the Emperor's Porcelain and Glass Factory. In the same letter Gabunia mentions that he considers is appropriate to

According to Gabunia's information, 80% of exhibits, preserved in Borjomi, are of museum importance. When reviewing the exhibits, preserved in the Museum, the expert recalls the best porcelain and glass factories of France, England, Germany and Petersburg, introduces foreign and Russian painters, art history experts, sculptors of that period.

The collection of Romanovs' dishware, preserved in the Museum, can be divided into three basic categories:

1. Dishware, registered in the catalogue of artefacts- historical items and presently preserved in the Museum; these make 175 units of 106 nominations;
2. Dishware, registered in the catalogue of artefacts- historical items and presently not existing in the Museum; these make 134 units of 73 nominations;
3. Dishware, registered in the catalogue of artefacts- historical items and presently existing in the Museum; these make 37 units of 27 nominations.

Romanovs' dishware is 133 nominations are preserved in the Museum, 212 units are presented in the exhibition of applied arts, and some – due to the lack of area – are placed in the depository; out of them, 106 nominations – 175 exhibits – were handed over to the museum in 1935 by the Council of People's Commissars, together with the catalogue of artefacts- historical items. And 27 nominations – 37 exhibits were collected in the Museum at different times, for various reasons, from private collectors, population and various organizations.

Filling of Romanovs' dishware collection in Borjomi Museum of Local History continues up to date.

ნინო ჯანაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
დიდი მცხეთის სახელმწიფო არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი,
ექსკურსიამდლოლი

GRAVIRBULI DEKORIT SEMKULI BRINJAOS SARTYLEBI DA CULEBI

(შედარებითი ანალიზი)



გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში კავკასიაში მრავლად გვხვდება გრავირებული დეკორით შემკული მხატვრული ხელოსნობის ნიმუშები. ამ პერიოდის ნივთებზე დატანილი გამოსახულებანი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს.

მოსხენების მიზანია, გრავირებული კოლხური ცულებისა და ბრინჯაოს სარტყლების შესწავლის საფუძველზე, ამ მასალის გრაფიკული დეკორის ხასიათის დადგენა, გრავირებულ გამოსახულებათა შედარება, რაც თავის მხრივ იძლევა მხატვრული დეკორისა და სტილის მსგავსებისა და განსხვავების გათვალსაწინოების შესაძლებლობას.

სარტყლები, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული, კოლხური ცულები – დასავლეთში, თუმცა, აღმოსავლეთ საქართველოშიაც გვხვდება. კოლხური ცულები დასავლეთ საქართველოში კოლხური კულტურის არეალში ექცევა.

ცულები და სარტყლები თანადროულია (ძვ.წ. IX-VII სს.).

უმეტესად, ცულებზე გამოსახულია ძაღლი, თუმცა, გვხვდება ირმის, თევზის, გველისა და ფრინველის ფიგურებიც. ორნამენტიდან ჭარბობს წინვოვანი და წერტილოვანი ორნამენტი და ცხოველთა გამოსახულება. გვხვდება სპირალი და სამკუთხედი. საინტერესოა, რომ სარტყელზე ირმის, ცულებზე კი ძაღლის გამოსახულება ჭარბობს. სწორედ, ძაღლის ფიგურამ განიცადა განსაკუთრებული სტილიზაცია. გამოსახვის მთავარი ობიექტი ცულის ზედაპირზეა წარმოდგენილი და თითქმის მთელ თავისუფალ არეს ავსებს. უმეტესად, გამოსახულებები ცულის ორივე



მხარეს იდენტიურია, თუმცა, ზოგჯერ გვხვდება მცირედი განსხვავებებიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც ცულებზე, ასევე სარტყლებზე ძაღლები წარმოდგენილი არიან ხახადაღებულინი, ცხენები და ირმები კი პირმოკუმულნი.

ცულებისა და სარტყლების გრაფირებული გამოსახულებების ერთმანეთთან შედარებამ ცხადყო, რომ ფიგურები მრავალ საერთო ნიშანს ავლენენ და ისინი ერთი სტილისტური მანერიითაა შესრულებული. განხილული მასალა იძლევა საფუძველს, მოსაზრების გამოთქმისა, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ცულებსა და სარტყლებზე გავრცელებული იყო მსგავსი გრაფიკული დეკორი.

Nino Janashvili

*Guide, Great Mtskheta State Archaeological Museum- Reserve,
of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia*

Bronze Belts and Axes, Adorned with Engraved Décor

(Comparative Analysis)

We see a lot of artefacts, adorned with engraved décor in late bronze-early iron age in the Caucasus. The images engraved on the items of this period have many signs in common.

The purpose of the report of determination of the nature of graphical décor of this material on the basis of study of engraved Colchis axes and bronze belts, comparison of engraved images, which, in its turn, allows to clearly demonstrate the similarities and differences of the artistic décors and styles.

The belts are mainly spread in East Georgia, Colchis axes – in West, but still we meet some in East Georgia as well. Colchis axes in West Georgia are within the scope of Colchis culture. The axes and belts belong to the same period (IX-VII c.c. B. C.).

Mostly dogs are presented on axes, but there are deer, fish, snake and bird images as well. Out of ornaments, coniferous and dotted ornaments and animal images prevail. There are spirals and triangles. It's interesting that deer images prevail on belts and dog images prevail on axes. It was dog's image which experienced special stylization. The main object of the image is represented on the axe surface and fills almost all space. Mostly, animals are identical on both sides of axes, but sometimes there are some minor differences. It shall also be mentioned that the dogs on the axes, as well as on the belts, are represented with their mouths open, while horses and deer are represented with closed mouths.

Comparison of images, engraved on axes and belts made it clear that the figures have much in common and they are made in one stylistic manner. The reviewed materials provide basis to express the opinion that similar graphical decor was spread on axes and belts in late bronze-early iron age.



ლაპარა ქოზაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო მიმართულების
კოორდინატორი ბორჯომის მუნიციპალიტეტში

BORIS KUFTINIS XELNAWERI BORJOMIS M XARETMCODNEOBIS MUZEUMSI



ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, საქალაქო სა-
თაურით – „მასალები რაიონის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის შესწავლისათვის“ აკადემიკოს ბორის კუფტინის
ხელნაწერი აღმოჩნდა. ხელნაწერი გატარებულია ძირითად შემო-
სულობათა საინვენტარო წიგნში ნომრით – 3035. სამწუხაროდ,
არ დასტურდება ჩანერის თარიღი, მიღების წყარო და აქტის ნო-
მერი. დედნისა და გადაწერილი ვერსიის შეჯერების საფუძველ-
ზე გამოსაქვეყნებლად მოვამზადეთ ხელნაწერის ტექსტი.

I. ხელნაწერის აღწერილობა

ხელნაწერი სათაურით – „ბორჯომის რაიონის წინა ფეოდალური
ეპოქის (გვაროვნული საზოგადოება) არქეოლოგიური აღმოჩენე-
ბის ექსპოზიციის პროექტი“, 21 გვერდისაგან შედგება. შესრუ-
ლებულია შავი და იისფერი მელნით, ძნელად გასარკვევი ხელ-
ნერით, რუსულ ენაზე. ხელნაწერში ბორის კუფტინის ხელით
შესრულებული 1 რუკა და 8 ჩანახატია. მოგვიანებით კუფტინი-
სეული ხელნაწერი გადაუწერიათ.

II. ხელნაწერის დათარიღება

ხელნაწერს თარიღი არ უზის, დოკუმენტის თარიღი არც შე-
მოსულობათა წიგნში არ დასტურდება. შევეცადეთ ბორჯომის
მუზეუმში დაცულ მასალებზე დაყრდნობით, ჩვენს მიერ მო-
პოვებული ფაქტების შეჯერებისა და კვლევის საფუძველზე
დაგვეთარიღებინა ბ. კუფტინისეული ხელნაწერი. ჩვენის აზ-
რით, ხელნაწერი შესრულებული უნდა იყოს 1939-1941 წლებს
შორის.



III. ხელნაწერის მიმოხილვა

სამუზეუმო საქმიანობის თვალსაზრისით, ბ. კუფტინის ღვაწლი განუზომელია. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბორჯომის მუზეუმის არქეოლოგიური ექსპოზიციის მონაცემები. ბ. კუფტინისეული ხედვა, თემატიკის მიხედვით ექსპოზიციის აგების მისეული გეგმა: ნეოლითური აღმოჩენების მიმოხილვა, ბორჯომის რაიონი ბრინჯაოს ხანაში, ლითონის დამუშავება, სამინათმოქმედო იარაღები, შეიარაღება, სამკაულები, დაკრძალვის რიტუალი, კერამიკა, ცალკეული აღმოჩენები. საყურადღებოა ფაქტი, რომ ბ. კუფტინი ბორჯომის ხეობას ყობანურ – კოლხური კულტურის არეალს აკუთვნებს. ასევე მეტად საინტერესოა ბ. კუფტინის მიერ შესრულებული რუკა სამი ლითონ მწარმოებელი არეალისა (ყობანურ-კოლხური, მტკვრისა და არაქსის აუზები) და ამ არეალებში გავრცელებული არტეფაქტების ტიპოლოგიის განსაზღვრით.

IV. ხელნაწერის მნიშვნელობა

ვფიქრობთ, თავისთავად, უდიდესი მეცნიერის, აკადემიკოს ბორის კუფტინის ხელნაწერის არსებობის ფაქტი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის მეტად მნიშვნელოვანია.



კოლხური ცული, სოფ. მიტარბი




კოლხური ცულის ყალიბი, სოფ. თელოვანი

საინტერესოა, რომ ხელნაწერი წინ უსწრებს ბ. კუფტინის მიერ თრიალეთში წარმოებული გათხრების შედეგად გამოქვეყნებულ მისსავე ბრწყინვალე ნაშრომებს, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავიათ საქართველოს არქეოლოგიის ისტორიაში.

ბორჯომის მუზეუმში დაცულ ხელნაწერში გამოთქმული ბ. კუფტინისეული მოსაზრებები შემდგომში განვითარდა და აისახა მის ცნობილ ნაშრომებში. კერძოდ: ბ. კუფტინის უიშვიათეს აღმოჩენად მიაჩნია ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ყობანური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და თავად „ყობანური ტიპის“ ცული, რომელიც ზუსტად დაემთხვა ამ ყალიბს. სწორედ ეს აღმოჩენა მიაჩნია ბ. კუფტინის იმის მტკიცებულებად, რომ “ ყობანური ტიპის“ ცული, რომელიც ვრცელდებოდა კავკასიის ქედის ჩრდ. კალთებიდან შავი ზღვის ნაპირებამდე, საქართველოში იმპორტის შედეგად არ იყო მოხვედრილი და ადგილობრივ, ბორჯომის ხეობაში არსებულ სახელოსნოებში მზადდებოდა.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციისა და საგამოფენო სივრცეების, კერძოდ არქეოლოგიური ექსპოზიციის რეექსპოზიციის დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უდიდესი მეცნიერის, ბ. კუფტინისეული ხედვის გათვალისწინება.



ბ. კუფტინის ხელმოწერა
B. Kuftin signature

Lamara Kozashvili

*Coordinator of Educational Direction of the National Agency for Cultural Heritage
Preservation of Georgia in Borjomi Municipality*

Boris Kuftin's Manuscript in Borjomi Museum of Local History

The manuscript of Academician Boris Kuftin was discovered in Borjomi Museum of Local History, in the file named “Materials for Study of the History, Archaeology and Ethnography of the Region”. The manuscript is registered in the inventory logbook of main incomings under the number 3035. Unfortunately the date of the record, source of receipt and statement number can't be identified. On the basis of comparing of the original and rewritten version, the text of the manuscript was prepared for publication.

I. Description of the Manuscript

The manuscript under the title “Exhibition Project of Archaeological Finds or Pre-Feudal Period (Patrimonial Society) of Borjomi Region” consists of 21 pages, is written with black and purple ink, hardly distinguishable handwriting, in Russian. The manuscript contains 1 map and 8 sketches made by Boris Kuftin. Later Kuftin's manuscript was re-written.

II. Dating of the Manuscript

The manuscript is not dated; the date is not confirmed in the book of incomings either. We tried to date B. Kuftin's manuscript based on the materials, preserved in Borjomi Museum, comparing and study of the facts, obtained by us. In our opinion, the manuscript should be written between 1939 and 1941.

III. Review of the Manuscript

From the viewpoint of museum activities, B. Kuftin's contribution is immense. In this regard, B. Kuftin's vision of organization of archaeological exhibition in Borjomi Museum, his plan of structuring the exhibition according to the topics, is very interesting: review of finds of Neolithic period, Borjomi in Bronze age, Metal processing, agricultural instruments, armor, adornments, burial ritual, ceramics, individual finds. The fact that B. Kuftin refers Borjomi gorge to Koban- Colchis culture area, deserves attention.

The map, made by B. Kuftin, with specification of three metal manufacturing areal (Koban- Colchis, Mtkvari and Araks river basins) and artefact typology spread in these areas.

IV. The Significance of the Manuscript

In our opinion, the very fact of existence of manuscript of the greatest scientist, Academician Boris Kuftin is very important for Borjomi Museum of local history.

It's interesting that the manuscript precedes brilliant pieces of work, published by Boris Kuftin as a result of archaeological excavations conducted by him in Trialeti, which occupy special place in the history of Georgian Archaeology.

B. Kuftin's opinions, expressed in the manuscript, preserved in Borjomi Museum, were further developed and reflected in his famous works. In particular: B. Kuftin considered bronze Koban axe casting mould, discovered in Borjomi gorge as the rarest discovery. B. Kuftin considers that this very find evidenced that the "Koban-type" axe, which was spread from the north slopes of Caucasian range to the Black Sea Coast, wasn't imported to Georgia and was manufactured in local workshops existing in Borjomi gorge.

We consider it appropriate to take into account B. Kuftin's vision when rehabilitating Borjomi Museum of Local History and arranging re-exposition of exhibition areas, in particular, archaeological exhibition.

თამარ კუპულდავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული
მუზეუმ-ნაკრძალის ფონდების მცველი

DIMITRI NAZARISVILIS MEMORIALURI MUZEUMI

ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ოფისი განთავსებულია დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალურ სახლში, რომელსაც 2006 წლიდან ისტორიული ძეგლის სტატუსი აქვს.

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზარიშვილმა (ნაზაროვმა) 1878 წელს დაამთავრა პეტერბურგის სამედიცინო-ქირურგიული ინსტიტუტი. იგი დაბრუნდა ქუთაისში და აქ სიცოცხლის ბოლომდე (1927 წ.) თავის მრავალრიცხოვან ოჯახთან (მეუღლე ტატიანა ანდრუშენკო, შვილები: ელენე, ისია, ლარა, ლეონიდე და ვალერიან) ერთად ცხოვრობდა.

დიმიტრი ნაზარიშვილმა ქუთაისში განახორციელა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. მან 1892 წელს ქუთაისში პირველი უფასო ამბულატორია დააარსა. დიმიტრი ნაზარიშვილის და სამსონ თო-



დ. ნაზარიშვილის მემორიალური სახლი
D. Nazarishvili memorial house



დ. ნაზარიშვილის მემორიალური სახლი
D. Nazarishvili memorial house

ფურცლს თაოსნობით 1917 წელს დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა ექიმთა კავშირი.

მუეფასებელია მისი ღვანლი წყალტუბოს მინერალური წყლების შესწავლასა და გამოყენებაში. დიდი სამუშაოები ჩაატარა მალარიასთან ბრძოლის ორგანიზებაში, 22 წელიწადი უანგაროდ მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის ექიმად.

1881 წელს მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველკვირეული გაზეთი „შრომა“. დიმიტრი ნაზარიშვილს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მედიცინის სფეროში. დიმიტრი ნაზარიშვილისა და მისი ოჯახის საქმიანობის ამსახველი საარქივო მასალა დაცულია ქუთაისის სახელმწიფო-ისტორიულ მუზეუმში.

მოხსენებაში წარმოდგენილია დიმიტრი ნაზარიშვილის ღვანლი და ფართო საზოგადოებისათვის ჯერაც უცნობი მემორიალური კოლექცია: ავეჯი, ბიბლიოთეკა (უნდა აღინიშნოს ნიგნების უნიკალური კოლექცია ფრანგულ და რუსულ ენებზე), პირადი წერილები, განათლების დამადასტურებელი დიპლომები, ფოტოარქივი, შთაბეჭდილებათა ნიგნი.

დიმიტრი ნაზარიშვილის ოჯახის ღვანლი და მემორიალური მემკვიდრეობა მონოგრაფიულ კვლევას იმსახურებს.



დ. ნაზარიშვილი
D. Nazarishvili



დ. ნაზარიშვილის
ფოტოარქივი
D. Nazarishvili Photo archive

Tamar Kukuldava

*Keeper of Funds of Kutaisi Historical-Architectural
Museum- Reserve of the National Agency for Preservation
of Cultural Heritage Preservation of Georgia*

Dimitri Nazarashvili Memorial Museum

The Office of Kutaisi Historical-Architectural Museum-Reserve is located in Dimitri Nazarashvili's memorial house, which has the status of historical monument since 2006.

Dimitri Nazarashvili (Nazarov) graduated from Petersburg Medical-Surgical Institute in 1878. He returned to Kutaisi and live there till the end on his life (1927) together with his big family (wife – Tatyana Andrushenko, children: Elene, Isya, Lara, Leonide and Valerian).

Dimitri Nazarashvili implemented number of important projects in Kutaisi. He established the first free out-patient facility in Kutaisi. Dimitri Nazarashvili and Samson Topuria initiated establishment of the Doctor's Union in West Georgia in 1917.

His contribution is invaluable in study and use of Tskaltubo mineral waters. He conducted extensive activities for organizing fighting against malaria; he worked as a doctor of Kutaisi State Theatre for 22 years without remuneration.

In 1881 he was the editor of the weekly newspaper "Shroma" ("Labor"). Dimitri Nazarashvili is the author of number of scientific papers in the sphere of medicine. Archive materials, reflecting the activities of Dimitri Nazarashvili and his family are preserved in Kutaisi State Historical Museum.

The report presents Dimitri Nazarashvili's merit and memorial collection, still unknown for wide public: furniture, library (unique collection of books in French and Russian languages shall be mentioned), personal letters, diplomas, certifying his education, photo-archive, the book of impressions.


The merit and memorial heritage of Dimitri Nazarashvili's family deserves monographic research.

პაპ კაჭარავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ისტორიის დოქტორი

BORJOMIS MINERALURI WYLIS ANTIKUR XANASI GAMOYENEBIS DAMADASTUREBELI ARTEFAQTEBI


ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დოკუმენტების ფონდში დაცულია პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინის ხელნაწერი, რომელიც შეიცავს მეტად საყურადღებო ინფორმაციას 1912-1913 წლების ბორჯომის მინერალური წყლების პარკის შემთხვევითი აღმოჩენის შესახებ. დართულია ხელნაწერის ტექსტი.



ეკატერინეს წყაროსთან წარმოებულ საკაბაჭაო სამუშაოების დროს, აღმოჩნდა შვიდი უძველესი უხეში თლილი ქვის აბაზანის ნაშთი. ამ აბაზანებს პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინი ანტიკურ ხანას აკუთვნებს. ინფორმაცია ამ აბაზანების აღმოჩენის შესახებ ბორჯომის მინერალური წყლის უძველესი დროიდან გამოყენების დასტურია. რესტავრირებული ერთი აბაზანა საექსპოზიციოდ მინერალური პარკის „პირველ არქეოლოგიურ მოედანზე“ იყო გატანილი. ნაშრომს ერთვის მინერალური პარკის


„პირველი არქეოლოგიური მოედნის“ ამსახველი ფოტო-მასალა, რომელიც ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. სამწუხაროდ, ჩვენთვის საინტერესო აბაზანა ამ ფოტომასალაში ასახული არ არის.

ამავე ხელნაწერშია დაცული ცნობა, ბორჯომის წყლის სხვადასხვა დროს გამოყენების შესახებ. აღნიშნულის დამადასტურებელი ხის აბაზანების ნაშთი პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერვეა გადაცემული ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის. ნაშრომს დართული აქვს პავლე ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ ბორჯომის მუზეუმისათვის გადაცემული ამ არტეფაქტების ფოტო.



მდ. ბორჯომულას დანალექი ნაპირი ეკატერინეს წყაროსთან
Sedimentary of river Borjomula, Ekaterine spring

არქეოლოგიური გამოფენა მინერალური წყლების პარკში
Archaeological exposition in the mineral water park



არქეოლოგიური გამოფენა მინერალური წყლების პარკში
Archaeological exposition in the mineral water park




არქეოლოგიური გამოფენა მინერალური წყლების პარკში
Archaeological exposition in the mineral water park



არქეოლოგიური გამოფენა მინერალური წყლების პარკში
Archaeological exposition in the mineral water park

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ვინოგრადოვ-ნიკიტინისეული ხელნაწერი ადასტურებს ბორჯომის მინერალური წყაროების ცნობადობასა და გამოყენებას ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე, ამავდროულად მინერალური წყაროების გამოყენების ფაქტს სხვადასხვა დროს.



არქეოლოგიური გამოფენა მინერალური წყლების პარკში
Archaeological exposition in the mineral water park

ნაშრომი ათვალსაჩინოებს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული საარქივო მასალის მნიშვნელობასა და მის ელექტრონულ ფორმატში გადატანის, ასევე ხელახალი კლასიფიკაციისა და აღნუსხვის, დედნების სათანადო პირობებში შენახვისა და დაცვის აუცილებლობას.



Eka Kacharava

*Senior Specialist of Museum and Museum- Reserve Management Unit
of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctor of History*

Artefacts, Proving Use of Borjomi Mineral Water in Antique Period

The manuscript of Pavle Vinogradov-Nikitin, containing very interesting information on accidental discovery of Borjomi mineral waters park in 1912- 1913, preserved in the documents fund of Borjomi Museum of Local History is presented and considered in the paper. The text of the manuscript is attached.

During tapping works, conducted at Ekaterine’s spring, the remains of seven coarse cut stone bathtubs were discovered. Pavle Vinogradov-Nikitin refers these bathtubs to antique period. The information on discovery of these bathtubs proves that Borjomi mineral water was used since ancient times. One bathtub, restored, was taken to the “First archaeological area” of the mineral park for exhibition. The photo materials, depicting the “First archaeological area” of the mineral park, preserved in Borjomi Museum of local history, is attached to the paper. Unfortunately, the bathtub, interesting for us, is not reflected in these photo materials.

Information on use of Borjomi water at various times is also preserved in this manuscript. The remains of wooden bathtubs, proving the above mentioned, were handed over to Borjomi Museum of Local History by Pavle Vinogradov-Nikitin as well. The photos of these artefacts, handed over to Borjomi Museum of Local History by Pavle Vinogradov- Nikitin are attached to the paper.

Vinogradov-Nikitin’s manuscript, preserved in Borjomi Museum of Local History proves recognisibility and use of Borjomi mineral springs since the beginning of the Common Era, and the fact of use of mineral springs at varying times.

The paper demonstrates the importance of archive materials preserved in Borjomi Museum of Local History and the necessity of its transfer into electronic format, as well as the necessity of repeated classification and recording, storing in the relevant conditions and preservation.

ნიკოლოზ ჩაღუნელი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო
მუზეუმ-ნაკრძალის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალისტი

SIDA QARTLIS GVIANBRINJAOS XANIS SUFRIŠ WURWELI

(ტიპოლოგია-ქრონოლოგია)

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა უამრავ მასალას მოუყარა თავი. სამწუხაროდ დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია. მათ რიცხვში უდიდესი ადგილი კერამიკულ ნაწარმს უკავია.

კერამიკული ნაწარმი ნეოლითის ეპოქიდან მოყოლებული უდიდეს როლს თამაშობდა კაცობრიობის ისტორიაში. ზოგადად თიხას, ადამიანი ადრეული პერიოდიდანვე მოიხმარდა, როგორც მრავალ-ფუნქციურ პროდუქტს. აგებდა სახლებს, ამზადებდა ყოველდღიური მოხმარების საგნებს, საკულტო დანიშნულების ნივთებს და სხვ. თიხასა და კერძოდ კერამიკაზე ადამიანის ასეთმა დამოკიდებულებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს თითქმის ყველა არქეოლოგიურ კულტურულ ფენაში მას ნამყვანი ადგილი უჭირავს.

ადამიანის განვითარებასთან ერთად ვითარდება და იხვეწება თიხის კულტურა, განსაკუთრებით ჭურჭელი. წინამდებარე თემაში ჩვენ განვიხილავთ გვიანბრინჯაოს ხანის შიდა ქართლის კერამიკული ნაწარმის ერთ ნაწილს, კერძოდ სუფრის ჭურჭელს, რომლის გამრავალფეროვნება და რაოდენობის გაზრდა, ისევე როგორც მთელი კერამიკული ჭურჭლისა, სწრაფად მბრუნავი ჩარხის შემოტანა-დანერგვამ განაპირობა.

ნაშრომში წარმოდგენილია მათი ტიპოლოგია-ქრონოლოგია ზემოთ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ძირითადი სამაროვნების მასალაზე დაყრდნობით. ტიპოლოგია-ქრონოლოგია დაფუძნებულია შედარებითი ანალიზის მეთოდზე.

Nikoloz Chaduneli

*Great Mtskheta Archaeological Museum-Reserve
of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia,
Educational program specialist*

Shida Kartli Tableware of Bronze Age

(Typology- Chronology)

Archaeological excavations, conducted on the territory of Georgia, generated a lot of materials. Unfortunately, major part is still not published and studied. Ceramics occupy major part among them.

Since Neolithic period, ceramics played greatest role in the history of mankind. Clay, in general, was used by humans as multi-functional product. They built houses, made everyday items, cult items, etc. Such dependence of a human on clay, and particularly on ceramics, conditioned the fact that it has leading place almost in all archaeological cultural layers.

Together with human development, clay culture, especially tableware, develops and refines. In this paper we will consider one part of Shida Kartli ceramics of Bronze age, namely tableware, diversity and increase of quantity of which was conditioned by import and introduction of quickly rotating pottery wheel.

The paper presents their typology-chronology during the above mentioned period on the basis on the materials from the main burials existing on the territory of Shida Kartli, Typology-chronology is based on the method of comparative analysis.

For determination of common chronological framework for the tableware of the above mentioned period, the tableware is considered together with other grave goods, namely weapon, which made their dating simpler and more accurate.

The materials, coming from the monuments on the territory of Shida Kartli, considered by us, has many common elements, based on morphological features, not only with each other, but with neighbouring regions. The mentioned fact indicates to the existence of common characteristics in the tradition of manufacturing of ceramics of the stages of transition from mid-bronze to late-bronze age and following stages on the territory of the Caucasus.

როლანდ ისაკაძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი,
ისტორიის დოქტორი

QUTAISI ZV. W. I ATASWLEULSI

(არქეოლოგიური კვლევის შედეგები და პერსპექტივები)



ქუთაისის სიძველეების მეცნიერულ კვლევას საფუძველი დიუბუა დე მონპერემ (XIX ს-ის 30-იანი წლები) ჩაუყარა. მასვე ეკუთვნის ანტიკური წყაროების „ქუთათისიუმის“ ლოკალიზაციის პირველი, თუმცა წარუმატებელი მცდელობა, არქეოლოგიურ ძეგლებს კი ქუთაისში პირველად მწერალმა და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელმა 1870-იან წლებში მიაკვლია.

ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი წილი ძვ. წ. I ათასწლეულის ძეგლების შესწავლას მიეძღვნა. აღნიშნულ საქმეს მეცნიერული საფუძველი აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ ჩაუყარა.

უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგად „არქიელისა“ (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) და „გაბაშვილ-დათეშიძის გორების“ ტერიტორიაზე გამოვლინდა ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ვრცელი, გამაგრებული საქალაქო ტიპის სამოსახლო, რომლის ბაზაზეც ადრეანტიკურ ხანაში აღმოცენდა ასევე ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც დაახლოებით 10 ჰექტარზე ყოფილა განფენილი.

ძვ. წ. III-ი საუკუნეებში ადრეანტიკური სამოსახლოს უკვე დანგრეული ერთი ნაწილი ქვევრსამარხებისა და ორმოსამარხების ზონადაა ქცეული. ამავე ზონაში გამოვლენილია გვიანელინისტური ნამოსახლარის ნაშთებიც.

ძვ. წ. I ათასწლეულის ქუთაისის არქეოლოგიური ძეგლები ცალკე პროექტით კვლევას იმსახურებს.



Roland Isakadze

*Manager of Kutaisi Historical- Archaeological Museum-Reserve of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctor of History*

Kutaisi in the 1st Millennium B.C.

Dubois de Montpereux (30-ies of the XIX c.) laid fundament to scientific research of Kutaisi antiquities. He is the author of the first, although unsuccessful attempt of localization of “Kutatisium” from antique sources; and archaeological monuments in Kutaisi were first discovered by the writer and public figure Giorgi Tsereteli in 1870-ies.

Significant part of archaeological research of Kutaisi was dedicated to the study of the monuments of the 1st Millennium B.C. academician Otar Lortkipanidze laid scientific fundament to the mentioned activities.

As a result of researches, conducted during the last 50 years, on the territory of “Archieli” (areas of Bagrati Cathedral) and “Gabashvil-Dateshidze Hills”, was revealed vast, fortified settlement of town type of the beginning of the 1st Millennium B.C., on the basis of which a town-type settlement, covering 10 hectares, originated in early antique period.

In III-I c.c. B.C. already destroyed one part of early-antique settlement was turned into the zone of kvevri-burials and pit-burials. The remains of late-Hellenistic settlement are identified in the same zone.

Kutaisi Archaeological monuments of the 1st Millennium B.C. deserve research with separate project.

კობა კობერიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მონიტორინგის სპეციალისტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების დოქტორანტი

ZOGIERTI KERAMIKULI FORMA DIDI MCXETIDAN (I-IV SS)

I-IV საუკუნეებში, დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, გვიანანტიკური ხანის სამაროვნებსა და იშვიათად ნამოსახლარებზე აღმოჩენილია კერამიკული ჭურჭელი. სავარაუდოდ მათ სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ. ისინი ნარმოდგენილი არიან ორკორპუსიანი ხელალებით, ამფორისკის, ასკოსისებური ფორმის და მოჭიქული ჭურჭლებით, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ თავიანთი სპეციფიკური, იშვიათი ფორმებით და აშკარად განსხვავდებიან ყოველდღიური ყოფისთვის განკუთვნილი ჭურჭლებისგან. ამგვარი ჭურჭლები იშვიათად დასტურდება ნამოსახლარებზე და ძირითადად სამარხულ კომპლექსებში გვხვდება, რაც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ისინი მხოლოდ მიცვალებულის ჩასატანებლად მზადდებოდა.

კერამიკულ მასალაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ამ პერიოდში ხელოსნები ცალკე ამზადებდნენ ყოველდღიურად სახმარ ჭურჭელს და განსაკუთრებული შემთხვევებისთვის ამზადებდნენ მათგან განსხვავებული ფორმის ჭურჭელს, რომელთაც სავარაუდოდ სარიტუალო დავირთვა გააჩნდათ.

Koba Koberidze

*Monitoring Specialist of Great Mtskheta Archaeological Museum-Reserve of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctoral student of Archaeology Direction of Ivane Javakishvili Tbilisi State University*

Some Ceramic forms from Great Mtskheta (I-IV cc)

In I-IV cc on the territory of Great Mtskheta, ceramic vessels, presumably for ritual purposes, was discovered on in late-antique period burials and, rarely, on ruined settlements. They are represented by two-bodied jugs, amphorette-, askos- shaped and glazed vessels, attracting attention by their specific, rare forms and obviously differing from dishware, intended for everyday life. Such vessels are evidenced on ruined settlements and mainly in burial complexes, which allows us to presume that they were manufactured as grave goods only.

As a result of observations on ceramics we could express a presumption that in that period craftsmen separately manufactured everyday dishware, which had serial production, and made vessel of different forms, having other, presumably ritual purpose, separately, for special cases.




ნათო ბეჰკინაძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციათა
ატრიბუციის სპეციალისტი

BORJOMIS RAIONIS SOFEL SAKIRIS TOPONIMIKA

საკირე ბორჯომის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და ტაძრისთან და დგვართან ერთად ტაძრისის თემის შემადგენლობაშია. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია საკირის ზოგიერთ ტოპონიმზე. ვინაიდან ტოპონიმის სოფლის ისტორიული წარსულის სრული სურათის აღდგენაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროდ ვთვლი სოფლის ადგილთა სახელწოდებების შესწავლას მანამ, სანამ ის ჯერ კიდევ შემორჩა სოფელ საკირის მკვიდრთა მესხიერებას. მოხსენებაში ძირითადად საუბარია იმ ტოპონიმებზე, სადაც მატერიალური კულტურის ძეგლებია დადასტურებული. დღეს საკირეში თხუთმეტამდე მატერიალური კულტურის ძეგლია, თუმცა როგორც სოფლის უხუცესები ამბობენ, უფრო მეტი იყო და განადგურდა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან სოფელი საკირე ხელახლა სახლდება. სოფლის უხუცესთა გადმოცემით ტოპონიმები „საკირე“, „ტაძრი-



წარწერა საყდრისაკის ქვაზე
Manuscript of sakdrivake stone



საყდრის ეკლესია
Sakdrivake Church

სი“, „დგვარი“ უძველესია. აქ მცხოვრებნი ძველი მესხები ყოფილან და ოსმალთა ბატონობის დროს დაუტოვებიათ საცხოვრისი.

ტოპონიმი „საკირე“ არც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ და არც ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერაში“ არ იხსენიება. ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს პირველად საისტორიო წყაროებში XVIII საუკუნის ისტორიკოსის, პაპუნა ორბელიანის თხზულებაში („ამბავნი ქართლისანი“) ვხვდებით: „წავიდა ხეობაზე, რომ ქართლის ჯარი იყო, ახალციხის ქვეყანასა, აიღეს ციხე საკირისა იავარ-ჰყვენეს საქონელი ანუ ტყვე ურიცხვი“.

საკირის მატერიალური კულტურის ძეგლები საფუძვლიანად შეისწავლეს სერგი მაკალათიამ და დევი ბერძენიშვილმა. სწორედ დევი ბერძენიშვილმა აღმოაჩინა და წაიკითხა საყდრის ეკლესიის ნუსხური წარწერა. ბორჯომის ხეობა და მათ შორის ტაძრის თემი, რომ უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული ამის დამადასტურებელია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გაყვანის დროს მილსადენის არეალის ფარგლებში აღმოჩენილი შემდეგი არქეოლოგიური ძეგლები:

1. „სანაცრეები“ – მრავალშრიანი ძეგლი, რომლის შესწავლისას არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ ძეგლის ისტორია იწყება VI–V საუკუნეებში და გრძელდება V–VI საუკუნეებამდე. ძეგლის ტიპი და დანიშნულება პერიოდულად იცვლებოდა;
2. კოდანის სამარხი – რომელსაც არქეოლოგები ყორღანების

გავრცელების ადრეულ პერიოდს ძვ. წ. 2500-2000 წლებს მიაკუთვნებენ. ამ სამარხში აღმოჩნდა მეფუტკრეობისა და თაფლის ინდიკატორები. ფიქრობენ, რომ მოცემულ კულტურულ ჯგუფში გავრცელებული იყო მეცხოველეობა და მინათმოქმედება.

3. თისლის სერის სამარხი – რომელიც ტაძრისის სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს რამდენიმე სამარხი, რომელთა შორისაა თიხის ჭურჭელი, ქვის იარაღები, მცირე ზომის ფიგურების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ცულები და სხვა.

საკირეს ისტორიულობას სძენს ის ფაქტიც, რომ აქ გადიოდა ისტორიული გზა, რომელიც თორსა და ციხისჯვარს სამცხე-საათაბაგოსთან აკავშირებდა. დღემდე შემორჩა ამ გზის ფრაგმენტი. იგი საკირიდან 5 კმ. დაშორებით მდებარეობს. ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე გადაწყვიტე ფართო საზოგადოებისათვის გამეცნო ბორჯომის ხეობის ერთ-ერთი ისტორიული სოფელი, სადაც გიორგი მთანმინდელმა მიიღო პირველდანწყებითი განათლება.



გუჯრის ხეის ეკლესია
Gujriskhevi Church



საკირის ციხე
Sakire Fortress

Nato Beshkenadze

Collections Attribution Specialist of Borjomi Museum of Local History of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

Toponymy of Sakire Village of Borjomi Region

Sakire is located in Borjomi municipality and, together with Tadzrisi and Dgvari, is included in Tadzrisi community. In the report I focus on some toponyms of Sakire. As toponymy plays certain role in restoration of full picture of historical past of the village, I consider it necessary to study the named of village places till they live in the memories of Sakire village indigenous residents. The toponyms, where material culture monuments are evidences, are touched in the report. Presently there are about fifteen material culture monuments in Sakire, although, as the elder villagers say, there were more, but they were destroyed.

Since the 2nd half of the XIX c. village Sakire becomes settled again. According to the information of elder villagers, the toponyms “Sakire”,

Tadzrisi”, “Dgvari” are the oldest ones. Old Meskhetians used to live there and they abandoned their houses during the reign of Osmans.

The toponym “Sakire” wasn’t mentioned either in “Great List of Gurjistan Vilayet” or in Vakhushti Bagrationi’s “Census”. The toponym, interesting for us is first mentioned in historical sources in the work of historian of the XVIII c. Papuna Orbeliani (“Ambavni Kartlisani” – “Kartli Whereabouts”): “..went to the gorge, that was Kartli army, of Akhaltsikhe country, took the castle of Sakire and took away cattle and a lot of prisoners of war.”

Sakire material culture monuments were fundamentally studied by Sergi Makalatia and Devi Berdzenishvili. It was Devi Berdzenishvili who discovered and read the “nuskhuri” inscription of Sakdrivake church. The fact that Borjomi gorge, including Tadzrisi community, was populated since ancient times, is proven by the discovery of the following monuments discovered in the area of Baku-Tbilisi-Geyhan pipeline in the process of construction of the pipeline:

1. “Sanatsreebi” – multi-layer monument, in the course of study of which the Archaeologists concluded that the history of the monument begins in VI-V cc BC and continues till V- VI cc AD The type and the function of the monument was changing in periodically;
2. Kodiana burial – referred by the archaeologists to the early period of spreading of mounds. Bee- keeping and honey indicators were discovered in this burial. It is supposed that animal breeding and land farming was spread in this cultural group;
3. Tisli hillock burial – which is located to the west from Tadzrisi; the Archaeologists discovered several burials containing clay vessels, stone tools, fragments of small figures, bronze axes, etc.

Historical importance of Sakire is also supported by the fact that historical road went near it, connecting Tori and Tsikhijvari with Samtskhe- Saatabago. Fragment of this road has survived, which is located in 5 km from Sakire. Following the above stated, I decided to introduce one of the historical villages of Borjomi gorge, where Giorgi Mtatsmindeli got his primary education, to the wide public.

გიორგი ლალიაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გრემის მუზეუმის მონიტორინგის სპეციალისტი,
ისტორიის დოქტორი

ARQELOGIURI GATXRBI QVMO QEDSI

სტატიაში განხილულია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში 2013 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები. სოფელი ქვემო-ქედი მდებარეობს შირაქის ველის აღმოსავლეთ განაპირას, მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს მხარე კამბეჩოვანის (ბერძნულ-რომაული წყაროების კამბისენე) აღმოსავლეთი ნაწილია. არქეოლოგიური სამუშაოებისას შესწავლილი იქნა ორი ინდივიდუალური ორმოსამარხი, დამხრობილი ჩრდილო-სამხრეთის მიმართულეზაზე. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ გვერდზე დასვენებული, მოხრილ პოზაში. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო მხოლოდ კერამიკული ნაწარმით. ეს არქეოლოგიური მასალა მიეკუთვნება „იალოილუთეფეს კულტურას“, რომელიც ძვ.წ. III-I საუკუნეებში კომპაქტურად გავრცელებულია ალაზნის ქვემო დინების აღმოსავლეთით (მარცხნივ) – კავკასიის ალბანეთის ტერიტორიაზე.

შესწავლილი სამარხები ჩაშვებული იყო 0,7 მ. სიმაღლის დანალექ კულტურულ ფენაში, რომელშიც დადასტურდა თეთრი ანგობის ზოლებით მოხატული დოქების, ნითელკეციანი ჯამებისა და სხვადასხვა სასუფრე ჭურჭლის ფრაგმენტები. ამ ფენაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართლის (იბერიის) სინქრონულ ძეგლებზე მოპოვებულ მასალასთან და იმავე დროს მკვეთრად განსხვავდება იალოილუთეფეს ტიპის კერამიკისაგან. შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლის სტრატეგრაფია მატერიალური დადასტურებაა ქართულ არქეოლოგიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თეორიისა (აკად. კ. ფიცხელაური, პროფ ი. გაგომიძე), რომლის მიხედვითაც ელინისტურ ხანაში, კამბეჩოვანში (კამბისენე) ადგილობრივი მატერიალური კულტურა არსებობს. აქ მხოლოდ ძვ.წ. I საუკუნეში იჭრება იალოილუთეფეს

კულტურა ალაზნის ქვემო დინების მარცხენა სანაპიროდან (ანტიკური ალბანეთის ტერიტორიიდან) და ახალი წელთაღრიცხვის დადგომისთანავე უკვალოდ ქრება ამ რეგიონიდან.

Giorgi Lagiashvili

*Monitoring Specialist of Gremi Museum of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia,
Doctor of History*

Archaeological Excavations in Kvemo Kedi

The results of archaeological excavations, conducted in 2013 in village Kvemo Kedi of Dedoplistskaro municipality are reviewed in the article. Village Kvemo Kedi is located in the extreme east part of Shiraki Valley, right to the river Alazani. From historical- geographic viewpoint this area is an east part of Kambechovani (according to Greek- Roman sources – kambisine).

Two individual pit-burials were studied during archaeological works, having north-south exposition. The dead were buried lying on the side, in bent position. Grave good were represented only by ceramics. This archaeological material belong to “Yaloilutepe culture” which was compactly spread in III- I c.c. B.C. to the east (left) of lower reaches of Alazani – on the territory of Caucasian Albania.

The studied burials were lowered in 0.7 capacity sedimentary cultural layer, where the fragments of jugs, decorated with white clay strips, bowls with red bottom and various dishwares were evidenced. Archaeological material obtained in this layer shows great similarity with materials, obtained on synchronous monuments of Kartli (Iberia) and, at the same time, differs markedly from Yaloilutepe type ceramics. The stratigraphy of the studied archaeological monument is a material evidence of the theory, developed in Georgian archaeological stratigraphy (Acad. K. Pitshelauri, Prof. Y. Gagoshidze), according to which local material culture exists in Kambechovani (Kambisene) in Hellenistic period. Yaloilutepe culture invades here only in the I c BC from the left bank of lower reaches of Alazani (from the territory of Caucasian Albania and disappears from this regions without traces with the beginning of Common Era.

გვანცა გიგაჭორი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი

EQVTIME TAYAISVILIS SAXLOBIS GURIIS MXARIS ARQEOLOGIURI MUZEUM-NAK RZALIS ODA-SAXLI – FUNQIONIREBISA DA EQSPOZICIIS SAKIT XBI

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაცია განთავსებულია ქ. ოზურგეთის ცენტრში, 9 აპრილის ქ. №8-ში მდებარე შენობაში, რომელიც XIX საუკუნის დასასრულს აუშენებია ჭეიშვილების ოჯახს. ხის ეს ტრადიციული ოდა-სახლი ტიპოლოგიურად დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი საცხოვრებელია, რომელიც თავის დროზე შეძლებული და წარჩინებული ოჯახებისათვის იყო განკუთვნილი.


შენობა გეგმაში წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა, ერთსართულიანი, ქვის ხიმინჯებზე „შემდგარი“ და კრამიტით გადახურული. იგი არაერთხელ გადაუკეთებიათ. დიდ დარბაზს, რომელიც თავის დროზე ორნაწილიანი იყო (დამოუკიდებელ ნაწილებად გაყოფილი ბუხარი), მიემატა ოთახები, გვერდებზე დაიხურა აივანი. მიუხედავად ამისა, ნაგებობას მეტ-ნაკლებად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი სახე.

ოდა-სახლი – 60 კვ.მ ფართობის მქონე საგამოფენო სივრცით (№2), მუზეუმის ადმინისტრაციისთვის განკუთვნილი სივრცით (№3), ბიბლიოთეკით (№5), ფონდების ოთახით (№6), სამუზეუმო და სხვა ინვენტარის შესანახი ოთახით (№7), სველი წერტილით (№8) – მუზეუმ-ნაკრძალის საგამოფენო და ადმინისტრაციული ფუნქციონირებისათვის შესაბამის პირობებს ქმნის.

ოდა-სახლის რეაბილიტაციის შემდეგ, რომლის პირველი ეტაპი 2014 წლის ბოლოს დასრულდება, შესაძლებელი გახდება ექსპოზიციის მოწყობა, ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალების ექსპონირებით და, ინ-



ფორმაციით გურიის ტერიტორიაზე არსებული ძეგლების შესახებ. ასევე, მასალებით გურიის მხარის ისტორიასა და ყოფაზე (ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გურიის სამთავროს რუკა, გურიის გერბი, გურიისა და გურულების ვახუშტისეული დახასიათება, გურული ტიპაჟები და ა.შ.). ყოველივე ეს ექსპოზიციის გარდა, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრს, ბიბლიოთეკით (სამასამდე წიგნი, მათ შორის სამეცნიერო ლიტერატურა, ასევე უახლესი გამოცემები – 2009-2014 წლებში სააგენტოს მიერ გამოცემული პუბლიკაციები) და გამოცემებისა და სუვენირების სარეალიზაციო კუთხით, რომელიც ინტეგრირებულია მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციულ სივრცეში.



ოდა-სახლის გეგმა შედგენილი მ. ძნელაძის და გ. საჯაიას მიერ
Plan of oda-House compiled by M. Dznelsdze and G. Sajaia

რაც შეეხება საგამოფენო სივრცეს, აქ ქრონოლოგიური და თემატური პრინციპით, ნაჩვენებია იქნება ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი აქცენტები. კერძოდ: სამეცნიერო მოღვაწეობა – მკვლევარის მიერ შედგენილი, რედაქტირებული და გამოცემული შრომებით; ინფორმაციით მეც-

ნიერის მიერ მიკვლეული და გადარჩენილი ეროვნული სიძველეების შესახებ, საარქივო ფოტომასალით, რუკებით, ჩანახატებით, მათ შორის XX საუკუნის დასაწყისის რუკაზე აღნიშნული ყველა იმ ადგილით (საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ), სადაც მკვლევარმა არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო და ამით უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

საგამოფენო სივრცეს გაამდიდრებს საექსპოზიციო სადგარებზე განთავსებული არქიტექტურული ფრაგმენტები გორისციხის ეკლესიიდან, გურიის ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი ნიმუშები, ასევე, ის თანამედროვე, მულტიმედიური საშუალებები, რითაც დამთვალიერებელი გაეცნობა არა მარტო მხარის, არამედ ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას და მისი დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებულ თუ მიმდინარე პროექტებს.

Gvantsa Gegechkori

Senior Specialist of Museum and Museum- Reserve Management Unit of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia, MA of Art History

Oda- House of Ekvtime Takaishvili Archaeological Museum- Reserve of the country of Guria – the Issues of Functioning and Exposition

The administration of Ekvtime Takaishvili Archaeological Museum-Reserve of the country of Guria is located in the center of the town of Ozurgeti, in the building located at #8 April 9 Street (Photo #1), which was built by Cheishvili family at the end of the XIX c. Traditional wooden oda- house – typologically characteristic dwelling for the West Georgia – was intended for well-to-do and noble families in older times.

The building has prolonged rectangular planning, it is one-storied, standing on stone “piles”, covered with tiles. It was reconstructed several

times. Rooms were added to the big hall, which in older times consisted of two parts (fire-place, divided into independent parts), the balcony on its sides was covered. Despite of this changes, the building has preserved its original appearance.

Oda- house (Photo #2) with 60 sq.m exhibition area (#2), area, intended for Museum administration (#3), library (#5), room for funds (#6), room for storing museum and other implements (#7), bathroom (#8) – created proper conditions for functioning of exhibition and administrative functioning of the Museum- Reserve.

After rehabilitation of the oda- house, first stage of which will be completed by the end of 2014, arrangement of exposition will be possible with exhibition of materials related to the life and work of Ekvtime Takaishvili, as well as information about the monuments existing on the territory of Guria; also, materials about history and life of the country of Guria (map of Guria Samtavro made by Vakhushti Batonishvili, emblem of Guria, characterization of Guria and Gurians by Vakhushti, Gurian character types, etc.). In addition to the exposition, it will contain information center of the cultural heritage, library (about 300 books, including publication issued by the Agency in 2009- 2014) and a corner for sale of publications and souvenirs, which will be integrated in the administrative space of the Museum- Reserve.

As for exhibition area, here, based on chronological and thematic principle, key accents of Ekvtime Takaishvili's life and work will be shown. In particular: papers, compiled, edited and published by the researcher; information on national antiquities, identified and rescued by the scientist together with archive photo- materials, maps, sketches, including all places, marked on the map of the XIX c. (in Georgia and abroad), where the researcher organized number of scientific expeditions and thus greatly contributed to preservation of Georgian cultural heritage.

The exhibition space will be enriched by architectural fragments, placed on tripods, from Goristsikhe church, samples, characteristic for ethnographic life in Guria, as well as modern multimedia, which will familiarize the visitors with cultural heritage of not only the region, but the whole country and the completed and current projects, implemented for the purpose of its preservation and popularization.

ლელა მახარაძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტი

შალვა ბუაძე


საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მონიტორინგის სპეციალისტი დოქტორანტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

UCNOBI KULTURULI MEMKVIDREOBIS POPULARIZACIIS ERTI ME TODIS SESAXEB

ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მონიტორინგის სამსახურის მუშაობის შედეგად აღრიცხულია არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ამ ძეგლების ნაწილი, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო სამეცნიერო წრეებისათვისაა ცნობილი, ხოლო ნაწილი, მიუხედავად მათი ისტორიული მნიშვნელობისა და ფასეულობისა, საერთოდ უცნობია.

მოსხენების მიზანია, უცნობი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფართო მასებისათვის მიწოდებისა და პოპულარიზაციის მიზნით, უცნობი კულტურული მემკვიდრეობის ერთი კონკრეტული მეთოდის პრეზენტაცია. შემოთავაზებული მეთოდის მთავარი ამოცანაა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში, რისთვისაც შემოთავაზებულია მარტივი და ეფექტური მოდელი: მონიტორინგის სამსახურის მუშაობის შედეგად აღრიცხული ობიექტების შერჩევა, ფოტომასალის შესაბამისი ფორმატითა და განმარტებებით დაბეჭდვა.

სამიზნე ჯგუფებად მოიაზრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სამუზეუმო და საგამოფენო სივრცეები, საქართველოს საპატრიარქოს იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის ეპარქიები და სამოქმედო არეალის საჯარო სკოლები.



ფოტოგამოფენისა და საინფორმაციო ლექციების პარალელურად დარიგდება სპეციალურად დამუშავებული ტექსტები, სადაც მითითებული იქნება ის კონკრეტული ქმედებები, რაც უნდა გააკეთოს მოქალაქემ კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან მასზე არასასურველი ზემოქმედების შემთხვევაში.

მეთოდი მარტივი და ეფექტურია, ამასთანავე არ უკავშირდება დიდ ფინანსურ ხარჯებს. აპრობირების შემდეგ შესაძლებელია მეთოდის ქვეყნის მასშტაბით განზოგადება.

უცნობი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის ეს მეთოდი დიდად შეუწყობს ხელს მომავალი თაობის დაინტერესებას, ისტორიული ცოდნის გაღრმავებასა და საკუთარი ქვეყნის კულტურულ ფასეულობათა უკეთ შეცნობას.



Lela Makharadze

Specialist of Educational Programs of Kutaisi Historical- Architectural Museum- Reserve of the National Agency for Cultural Heritage Protection of Georgia

Shalva Buadze

*Monitoring Specialist of Kutaisi Historical- Architectural Museum- Reserve of the National Agency for Cultural Heritage Protection of Georgia,
Doctoral student, Kutaisi Akaki Tsereteli State University*

About One Method of Popularization of Unknown Cultural Heritage

As a result of activities of Monitoring Service of Kutaisi Historical- Architectural Museum- Reserve, number of cultural heritage monuments were recorded. Some of these monuments is often known to only limited scientific circle, and others, regardless their historical importance and value, are unknown at all.

The goal of the report is presentation of one specific method of popularization of unknown cultural heritage for the purpose of communication of unknown monuments of cultural heritage to the wide public. The main objective of the proposed method is involvement of the representatives of different social layers in preservation of cultural heritage. For this purpose, simple and efficient model is offered: selection of objects recorded as a result of work of Monitoring Service, and printing of the photo materials in the relevant format, with explanations.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi Museum and Exhibition areas, Eparchies of Imereti and Racha- Lechkhumi regions of the Patriarchate of Georgia and public schools of the action area are considered as target groups. In parallel with photo-exhibition and informational lectures, specially developed texts will be distributed, where specific actions will be indicated, which shall be implemented by a citizen in the case of identification of cultural heritage or undesirable impact on it.

The method is simple and efficient, besides, it doesn't involve big financial expenses. After approval they can be applied throughout the country.

This method of popularization of unknown cultural heritage will greatly facilitate extension of historical knowledge of the future generation and cognition of cultural values of their own country.

ირაკლი მირუაშვილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს უფლისციხის
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი

MUZEUM-NAKRZALEBI DA SAGANMANATLEBLO POLITIKA

მუზეუმ-ნაკრძალები/მუზეუმები და საგანმანათლებლო პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებული საკითხებია. სწორი დაგეგმვა და შესაბამისი აქტივობების სასწავლო პროცესში ჩართვა – მნიშვნელოვანია როგორც სამუზეუმო ისე საგანმანათლებლო სექტორისთვისაც.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და განათლების სამინისტროს შორის მემორანდუმის გაფორმების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამებში, კერძოდ არჩევით საგნებში, დაემატება ახალი არჩევითი საგანი ტურიზმისა და სამუზეუმო საქმიანობის პრაქტიკული კურსი, საშუალებას მისცემს მუზეუმებს მჭიდროდ ითანამშრომლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სკოლები, თავის მხრივ, აიღებენ ვალდებულებას აღნიშნული არჩევითი საგნის მასწავლებლად მიიწვიონ უახლოესი მუზეუმის საგანმანათლებლო მიმართულების სპეციალისტი, რომელიც სკოლასთან თანამშრომლობით შექმნის გრძელვადიან სასწავლო კურიკულუმს, ეროვნული სასწავლო გეგმისა და არსებული სასკოლო სტანდარტების გათვალისწინებით. ეს კი ხელს შეუწყობს სკოლების საშუალო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების გათვითცნობიერებას სამუზეუმო საქმიანობაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის სფეროებში. ასევე მოსწავლეებს მიეცემათ შესაძლებლობა მუზეუმებში სტუმრობისას არა მარტო გაეცნონ სამუზეუმო საქმიანობას, არამედ იმუშაონ მოხალისეებად და საკუთარი წვლილი შეიტანონ კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში.

Irakli Miruashvili

Manager of Uplistsikhe Historical- Architectural Museum- Reserve of the National Agency of Cultural Heritage Preservation of Georgia

Museum- reserves and Educational Policy

Museum- reserves/ museums and educational policy are inter-related topics. Proper planning and inclusion of the relevant activates in educational process is important for museum as well as educational sector.

In the case of signing of a memorandum between the National Agency of Cultural Heritage Preservation and the Ministry of Education, in the framework of which new facultative subject – Practical Course in Tourism and Museum Activities – will be added to the educational programs, namely to facultative subject of public schools. It will allow museums to closely cooperate with educational institutions. Schools, in their turn, will undertake to invite the specialist of the educational direction of the nearest museum as a teacher of the mentioned facultative subject, who will create a long-term education curriculum in partnership with the school, with consideration of national educational plan and the existing school standards; and it will facilitate awareness rising of the medium level school students in museum activities, cultural heritage preservation and tourism spheres. The students will also be able not only to familiarize with museum activities, when visiting museums, but also work as volunteers and make their own contribution into the maintenance of cultural heritage.



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა
და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური
2010-2014

მუზეუმებისა და მოძრავი ძეგლების დაცვის, კვლევისა და საგამოფენო საქმიანობის მიმართულებით სამსახური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურაში 2010 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად – **მოძრავ ძეგლთა და სამუზეუმო კოლექციათა მართვის სამსახურის (2010-2011 წწ.)**, შემდეგ **მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის (2011-2014 წწ.)** სახელწოდებით, ამჟამად **მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური**.

სამსახურის უფროსი – **ირმა დოლიძე**

მთავარი სპეციალისტი – **ნინო ვაჩიშვილი**

უფროსი სპეციალისტები: **ეკა კაჭარავა, გვანცა გეგეჭკორი**

სპეციალისტები: **ქეთევან ქამუშაძე, მაია ყვირაღაშვილი**





სამსახური კოორდინაციას უწევს სააგენტოს შემადგენლობაში არსებულ 15 მუზეუმ-ნაკრძალისა და მუზეუმის საქმიანობას. ესენია:

1. დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი;
2. ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
3. უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
4. კლდეკარის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
5. ქსნის ხეობის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
6. პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი;
7. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი;
8. დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალი;
9. ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
10. გრემის მუზეუმი;
11. უჯარმის არქიტექტურული ანსამბლი;
12. სამშვილდის არქიტექტურული ანსამბლი;
13. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი;
14. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
15. სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი.



გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი გამოფენა



გრემის მუზეუმი.
მუდმივმოქმედი გამოფენა





გრემის მუზეუმი. მუდმივმოქმედი გამოფენა –
„მეფეთა დარბაზი“ გრემის სასახლე-კოშკში



უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-
ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური გამოფენა



**მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების
სამსახურის ძირითადი მიმართულებები და
2010-2014 წლებში
განხორციელებული პროექტები:**

I. სამუზეუმო ექსპოზიციების მომზადების მიმართულებით:

სამუზეუმო ექსპოზიციების მომზადება, რასაც მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური ახორციელებს, მოიცავს საისტორიო წყაროებისა და დოკუმენტური მასალის მოძიებას (საქართველოს ეროვნული არქივი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, მუზეუმები), დამუშავებას, კვლევას, საექსპოზიციო თემატიკისა და არტეფაქტების კლასიფიკაციას, გამოფენის კონცეფციისა და საექსპოზიციო გეგმის შემუშავებას, ვიზუალური მასალის მომზადებას, სამუზეუმო ფილმებისთვის სასცენარო მასალის მომზადებას, თანამშრომლობას არქტიტექტორ-დიზაინერებთან, რესტავრატორებთან, დარგობრივ ექსპერტებთან, რეჟისორებთან, ფოტოგრაფებთან, ტექნიკურ პერსონალთან. საექსპოზიციო სამუშაოების შესრულებას. ამ მიმართულებით განხორციელებულია:

- გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი გამოფენა – 2010
- გრემის მუზეუმი. მუდმივმოქმედი გამოფენა – „მეფეთა დარბაზი“ გრემის სასახლე-კოშკში – 2011
- გრემის მუზეუმი. მუდმივმოქმედი გამოფენა – „გრემის ნაქალაქარი“ მუზეუმის ახალ შენობაში – 2011
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური გამოფენა – 2012-2013

II. რექსპოზიციების მიმართულებით:

1. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში მხატვრის ორიგინალებისა და კერძო კოლექციებში დაცული ნამუშევრების ფოტოასლების გამოფენა – 2010
2. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში – 2010



ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში

3. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი მირზაანში, გამოფენა „ფიროსმანაშვილის პირადი საქმე“ – 2011
4. ნ. ფიროსმანაშვილის 150 წლის იუბილისათვის მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში განხორციელებული გამოფენები – 2012
 - ფიროსმანის გამოფენათა აფიშების ექსპოზიცია;
 - ა. ლიგაბუეს ნამუშევრების ფოტოასლების გამოფენა;
 - ფიროსმანის თემაზე შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების განოფენა;
 - მემორიალური სახლის რეექსპოზიცია.

5. გამოფენა – „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ – 2014
 – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;



6. უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში გამართული დროებითი გამოფენა – „ქართული კოსტიუმი“ – 2013



7. ფოტოხელოვანთა მიერ დანახული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – 2014



III. სამუზეუმო პროექტებში (ახალი მუზეუმების პროექტირება, სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო პროექტები, სამუზეუმო ექსპოზიციები) მონაწილეობის მიმართულებით:

- ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახ. ისტორიის მუზეუმის ახალი შენობის პროექტირება და ექსპოზიციის მომზადება ბერძენ და ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობით – 2010-2012






დ. გრამენოსის სამუშაო შეხვედრა ექსპერტებთან. 2011 წ.

- უფლისციხის არქეოლოგიური მუზეუმის პროექტი – 2012
- დავით-გარეჯის საინფორმაციო სივრცის პროექტი და ექსპოზიციის მოსამზადებელი სამუშაოები – 2012



- ბაგრატის ტაძრის სამუზეუმო სივრცის ექსპოზიციის მოსამზადებელი სამუშაოები – 2012
- ბორჯომის ფირუზას ინტერიერის მონუმენტის კონცეფცია – 2012





- მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის პროექტი – 2012-2013
- სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო სივრცის კონცეფციის მომზადება – 2013
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი – 2014
- კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის მონ-ყობის პროექტი დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ბაზაზე – 2014
- ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის საპროექტო დავალება – 2014.

IV. სამუზეუმო კოლექციათა სისტემატიზაციისა და დაცვის მიმართულებით:

- სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში დაცული კოლექციების ფოტოფიქსაცია და პასპორტიზაცია ელექტრონულ ფორმატში – 2010-2014
- დოკუმენტაციის მომზადება კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად – 2012-2014
- მუზეუმში დაცული კოლექციების უმთავრესი დოკუმენტის – სამუზეუმო-საინვენტარო წიგნების დაბეჭდვა – 2012
- ნ. ფიროსმანის ნამუშევრების – „მწოლიარე ქართველი ქალი“, „თამარ მეფე“, „კალობა“ რესტავრაცია – 2012 -2013




- მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების ფონდსაცავების ეტაპობრივი აღჭურვა (ტენიანობის აპარატები, სტელაჟები, თერმოჰიდრომეტრები) – 2012-2014
- ტრენინგი სამუზეუმო კოლექციების მართვისა და დაცვის საკითხებში – 2014.



V. მუზეუმ-ნაკრძალების მართვის მიმართულებით:

- სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებსა და მუზეუმებში სამტატო სტრუქტურის პროექტის მომზადება, ფუნქცია-მოვალეობებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის განსაზღვრა;
- მონაწილეობა მუზეუმ-ნაკრძალების არელებისა და მონიტორინგის განსაზღვრაში;
- მონაწილეობა პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მართვის გეგმის მომზადებაში;
- ტრენინგები მუზეუმ-ნაკრძალებისა და მუზეუმების თანამშრომელთათვის;
- მონაწილეობა *TWINNING*-ის პროგრამაში.



VI. კვლევისა და პოპულარიზაციის მიმართულებით

- პროექტი – სამეცნიერო კონფერენცია და კრებული – „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ – 2014
- სამეცნიერო სტატიები ყოველწლიური ჟურნალისათვის „ძველი ხელოვნება დღეს“ და ელექტრონული ჟურნალისათვის „ონლაინ არქეოლოგია“, 2010-2014
- სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „გრემი“, 2011
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ფიროსმანის ნამუშევრების ღია ბარათების გამოცემა, 2012
- სამეცნიერო-პოპულარული ფილმის „უფლისციხე“ მომზადება და ტირაჟირება, 2013
- კრებულის „მუზეუმი, ისტორია, არტეფაქტი – გრემის მუზეუმი“ – გამოსაცემად მოზადება – 2014

ირმა დოლიძე

მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის უფროსი



სამუზეუმო პროექტები და საექსპოზიციო კონცეფციები

BAGRATIS TAZRIS SAMUZEUMO SIVRCE KONCEFCIA

ბაგრატის ტაძარი თავისი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობით შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ღირსშესანიშნავი ძეგლია. მისი მშენებლობა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე მიმდინარეობდა და 1003 წელს დასრულდა. ტაძარი იმთავითვე ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ იქნა მოაზრებული. სწორედ ამ მიზნით, ახალაშენებული საეპისკოპოსო ტაძრის კურთხევისას გაერთიანებული საქართველოს მეფემ – ბაგრატ III-მ ქვეყნის ყველა კუთხიდან დიდებულები მოიწვია („მატიანე ქართლისას“ თანახმად: „ეკლესიათა მაშენებელმა“ ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფემ ბაგრატის ტაძრის კურთხევის აღსანიშნავად: „... შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჯელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოდღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საჯელმწიფოთანი.“ მატიანე ქართლისა, ქცხბა I, გვ. 281.) ეს დატვირთვა – ზოგადეროვნული მნიშვნელობა ტაძარს საუკუნეების განმავლობაში არ დაუკარგავს.





არქიტექტორი ანდრეა ბრუნო
Architecture Andrea Bruno

აქედან გამომდინარე, ტაძრის ინტერიერში, სამუზეუმო სივრცის მთავარი თემა საქართველოს ერთიანობისა და ერთიანი საქართველოს მეფეთა წარმოჩენაა.

საგამოფენოდ მოაზრებული სივრცე (დასავლეთის, ჩრდილოეთის და სამხრეთის მკლავის მეორე სართული), რომელიც ტაძრის მშენებლობის დროისათვის პატრონიკეს წარმოადგენდა – სამეფო ოჯახისა და წარჩინებულთათვის განკუთვნილ ადგილს, გამოიფინება ერთიანი საქართველოს მეფეთა პორტრეტები (ასლები), რომელთა გამოსახულებებიც შემორჩენილია შუა საუკუნეთა ქართული ეკლესიების კედლისმხატვრობაში. ესენია:

1. ბაგრატ III (975-1014) – ბედიის მონასტერი;
2. ბაგრატ IV (1027-1072) – ატენის სიონი;
3. დავით IV, აღმაშენებელი (1089-1125) – გელათის მონასტერი;
4. დემეტრე I (1125-1155/6) – მაცხვარიშის ეკლესია;
5. გიორგი III (1156-1184) – ბეთანიის ეკლესია;

6. თამარ მეფე (1184-1213) – ბეთანიის ეკლესია (თამარის და გიორგი III-ის პორტრეტები შემორჩენილია, ასევე, ვარძიის მონასტერსა და ყინწვისის ეკლესიაში);
7. გიორგი IV, ლაშა-გიორგი (1213-1223) – ბეთანიის ეკლესია;
8. დავით VI, ნარინი (1246-1259) – გელათის მონასტერი (აქ მისი ორი პორტრეტია).

მეფეთა ფრესკული პორტრეტების ასლები, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს იქნება წარმოდგენილი. მინანურებით მეფის სახელწოდებისა და ტიტულატურის მითითებით: მაგ. ბაგრატ III – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, კურაპალატი“.

საექსპოზიციო სივრცე მინიმალურად დაიტვირთება ექსპონატებით და თითოეული მათგანისთვის დამოუკიდებელი სტენდი იქნება გათვლილნიებული. წარმოდგენილი იქნება ბაგრატ III-ს, ბაგრატის ტაძარსა და საქართველოს სხვა მეფეებთან დაკავშირებული არტეფაქტები და მათი ასლები. კერძოდ,

I. ბაგრატ III-თან დაკავშირებული არტეფაქტები

- **ბედიის ოქროს ბარძიმი** – 999 წ. რომლის წარწერაში იხსენიება ბაგრატ III და დედამისი გურანდუხტი. „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, – „უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა“. (შესაძლებელია „ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ეს ამონარიდი წარწერად გაუკეთდეს ექსპონატს).
- **ბრეთის სანინამძღვრე ჯვარი** – 994-1001 წწ. ოსტატი ჩგაბრიელ საფარელი. ჯვრის წარწერაში იხსენიება ბაგრატ III („ქრისტე დაამყარე და აღიდე ბაგრატ მეფე ძე მეფეთამეფისა გურგენისი. ქრისტე შეინყალე მართა დედოფალი“).
- **ბედიის ბარძიმი და ბრეთის ჯვარი** დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (დამზადდება ამ ნივთების ასლები).

II. ბაგრატის ტაძართან დაკავშირებული ექსპონატები

(დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში)

1. ბაგრატის ტაძრის **კანკელის ფილა** – XI ს. (72 X 58 X 9 სმ.)
2. **პალისტომის ღვთისმშობლის ხატი (135 X 92,5 სმ.)** – XII ს. ოქრო, ვერცხლი, მინაქარი. (გადმოცემით ხატი ბაგრატის ტაძრიდანაა).
3. **ბაგრატის ტაძრის ანტიფიქსი წარწერით** – „აღიდე ქრისტე მეფე გიორგი“ – X-XI სს. (იგულისხმება გიორგი I ან გიორგი II)

4. ბაგრატის ტაძრის ბოლო პერიოდის (2009 წლის) არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ოქროს სამკაული (VIII ს.)

III. ეპოქა

1. საქართველოს მეფეების სახელით მოჭრილი მონეტები (ასლები) შეიძლება გამოიფინოს ცალკე სტენდის სახით, რაც გაათვალსაზრისებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიას.
2. სანინამძღვრე ჯვარი მონამეთას მონასტრიდან, XI ს. წარწერაში იხსენიება ბაგრატ IV.
3. გელათური კონდაკი, XI-XII სს. (81 X 25 სმ.); შემკულია მინიატურებით, დანერილია ოქროს მელნით (გელათის მონასტრიდან).
4. ფილმი ბაგრატის ტაძრის შესახებ – რეტროსპექტივა კოშკში: ბაგრატის წინარე აღმშენებლობები, არქიტექტურული ფენები, ბაგრატის ტაძრის ნგრევისა და განახლების ისტორია.

*მუზეუმებისა და
მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური*



გელათური კონდაკი (კ-657), XI-XII სს. 810X25სმ.; 12 კეფი; მინიატურები: 1-2-7-9 კეფზე; ნუსხური; დანერილია ოქრო მელნით; ბასილი დიდისა და იოანე ოქროპირის ჟამისწირვა; გელათის მონასტერი
Gelatian Kondaki (K-657), XI-XIIc. 810X25 cm; 12 page; miniatures on 1-2-7-9 pages; Miniscule; written with golden ink. Mass after Basil Great and Jovan Chrysostom; Gelati Monastery



სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი
Historical Museum of Stepantsminda

STEFANWMINDIS ISTORIULI MUZEUMIS FUNQCIONIREBISA DA REEQSPOZICIIS SESAXEB GAMOFENIS KONCEFCIA DA SAEQSPOZICIO GEG MA

მიზანი

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს და ხელმისაწვდომს გახდის როგორც მუზეუმში დაცულ კოლექციებს, ასევე ხევის არქიტექტურულ და არქეოლოგიურ მემკვიდრეობას.

მოკლე ინფორმაცია მუზეუმის შენობის შესახებ

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი განთავსებულია მწერლის მამაპაპეულ სახლში. იგი აგებულია ალ. ყაზბეგის პაპის გაბრიელ ყაზბეგის მიერ XIX ს. II ნახევარში. შენობა ნაგებია ანდეზიტის ქვით და დგას მაღალ ცოკოლზე. სახლის წაგრძელებული ფასადი მიმართულია დასავლეთით. ამ მხრიდან იშლება ხედი მყინვარწვერსა და დაბა სტეფანწმინდაზე, მის თავზე აღმართული გერგეტის სამების კომპლექსით (*ვფიქრობთ, ეს პოტენციური ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული ინფრასტრუქტურის დაგეგმვისას და მუზეუმის შენობის აივნის ამ ფუნქციით დატვირ-*

თვის გათვალისწინებით).¹ მუზეუმის შენობას მინიჭებული აქვს ძეგლის სტატუსი.

ამჟამად დამთვალეირებული მუზეუმში შედის პირველი სართულის ცენტრალური კარიდან. გარდა კარებებისა, საფასადო კედლებში ორივე სართულზე გაჭრილია ფანჯრები, რაც ნაგებობის თავდაპირველი, საცხოვრებელი ფუნქციიდან მომდინარეობს. აღნიშნული გარემოება გასათვალისწინებელია საექსპოზიციო მარშრუტის დაგეგმვისა და მასალების ექსპონირებისას.

მუზეუმში შესასვლელმა შენობის ცენტრიდან სამხრეთით (მარჯვნივ) უნდა გადაინაცვლოს, რაც რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული:

ა) მუზეუმს უნდა გააჩნდეს **საზოგადოებრივი და საინფორმაციო სივრცე:**

- ვიზიტორთა მისაღები;
- გარდერობი;
- ბილეთების სალარო.

დამთვალეირებული თავდაპირველად სწორედ ამ საზოგადო სივრცეში ხვდება, სადაც მას შესაძლებლობა აქვს შეიძინოს ბილეთი, წიგნები, სუვენირები თუ სხვა. გაეცნოს მუზეუმის ისტორიას (*მონიტორის საშუალებით, ელექტრონულ ფორმატში*). აქვე უნდა იყოს გარდერობი. გარეთა კიბის უჯრედში კი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება ჩვენს მიერ შერჩეულ შესასვლელსა და აქ მოაზრებულ საინფორმაციო სივრცეს, შესაძლებელია განთავსდეს სველი წერტილი.

ბ) შესასვლელის სამხრეთით გადატანა ექსპოზიციის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვის შესაძლებლობას ქმნის. ანფილადური პრინციპით განთავსებულ **5 დარბაზში** წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა თემატიკა;

1 სართულის ამ სივრცეების გავლის შემდეგ, დამთვალეირებული ადის II სართულზე, სადაც სხვადასხვა ზომის 3 საექსპოზიციო დარბაზია. სამხრეთით განთავსებული კარით იგი

1. სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის კომპლექსი შედგება გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე (ფართობი – 5,167კვ.მ.) განლაგებული სხვადასხვა ნაგებობებისგან: მუზეუმის შენობისგან, რომელიც განთავსებულია იმ სახლში, სადაც დაიბადა ალ. ყაზბეგი, ამ ნაგებობის უკან არსებული მსგავსი არქიტექტურული სახის მქონე და იგივე მასალით ნაშენი ალ. ყაზბეგის ბიძის, ნიკო ჩოფეკაშვილის სახლისგან (ამჟამად განთავსებულია მუზეუმის ფონდსაცავი), ამ ორ შენობას შორის 1990-იან წლებში აგებული, ამჟამად უფუნქციო შენობისგან, საგვარეულო ეკლესიის, სამრეკლოების, კარიბჭეების, საგვარეულო სასაფლაოს, აუზის, ალ. ყაზბეგის ძეგლისა და სხვა მცირე არქიტექტურული ფორმებისგან.

გარეთ გამოდის და ექსტერიერის კიბეებით ხვდება ეზოში და სურვილისამებრ უბრუნდება საინფორმაციო სივრცეს ან ტოვებს მუზეუმის შენობას (შესაძლებელია, ასევე, საექსპოზიციო მარშრუტის იმავე პრინციპით უკან გავლა – II სართულიდან I სართულზე ჩამოსვლა და კვლავ საინფორმაციო სივრცეში დაბრუნება).

- გ) შენობის სპეციფიკიდან გამომდინარე (*მისი დასავლეთის, საფასადო კედელი მცირე ინტერვალებით სარკმლის ლიობებითაა დაყოფილი*), ექსპოზიცია მოენწყობა მარჯვენა (*აღმოსავლეთის*) კედლის გასწვრივ.

მუზეუმის ახალმა ექსპოზიციამ საინტერესოდ უნდა წარმოაჩინოს როგორც ხევის ისტორია, ისე ალ. ყაზბეგის ცხოვრება, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და შემოქმედება.

საექსპოზიციო გეგმა:

I სართული

I.I. დარბაზი – უძველესი პერიოდი – ყაზბეგის განძი;

ხევის ვიწრო ხეობა კულტურულ-ეკონომიკურად აკავშირებდა არა მარტო ამიერ და იმიერ კავკასიას, არამედ დედამიწის ორ დიდ მატერიკს – აზიასა და ევროპას. ამასთან ერთად, გატანილი იქნება ზოგადი ინფორმაცია ხევის შესახებ.

წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია და მასალები **ყაზბეგის განძზე**:

- 1877 წ. ყაზბეგის განძი (ძვ.წ. X ს.) და აღმოჩენის ისტორია, 1877 წ. (განძი აღმოჩნდა ყაზბეგიანთ სახლისა და სტეფანწმინდის ეკლესიის მახლობლად ანუ დღევანდელი მუზეუმის ეზოში);
- 1879 წ. იმავე ადგილას აღმოჩნდა ადრექრისტიანული ხანის (IV-VI სს.) სამარხები.

არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ გ. ფილიმონოვი, უვაროვები, ანტონოვიჩი, ოლშევსკი, ფრ. ბაიერნი და სხვ.

საქართველოს მუზეუმების გარდა, ყაზბეგის განძის სხვადასხვა დროს გატანილი არტეფაქტები დაცულია: მოსკოვის სახელმწიფო მუზეუმში (*ГИМ*) – (*Археологический отдел.*) და სანკტ-პეტერბურ-

გის ერმიტაჟში (*Эрмитаж – Отдел первобытной археологии*).

ყაზბეგის განძის ექსპონირება განხორციელდება ფოტომასალისა და მულაჟების სახით.

I. II. დარბაზი – ქრისტიანობა ხევში

შუა საუკუნეები – ეკლესია-მონასტრები – ბეთლემი; ბეთლემის კარისა და აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ექსპონირება.

საეკლესიო შესამოსელი და ატრიბუტიკა; სიგელ-გუჯრები, ზარები; სამლოცველო ნიშები.

I. III. დარბაზი – დარიალი – არაგვის კარი

რეგიონის სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა აქ არა მარტო ციხე-სიმაგრეების, არამედ სიმაგრეთა სისტემის შექმნა-არსებობა. ექსპოზიციაში ეს გამოჩნდება ისტორიული ფუნქციის წინ წამოწევით და იარაღის კოლექციისა და საომარი აღჭურვილობის ჩვენებით.

პირველ ცნობას ვხვდებით ძვ.წ. I ს. ბერძენ მწერალსა და გეოგრაფთან – სტრაბონთან. მოგვიანებით პლინიუსთან და სხვ.

- სიმაგრეები, იარაღი, საომარი აღჭურვილობა, დროშა (*მუზეუმში დაცული დროშა სავარაუდოდ XVIII საუკუნისაა*), სამხედრო გზა.
- დარიალის, არშის, სნოს ციხეები. ფანშეთის, ზემო მლეთისა და სიონის კოშკები.





I.IV. დარბაზები – გერგეტის სამება

გიორგი ბრწყინვალე და ხევი, გერგეტის სამება, გერგეტის საყდრისშვილები, ძეგლის დადება; გერგეტის სულთა მატიანე, ხელნაწერები, სიგელ-გუჯრები (ორიგინალები და ასლები)

გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) სახელს უკავშირდება ხევში გერგეტის სამების აგება, ხევისათვის სამართლის დადგენა.

1. გერგეტის სამების ეკლესია ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა ხევში. იგი გიორგი ბრწყინვალის მიერ XIV ს. დასაწყისში აშენდა; გერგეტი წარმოადგენდა ხევის ყველაზე პოპულარულ სალოცავს, სადაც საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა საბჭო.

გერგეტის სულთა მატიანის ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც XVI-XVII სს. თარიღდება, აღნიშნულია რომ „...შევიყარენით ჩვენ კრებულნი ერთსულად, დავდევით საჩივარი და კრებულობაი, საყდრის წინაშე განვიკითხენით“ – თემის გადანყვებილება სამების ტაძართან შეკრების წესად შემოღების თაობაზე. ამ ისტორიულ ფაქტთანაა დაკავშირებული „საბჭოს“ (XV-XVI სს.) აშენებაც, სადაც იკრიბებოდა ხევის უხუცესთაგან შემდგარი საბჭო.

ექსპოზიციისთვის დამზადდება დოკუმენტის „გერგეტის სულთა მატიანე“ ასლი.

2. გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება — „**სამართალი მევის გიორგისა**“ ანუ სამართალი, რომელიც მეფემ დაუნესა ხევს. ეს დოკუმენტი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (H-3094, XVII-XVIII სს.), საექსპოზიციოდ დამზადდება მისი ასლი.

გერგეტის საყდრისშვილები – გერგეტის „ეკლესიის შვილები“, ცნობილია ხევიდან. სოფ. გერგეტის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ სამების ეკლესიის საყდრისშვილებს. მათი საშუალებით კათალიკოსი მართავდა ხევს. გერგეტელი „საყდრისშვილები“-ს თავისებურება ის იყო, რომ „საყდრისშვილებად“ იყვნენ არა ცალკეული პირები ან მოსახლეობის ჯგუფები, არამედ მთელი სოფელი.

I.V. დარბაზი – ხევის ყოფა და ეთნოგრაფია

ხევის თავისებურება თვალსაჩინოადაა ასახული მის ყოფაში. საცხოვრებელი, გარემო, უტილიტარული ნივთები, რომლებიც დახვეწილი დეკორატიული სამკაულითაა შემკული და ხელოვნების ნიმუშების დარადაა დამუშავებული – ნაჩვენები იქნება ხევისთვის ტიპური საცხოვრებლის ინტერიერის, ავეჯისა და ყოფის ატრიბუტიკა. ამავე სივრცეში იქნება წარმოდგენილი:

- მიწათმოქმედება – სამეურნეო იარაღი;
- საკრავი (მუზეუმში მრავალფეროვანი კოლექციაა);
- მოხევეური სამზარეულო (რეკონსტრუქცია, მენიუ);
- მოხევეური მედიცინა;
- მოხევეური ფოლკლორი (პოეზია, მუსიკა, ცეკვა-თამაში)
- მოხევეური კოსტიუმი; შესაძლოა ქორწილის სცენის ჩვენებით (მუზეუმში დაცულია ნეფე-დედოფლის გვირგვინები. ასევე, „კარაჩხა“ – ხილით და ტკბილეულით შემკული ტოტებიანი პატარა ხე, რომელზეც მიკრულია სანთლები და ჯვრები. მას ნეფეს მიართმევენ). აქსესუარი და შესამკობელი.

სარკმლებს შორის შესაძლოა დამონტაჟდეს „Touch screen“-ი ან მცირე ზომის მონიტორები თემატური მასალით.

II სართული

II.I. დარბაზი

XIX საუკუნის ხევი;

ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი **ხევთან და ყაზბეგთან მიმართებაში.**

პუშკინის შთაბეჭდილებები აისახა ნაწარმოებებში: «Путешествие в Арзрум», стихотворения «Кавказ», «Обвал», «На холмах

Грузии», „Кавказский пленник“ და სხვ. ლერმონტოვის: «Мицыри», «Демон», «Герой нашего времени», «Спор», «Дары Терека», «Тамара», «Свиданье», «Спеша на север» და სხვ.

მასალები წარმოდგენილი იქნება აუდიო და ელექტრონულ ფორმატში. მაგ. პუშკინის «На холмах Грузии» კითხულობს ი. სმაკტუხოვსკი; ნ. რიმსკი-კორსაკოვის მუსიკაზე მლერის ფ. შალიაპინი (1913 წლის ჩანანერი); ნაჩვენები იქნება პუშკინთან დაკავშირებული ნივთები (ხმალი, 1822 წლის გამოცემა – „Кавказский пленник“). ასევე, მ. ლერმონტოვის ჩანახატები – სტეფანწმინდა, საქართველოს სამხედრო გზა ბალთასთან, დარილის ხეობა და თამარის ციხე, სოფ. სიონის ხედი ხევიდან, ლადას სიმაგრე (სრულყოფილი ინფორმაცია მხოლოდ მ. ლერმონტოვის ჩანახატების სახითაა შემონახული) და სხვ.



II. II. დარბაზი – ალექსანდრე ყაზბეგი

მემორიალური სივრცე – კაბინეტი (მემორიალური ნივთების ექსპონირებით – ალ. ყაზბეგის საწერი მაგიდა და სკამი, სარკე, საწოლი, წმ. გიორგის ნაქარგი ხატი).

- ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ოჯახი (ფოტომასალა, ცნობები, გენეალოგია).

ფოტო და გრაფიკული მასალა ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან უკვე ხელთ გვაქვს. საჭიროა მასალების დამუშავება ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც ინახება ალ. ყაზბეგის პირადი არქივი. მასალები მოსაძიებელია, ასევე, თეატრისა და კინოს მუზეუმში, ეროვნულ მუზეუმში, საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში.



გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი
G. Leonidze Georgian literature state museum

II.III. დარბაზი – ალექსანდრე ყაზბეგი

სალონური სივრცე

- ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება – გამოცემების ექსპონირებით.
- ყაზბეგი თეატრსა და კინოში (*ელისო*, *ხევისბერი გოჩა*);
- ალექსანდრე ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა (*ვაჟას მემორიალური ნივთების ექსპონირებით*).

ამასთან, ვფიქრობთ, II სართულის ეს ბოლო დარბაზი დავტოვოთ პერიოდული გამოფენებისათვის. მუზეუმი ფლობს მრავალფეროვან კოლექციებს (20 500-ზე მეტი ექსპონატია), რომელთა დროდადრო ჩვენება ხელს შეუწყობს მუზეუმის აქტიურ საქმიანობას, ხევის ისტორიისა და ანმყოს სხვადასხვა კუთხით წარმოჩენას, ასევე, თანამედროვე ხელოვნების გამოფენების მომზადებას და, ზოგადად, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

ექსპოზიციის ნაწილად უნდა მოვიაზროთ და, შესაბამისად, უნდა მომზადდეს ფილმები სამუზეუმო სპეციფიკის გათვალისწინებით შემდეგ თემებზე: ალ. ყაზბეგი, ყაზბეგის განძი, პუშკინი და ლერ-მონტოვი საქართველოს შესახებ, ეთნოგრაფია – მოხვეური ფოლკლორი, ტრადიციები და რიტუალები, დღესასწაულების ხასიათი, მოხვეური ყოფა.

მეორე სართულის დასავლეთის კედელზე (სარკმელებს შორის სიბრტყეები), შვერილი სადგარების საშუალებით ექსპონირებული იქნება ალ. ყაზბეგის ქართულ და უცხოურ ენებზე თარგმნილი ნაწარმოებების გამოცემათა მულაჟები.

ირმა დოლიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ეკა კაჭარავა, ისტორიის დოქტორი

ONIS M̄XARETM̄CODNEOBIS MUZEUMI AXALI S̄NOBA SAPROEQTO DAVALBA

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი არსებობს 1948 წლიდან. ათწლეულების განმავლობაში მის ფონდებში თავი მოიყარა 14 000-ზე მეტმა ექსპონატმა: არქეოლოგიის, სახვითი ხელოვნების, ნუმიზმატიკის, იარაღის, ეთნოგრაფიის, რელიეფების, დოკუმენტების და ფოტოკოლექციები.

დღეს არსებული მუზეუმის შენობა არ იძლევა მდიდარი სამუზეუმო კოლექციების დაცვისა და ექსპონირების შესაძლებლობას. შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა 1991 – 2006 წლების მიწისძვრების შედეგად, ამიტომ არ ფუნქციონირებს საექსპოზიციო სივრცეები, კოლექციები დაცულია იმავე შენობის ორ ოთახში. შესაბამისად, დადგა ახალი სამუზეუმო შენობის საკითხიც. ქვემოთ წარმოდგენილია მოსაზრებები ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი შენობის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

მუზეუმის შენობის არქიტექტურა და დაპროექტება

მუზეუმის ახალი შენობა უნდა იქცეს ქ. ონის ტურისტული მიზიდულობის ცენტრად და ერთ-ერთ არქიტექტურულ ორიენტირად. მუზეუმის შენობა უნდა ითვალისწინებდეს მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების სპეციფიკას.

ახალი მუზეუმის მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტები კოლექციების შენახვასა და ექსპონირებაში, მუზეუმის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში.

შენობის არქიტექტურა უნდა პასუხობდეს ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განვითარების ხედვას და კოლექციების სპეციფიკას.

მუზეუმის განვითარების ხედვა

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩინოს და ხელმისაწვდომს გახდის როგორც მუზეუმში დაცულ კოლექციებს, ასევე



რაჭის რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობას. ამავდროულად, მუზეუმის მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურება და ვიზიტორთა რაოდენობის გაზარდა ქალაქ ონსა და მთელს რეგიონში.

მუზეუმის მიმართულებებია:

საგანმანათლებლო – უნდა შემუშავდეს მუდმივად განახლებადი საგანმანათლებლო პროგრამები სკოლამდელი, სკოლის ასაკის ბავშვებისათვის და ა.შ.

მომავალში შესაძლებელია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამონაწილეობით შესაბამის უნივერსიტეტებთან ერთად შეიქმნას სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და მართვის სფეროში.

სამეცნიერო-კვლევითი – რაც გულისხმობს საკონსერვაციო-სარესტავრაციო ლაბორატორიის დაარსებას, რომელიც მოემსახურება როგორც ონის მუზეუმს, კოლექციების შესწავლას, დაცვასა და კონსერვაციას, ასევე, ამბროლაურის სახვითი ხელოვნების მუზეუმი დაცულ ნიმუშებს;

სამეცნიერო კონფერენციების გამართვას; სპეციალიზირებული/სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნა-ამოქმედებას და კვლევითი პროცესის წარმართვას (ბიბლიოთეკაში 1000 ერთეულია). უძრავი არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების გამოვლენას, შესწავლასა და დაცვას.

ტექნიკური საკითხები უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა

შენობის საპროექტო სამუშაოების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური კვლევა.

შენობის კედლებისა და სახურავისათვის გამოყენებული მასალა, და განსაკუთრებით იმ კედლების, რომლებიც აკრავს კოლექციების განთავსების ზონებს, ცეცხლის გავრცელების დრო უნდა იყოს არანაკლებ ორი საათისა.

მუზეუმის შენობა უნდა დაგეგმარდეს ისე რომ საგანგებო სიტუაციების (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, შეიარაღებული კონფლიქტების დროს) ადვილად მოხდეს დამთვალიერებლების და თანამშრომლების ევაკუაცია და კოლექციების ტრანსპორტირება. შესაბამისად უნდა დაგეგმარდეს საევაკუაციო გასასვლელები.

მუზეუმის ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნარ-შეზღუდული ადამიანებისათვის, კერძოდ კიბეების პარალელურად უნდა მოეწყოს პანდუსები და ლიფტები.

მუზეუმის შენობის სათავსების ჩამონათვალი

- I ზონა – ხელმისაწვდომი დამთვალიერებელთათვის, სადაც არ არის კოლექციები;
- II ზონა – ხელმისაწვდომი დამთვალიერებლებისათვის, სადაც არის კოლექციები;
- III ზონა – მიუწვდომელი დამთვალიერებლებისათვის, სადაც არის კოლექციები;
- IV ზონა – მიუწვდომელი დამთვალიერებლებისათვის, სადაც არ არის კოლექციები ადმინისტრაცია და სამეურნეო ოთახები.

I ზონა – ხელმისაწვდომი დამთვალიერებელთათვის, სადაც არ არის კოლექციები

1. საზოგადოებრივი და საინფორმაციო სივრცე

მუზეუმის ვიზიტორთა მისაღები (აქ შედის ქვემოთ მოყვანილი სივრცეები. შესაბამისად, ეს ნაწილი შესაძლებელია უფრო დიდც კი იყოს)

- გარდერობი;
- ბილეთების სალარო და საინფორმაციო კუთხე;
- გიდებისთვის სივრცე;
- წიგნებისა და სუვენირების მაღაზია;
- კაფე სანყოფებითა და დამხმარე სათავსოებით (ინტერიერში, ასევე გარეთ ღია კაფეს გამართვის შესაძლებლობით. კაფე უნდა მოემსახუროს სავარაუდოდ 30-40 ადამიანს);
- საკონფერანციო დარბაზი (თარჯიმანისა და ტექნიკური ოთახით);
- საგანმანათლებლო პროგრამების სივრცე (სასურველია ჰქონდეს ეზოსთან კავშირი) (აქ განთავსდება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტთა სამუშაო მაგიდეც);
- ბიბლიოთეკა, რომელიც იმავდროულად გამოყენებული იქნება მეცნიერებისა და სტუდენტების სამუშაო სივრცედ;

- სანკვანძი;
- საპოლიციო დაცვის ოთახი ;
- სიგნალიზაციის მართვის პულტის ოთახი.

II ზონა – ხელმისაწვდომი დამთვალიერებლებისათვის, სადაც არის კოლექციები

1. საექსპოზიციო ნაწილი

- მუდმივი საექსპოზიციო სივრცე;
- დროებითი გამოფენების დარბაზი.

III ზონა – მიუწვდომელი დამთვალიერებლებისათვის, სადაც არის კოლექციები

1. ფონდსაცავი

- ხის კოლექცია;
- ლითონის ეკოლექცია;
- სახვითი ხელოვნების ფონდი, რელიეფები, მაკეტები, ქსოვილები, ხელნაწერი ფონდი, წიგნები, ფოტოები;
- იარაღ-საჭურველი, მცირე ფორმების ვერცხლის დეკორატიული ნივთები, საეკლესიო, არქეოლოგიური კოლექცია, ნუმისმატიკა;
- ფონდსაცავის გვერდით უნდა განთავსდეს ფონდის მცველის და ატრიბუციის სპეციალისტების (4 მეცნიერთანამშრომლის) სამუშაო ოთახი კარტოტეკით და დამხმარე სამეცნიერო მასალის ფონდით (ინვენტარიზირებული მასალა, კატალოგები, ნახაზები, ფოტოები, კომპიუტერული მედია).

2. ლაბორატორიები და სახელოსნოები

- სათავსო ექსპოზიციის მომსამზადებლად;
- სარესტავრაციო ლაბორატორია (გასათვალისწინებელია დღის განათება, წყლის კომუნიკაცია) ქიმიური პრეპარატების საწყობით;
- ექსპონატების მისაღები იზოლიატორი (ამ გაყოფილებას უნდა უკავშირდებოდეს ავტოფარეხი).

შენობის დაპროექტებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მუზეუმის ეზო/ბაღი, როგორც დასასვენებელი ზონა და სივრცე

მიღებებისთვის, გამწვანების გათვალისწინებით. სეზონურად კი საგანმანათლებლო პროგრამებისა და კაფეს დამატებითი ფუნქციონირებისთვის.

ბაღში უნდა იქნას გადატანილი დღევანდელი მუზეუმის ეზოში არსებული, რაჭაში გავრცელებული და ნითელ წიგნში შეტანილი ენდემური და რელიქტური ჯიშები (ურთხმელი, ბზა და ა.შ). ასევე, ეთნოგრაფიული მოტივებით დატვირთვის შესაძლებლობით.

IV ზონა – ადმინისტრაცია და სამეურნეო ოთახები

1. ადმინისტრაციის და თანამშრომლების სამუშაო ოთახები

- დირექტორის ოთახი;
- სათათბირო ოთახი;
- გიდების ოთახი;
- ბულალტერიის ოთახი;
- კომპიუტერული უზრუნველყოფის ქსელის ადმინისტრატორის ოთახი;
- ტექნიკური პერსონალის სამეურნეო ოთახი, გასახდელით და სამეურნეო-ტექნიკური ინვენტარის სათავსოთი.

2. სამეურნეო და ტექნიკური სათავსოები, მათ შორის

- ელექტროსისტემები (ელექტროფარი, კონდიციონერების და-ნადგარების სათავსო);
- საქვაბე;
- სამუზეუმო ინვენტარის სანყოფი, სადურგლო სახელოსნო და კონტეინერებისა და შესაფუთი მასალის სანყოფი;
- საკვანძი;
 - კლიმატის რეგულირების აპარატურა (თავსდება ღია სივრცეში)
 - ავტოსადგომი

ირმა დოლიძე

*მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების
სამსახურის უფროსი*

ნინო ვაჩიშვილი

*მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების
სამსახურის მთავარი სპეციალისტი*

SARCEVI

| | |
|---|----|
| პროგრამა | 5 |
| წინათქმა | 12 |
| პაატა დოლიძე სახელმწიფოს როლი კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში | 19 |
| მარინა თაქთაქიშვილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რევიტალიზაციის საკითხები მუზეუმში | 23 |
| ლეილა თუმანიშვილი კულტურული მემკვიდრეობის მართვა და გოსაინფორმაციო სისტემები | 26 |
| ირმა დოლიძე მუზეუმ-ნაკრძალები – მართვის ძირითადი საკითხები და თანამედროვე გამოწვევები | 34 |
| იულონ გაგოშიძე არქეოლოგიური საცავები | 41 |
| ნინო კალანდაძე სამუზეუმო კოლექციების გადაადგილების და კონსერვაციის პროგრამა | 45 |
| აკაკი რეხვიაშვილი X-XI სს. რელიეფების, ლაპიდარული და ფრესკული ფრაგმენტების მდგომარეობა რაჭაში და მათი გადარჩენის ამოცანები | 49 |
| დავით ჯავახიშვილი კახეთის რეგიონის მუზეუმების განვითარების ისტორია და პერსპექტივები | 51 |
| ნინო ვაჩიშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის უცნობი ესკიზები | 55 |
| გიორგი გაგოშიძე ხომლი ალევის მონასტრიდან (ახალი სამუზეუმო ექსპონატი) | 60 |
| ქეთევან დიღმელაშვილი საკრძალავი რიტუალის ერთი დეტალი მცხეთის მუზეუმიდან | 63 |
| დიმიტრი ნარიშკინაშვილი ბეშთაშენის არქეოლოგიური ექსპედიციის 2012-2014 წლების სამუშაოს შედეგები | 67 |

ვიოლეტა ბალახაშვილი

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული
რომანოვებისეული ჭურჭლის კოლექცია 73

ნინო ჯანაშვილი

გრავერებული დეკორით შემკული ბრინჯაოს სარტყლები
და ცულები (შედარებითი ანალიზი) 80

ლამარა ქოზაშვილი

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული
ბორის კუფტინის ხელნაწერი 84

თამარ კუკულდავა

დიმიტრი ნაზარიშვილის მემორიალური მუზეუმი 89

ეკა კაჭარავა

ბორჯომის მინერალური წყლის ანტიკურ ხანაში გამოყენების
დამადასტურებელი არტეფაქტები 93

ნიკოლოზ ჩადუნელი

შიდა ქართლის გვიანბრინჯაოს ხანის
სუფრის ჭურჭელი (ტიპოლოგია-ქრონოლოგია) 98

როლანდ ისაკაძე

ქუთაისი ძვ. წ. I ათასწლეულში
(არქეოლოგიური კვლევის შედეგები და პერსპექტივები) 101

კობა კობერიძე

ზოგიერთი კერამიკული ფორმა დიდი მცხეთიდან (I-IV სს.)..... 104

ნატო ბეშქენაძე

ბორჯომის რაიონის სოფელ საკირის ტოპონიმთა 107

გიორგი ლალიაშვილი

არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქედში 112

გვანცა გეგეჭკორი

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის
არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ოდა-სახლი –
ფუნქციონირებისა და ექსპოზიციის საკითხები 114

ლელა მახარაძე, შალვა ბუაძე

უცნობი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის
ერთი მეთოდის შესახებ 118

ირაკლი მირუაშვილი

მუზეუმ-ნაკრძალები და საგანმანათლებლო პოლიტიკა სამუზეუმო საქ-
მიანობაში 121

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
 დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და
 მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური – 2010-2014123

სამუზეუმო პროექტები და საექსპოზიციო კონცეფციები134

ბაგრატის ტაძრის სამუზეუმო სივრცე – კონცეფცია134

სტეფანნმინდის ისტორიული მუზეუმის ფუნქციონირებისა და
 რეექსპოზიციის შესახებ გამოფენის კონცეფცია და
 საექსპოზიციო გეგმა137

ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ახალი შენობა –
 საპროექტო დავალება144



ISMN 789-9941-7394-0-1

ISMN 789-9941-7394-0-1